ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

პროექტის „გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“

საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო

CSO Forum

Empowering Civil Society in Guria, Imereti and Racha-Lechkhumi

პროექტის

„გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების

საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის

რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“

საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო

2021

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი – გამოცდილება, პრაქტიკა, პერსპექტივები 5

თავი I. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება – სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა საჯარო მმართველობის რეფორმის კონტექსტში 9

თავი II. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგში 25

თავი III. მოქალაქეთა საჭიროებების შეფასება PAR რეფორმის განხორციელების პროცესში 39

თავი IV. სამუშაო ჯგუფები – მუნიციპალურ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის იმპლემენტაციის მექანიზმი 53

თავი V. ადვოკატირება ნაციონალურ დონეზე – მიღებული გაკვეთილები 61

თავი VI. რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მცირე გრანტების გავლენა მუნიციპალიტეტებში ცვლილებებზე (პროგრესის საუკეთესო მაგალითები) 67

თავი VII. ელექტრონული პეტიციის დანერგვა ხონის მუნიციპალიტეტში 81

თავი VIII. მედიის როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოპულარობის გაზრდაში 93

დასკვნა – პროექტის ძირითადი მიღწევები და მიღებული გაკვეთილები 109

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულ პასუხისმგებლობას იღებენ: კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, მეწარმე ქალთა ფონდი, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

დაიბეჭდა პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში

შესავალი

გამოცდილება, პრაქტიკა, პერსპექტივები

შესავალი - გამოცდილება, პრაქტიკა, პერსპექტივები

თეა თორინავა
პროექტის კოორდინატორი

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

პუბლიკაცია „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი: საუკეთესო პრაქტიკა“ შეიქმნა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“, მეწარმე ქალთა ფონდისა და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ მიერ განხორციელებული პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში.

გამოცემის მიზანია, დაინტერესებულ პირებს, მათ შორის, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს, მთელი საქართველოს მასშტაბით, გავუზიაროთ ფონდი „სოხუმისა“ და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პროექტის შედეგად მიღებული გამოცდილება და გაკვეთილები.

ორგანიზაცია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ დაფუძნდა 1997 წელს ქუთაისში და უკვე 24 წელია, აქტიურად მუშაობს მთელ დასავლეთ საქართველოში არაძალადობრივი, მშვიდობიანი და თანაბარუფლებიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. მისი ძალისხმევით ქალები და ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ დემოკრატიული საქართველოს ცხოვრებაში.

ორგანიზაციის მისიაა ქალთა საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობა მათი სოციალური, საგანმანათლებლო და სამართლებრივი შესაძლებლობების განვითარების, სქესთა შორის თანასწორობის მიღწევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის გზით.

ფონდი „სოხუმი“ წარმოადგენს პროექტის წამყვან შემსრულებელს. ორგანიზაცია პასუხისმგებელი იყო პროექტის საერთო ხელმძღვანელობასა და დახმარების გაწევაზე იმერეთის რეგიონის (ვანი, ბაღდათი, ხონი, თერჯოლა) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის საპროექტო ღონისძიებების ჩატარებაში, კერძოდ კი აღნიშნულ რეგიონში ხელს უწყობდა მათ აქტიურ ჩართვას საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგში.

მეწარმე ქალთა ფონდი - პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია - 2003 წელს დაფუძნდა ქუთაისში და მუშაობს ქალთა სამოქალაქო შესაძლებლობების გაძლიერებისა და მათი აქტიური მონაწილეობისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ორგანიზაცია საქმიანობს დასავლეთ საქართველოში და ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა პარტნიორთან, რის შედეგადაც მყარდება თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა ეკონომიკურ განვითარებას ქალაქად და სოფლად.

პროექტის ფარგლებში მეწარმე ქალთა ფონდი კურირებდა და დახმარებას უწევდა რაჭა-ლეჩხუმის (ამბროლაური, ცაგერი) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საპროექტო საქმიანობაში, ხელს უწყობდა მათ ჩართვას სამიზნე მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის განხორციელებაში.

პროექტის განმახორციელებელი კიდევ ერთი პარტნიორი ორგანიზაცია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ - არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1997 წლიდან მოქმედებს საქართველოში.
ორგანიზაციის მიზანია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა.

პროექტის ფარგლებში „სპექტრი“ კურირებდა და დახმარებას უწევდა გურიის (ოზურგეთი, ლანჩხუთი) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საპროექტო საქმიანობის განხორციელებაში და გურიის სამიზნე მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგში მათ აქტიურ ჩართულობას უწყობდა ხელს.

პროექტის განხორციელება პარტნიორმა ორგანიზაციებმა 2019 წლის ოქტომბერში დაიწყეს. ამ ორწლიანი პროექტის ძირითადი მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა დასავლეთ საქართველოში სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2020 წლის საგზაო რუკის მონიტორინგისა და განხორციელებისათვის.

ეს იყო საკმაოდ ამბიციური, რთული და მრავალი სხვადასხვა აქტივობით დატვირთული პროექტი, რომელიც ხორციელდებოდა სამი რეგიონის (გურია, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი) რვა სამიზნე მუნიციპალიტეტში (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ბაღდათი, ვანი, ხონი, თერჯოლა, ამბროლაური, ცაგერი).

მიუხედავად პროექტის სირთულისა, ჯერ კიდევ მისი შემუშავების პროცესში, ფონდ „სოხუმს“ და პარტნიორ ორგანიზაციებს კარგად ჰქონდათ გათავისებული, რომ შეძლებდნენ პროექტის წარმატებით შესრულებას და დასახული მიზნების მიღწევას, რადგან სამივე ორგანიზაციას მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებთან თუ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.

ჯერ კიდევ პროექტის შემუშავების პროცესში მოხდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განსაზღვრა, რომლებიც მოაზრებული იყვნენ პროექტით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმში (სსო ფორუმი) მონაწილეობისთვის.

პუბლიკაციაში აღწერილია, თუ როგორ დაიწყო საპროექტო საქმიანობა, როგორ შეიქმნა სამოქალაქო ორგანიზაციების საერთო ფორუმი; რომელი ორგანიზაციები გაერთიანდნენ ფორუმში, როგორ ხდებოდა მათი გაძლიერება და ჩართვა საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგში; რომელი მექანიზმის გამოყენებით ხორციელებოდა მონიტორინგი, მოსახლეობის ადგილობრივი საჭიროებების შეფასება.

პუბლიკაცია შეიცავს საინტერესო ინფორმაციას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურულ დანაყოფებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერების მექანიზმზე, რომელმაც ხელი შეუწყო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირებას და სამივე რეგიონში მმართველობის ეფექტიანობაზე, გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და ინკლუზიურობაზე ფოკუსირებული საქმიანობის განხორციელებას. ასევე გაეცნობით ხონის მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული პეტიციის საპილოტე მოდელს, მედიის როლსა და მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობადობის გაზრდაში და ეროვნულ დონეზე განხორციელებული ადვოკატირების წარმატებულ მაგალითებს.

პუბლიკაცია გიამბობთ ცვლილებებზე, რომლებიც პროექტის დასასრულისთვის თვალსაჩინო გახდა; გავლენაზე, რომელიც მოახდინა პროექტმა სამოქალაქო სექტორსა და სამთავრობო სტრუქტურებზე; იმაზე, თუ როგორ დააახლოვა ეს ორი რგოლი ერთმანეთს ქვეყნის უკეთესი დემოკრატიული განვითარებისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პროექტის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, სხვა რეგიონების მუნიციპალიტეტებშიც მოხდება სამოქალაქო სექტორის განვითარება, გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი აქტიური ჩართვა უკეთესი მმართველობის ხელშესაწყობად.

თავი I

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა საჯარო მმართველობის რეფორმის კონტექსტში




Tea Tornava - Fund Sukhu...
DAVE ETO
mzeo
Alia Samadharia Fund Sukhumi
Venera Mkhitaryan - SPECT...
nino chabukiani fond "Sukh...
Nazi Leladze
ლენტების მუ...
Mzia Giorgobiani (მია გ...
Ketevan Tskhakaia
Meri Gelashvili
Mariam Khutsiwa
shota gaphrindashvili


Objectives
Audience Insight
Strategy/Idea
Implementation
Scoring/Evaluation
Review and refresh the approach after each phase of the campaign
Use real time feedback to optimise implementation
ამოცანა
Objectives/ამოცანა:
რისი მიღწევა სურს,
რა ამოცანები აქვს დასახული
მიზნის მისაღწევად
Lali Shengelia
Ketevan Tskhak...
rusiko kovziridze
Eliso Jikia

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა საჯარო მმართველობის რეფორმის კონტექსტში

ქეთევან ცხაკაია
პროექტის კოორდინატორი

იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“

❑ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის კონცეფცია – პროექტის დიზაინის მიხედვით

მონაწილეობითი დემოკრატიული მმართველობის პრინციპების თანახმად, ის გულისხმობს:

- ინფორმირებული, გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღებას და რისკების მართვას;
- მმართველი ორგანოს შესაძლებლობების და მისი ქმედუნარიანობის ეფექტიანობის განვითარებას;
- დაინტერესებული მხარეების ჩართვას და ანგარიშვალდებულების რეალურად ამოქმედებას.

საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. ამ ფონზე განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება და ადგილობრივ პროცესებში მათი, როგორც მონაწილეობითი დემოკრატიის საკვანძო ელემენტის, ჩართულობა. საჯარო მმართველობის რეფორმის მთავარი ხიბლია მასში ჩადებული წინაპირობა - სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო უწყებების მჭიდრო თანამშრომლობა.

ფონდი „სოხუმისა“ და პარტნიორი ორგანიზაციების პროექტი „გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო ორგანიზაციათა საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ სწორედ ამას ემსახურება.

პროექტში ხაზგასმული იყო, რომ სამოქალაქო ორგანიზაციები უდიდეს როლს ასრულებენ დემოკრატიული რეფორმების წარმატებაში. ისინი წარმოადგენენ „გამწევ ძალას“ ცვლილებების მიმართულებით და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი, როგორც ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნების გამტარებლების, გაძლიერება, განსაკუთრებით - რეგიონული და ადგილობრივი მართვის გაუმჯობესების კუთხით. საჭიროა ისეთი აქტორების ჩართვა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახით, რომლებიც თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის მიერ აღებულ მასშტაბურ ვალდებულებებსა და საგზაო რუკის ადგილობრივ დონეზე განხორციელების საკითხში.

დასამალი არ არის, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) უმრავლესობა, რომლებიც დაკავებულნი არიან კარგი მმართველობის საკითხებით, განლაგებულია თბილისში. ადგილობრივი სსო-ების უმრავლესობა ხშირად შეზღუდულია რესურსებში, ინტერვენცი-

ის თემებში, საქმიანობის მოცულობაში, პარტნიორებში. ანუ - მასშტაბიანი გავლენებისთვის მნიშვნელოვანი ტექნიკური მეთოდებისა და გამოცდილების მეტი წილი რჩება დედაქალაქში და ცენტრში არსებულ ორგანიზაციებს აქვთ შედარებით მეტი შესაძლებლობა, რესურსები, კვალიფიციური პერსონალი, ხელმისაწვდომობა პარტნიორებზე.

მიზეზი იმისა, რომ ადგილობრივი სსო-ები თავიანთ საქმიანობაში რამდენიმე საკითხით შემოიფარგლებიან, არ ჰყოფნით რესურსები ადგილობრივ პოლიტიკურ დიალოგში მონაწილეობისთვის და აქვთ მინიმალური გავლენა ადგილობრივ პროცესებზე, საკმაოდ ხშირად არის მტკიცებულებებზე დაყრდნობილი ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის მეთოდოლოგიის, სხვა საჭირო უნარების დეფიციტი.

მოქალაქეთა ადგილობრივი საჭიროებების კვლევას, მონიტორინგს სჭირდება შესაბამისი რესურსები, კომპეტენცია და უნარები. მართალია, ითვლება, რომ ადგილობრივ სსო-თა დიდ ნაწილს არა აქვს საამისო გამოცდილება და რესურსი, მაგრამ ფაქტია, რომ, სანაცვლოდ, მათ აქვთ მნიშვნელოვანი ექსპერტიზა ადგილობრივი საჭიროებების გარშემო და ამომწურავი ინფორმაცია ადგილობრივი ჯგუფების შესახებ, ნდობა და საჭირო კონტაქტები ადგილობრივ ბენეფიციარებთან, არცთუ იშვიათად - ადგილობრივი მართვის სტრუქტურებთან.

სხვადასხვა მიმართულებით შესაბამისი უნარ-ჩვევების დაუფლების შემდეგ მათ მიერ შესრულებული საქმიანობა და მოპოვებული მასალა შეიძლება, იქცეს ფასდაუდებელ ინფორმაციად, რომელიც საფუძველს დაუდებს ადგილობრივ პოლიტიკურ დიალოგს, მოქალაქეებისთვის საჭირბოროტო საკითხების დროულ იდენტიფიცირებას და მათ ადვოკატირებას სხვადასხვა, განსაკუთრებით - ადგილობრივ და რიგ შემთხვევაში - ცენტრალურ დონეზე.

არსებული მიგნებები პროექტის ავტორებს აძლევდა დასკვნის საშუალებას, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დასავლეთ საქართველოში საჭიროებენ შესაბამის სივრცეს ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობისათვის. ჰორიზონტალური თანამშრომლობა შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდი ორგანიზაციებიდან პატარა ორგანიზაციებისთვის ცოდნის გადაცემისა და გაზიარებისკენ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ შესაძლებლობებს.

ვერტიკალური თანამშრომლობის გამოყენება განსაზღვრული იყო შემდგომი განვითარების სტრატეგიების დასახვისა და რეალიზაციისთვის და ურთიერთქმედების სივრცის გასახსნელად სსო-ებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და პროექტის სამიზნე - გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

ამრიგად, ზემოთ ხსენებული ასპექტების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში PAR-ის უფრო ეფექტური მონიტორინგი და რეფორმის ძირითადი იდეების წარმატებული რეალიზაციის ხელშეწყობა. ეს იმ ფონზე, როდესაც ფონდი „სოხუმის“ მიერ შესრულებული წინასწარი მოკვლევით, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში საჯარო მმართველობის რეფორმა არ იყო დანერგილი სათანადო აქტივობებითა და შედეგებით. არ შეინიშნებოდა რეალური ცვლილებები გამჭვირვალე, ეფექტიანი და ინკლუზიური ადგილობრივი მართვის კუთხით და საჯარო მმართველობის რეფორმის შედეგები ადგილობრივ დონეზე მინიმალური იყო. მათ შორის ელექტრონული მმართველობის და ელექტრონული მომსახურების კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო რეფორმის წარმატებული იმპლემენტაციის საკითხში სამოქალაქო საზოგადოების როლისა და გავლენის ამაღლების საკითხი.

პროექტის დაშვებით, ადგილობრივ დაინტერესებულ ჯგუფებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადგილობრივ დონეზე PAR მონიტორინგის საკითხში და გახდნენ ძირითადი მოთამაშეები სამოქალაქო საზოგადოების (რომელიც რჩება ძალიან პასიურ დონეზე გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში) აქტიური ჩართვის საკითხში. მათი გავლენა ძალიან შეზღუდულია მცირე ორგანიზაციული პოტენციალის (PR, ფინანსირება და სხვა) და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო. აღნიშნული იყო, რომ ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურები, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, ხშირად ვერ ახერხებენ PAR ელემენტების გათვალისწინებას. ეს კი რეფორმის წარმატებას დიდ რისკს უქმნის.

პროექტში გათვალისწინებული იყო ასევე, რომ სახელისუფლებო ინსტიტუციები ვერ ახერხებენ, სათანადოდ შეაფასონ რეფორმის პროგრესი ადგილობრივ დონეზე, სუსტია მონიტორინგის მექანიზმების, სათანადო ინსტრუმენტების დანერგვის პრაქტიკა, რაც გარე სუბიექტის (მოცემულ შემთხვევაში - სამოქალაქო სექტორის) მიერ ჩატარებული მონიტორინგის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

გამოვლენილი იყო სამი ძირითადი გამოწვევა: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებში საჯარო მმართველობის რეფორმასა და მის რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ეფექტურობაზე არასაკმარისი ცოდნა და პერსონალის არასაკმარისი ციფრული წიგნიერება; სიახლეების ნაკლები მიმღებლობა და ჩვეული რუტინული მოდელების ცვლილების დაბალი მოტივაცია.

ამ გამოწვევის დასაძლევად და საჯარო მმართველობის რეფორმის რეალიზაციის ხელშეწყობისთვის პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი, რომელშიც შევიდა 16 ადგილობრივი ორგანიზაცია.

ფორუმის წევრი ორგანიზაციები:

1. ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი (ხონი)
2. განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“ (ხონი)
3. „თანადგომა - 2020“ (ვანი)
4. ა(ა)იპ „მოქალაქეთა აქტიურობა ეფექტიანი მმართველობისა და სამართლიანობისათვის“ (ვანი)
5. სამოქალაქო სპექტრი „თანასწორობა“ (ბაღდათი)
6. ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა“ (ბაღდათი)
7. ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები - საქართველოს მომავალი“ (თერჯოლა)
8. ა(ა)იპ ,,ქალები საქართველოს მომავლისათვის“ (თერჯოლა)
9. საქართველოს სასოფლო დარბაზი (ლანჩხუთი)
10. ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი (ლანჩხუთი)
11. განათლებისა და თანასწორობის ცენტრი (ოზურგეთი)
12. ა(ა)იპ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი (ოზურგეთი)
13. ა(ა)იპ „ცაგერის ქალთა უფლებებისა და თანასწორობის ცენტრი“ (ცაგერი)
14. ა(ა)იპ „აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“ (ცაგერი)
15. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრი (ამბროლაური)
16. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბი - „აფხაზინტერკონტი“ (ამბროლაური)

პროექტის ზოგადი ლოგიკა აგებული იყო თეზაზე, რომ ადგილობრივ/რეგიონულ ხელისუფლებას არა აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი და მზაობა სსო-სთან დიალოგისთვის და არ აქვს მკაფიოდ გააზრებული მისი როლი საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობის საკითხში. თავად ადგილობრივ დონეზეც სუსტი იყო პრაქტიკა სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარებისა და საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებული დანერგვის ხელის შემშლელი ფაქტორების დაძლევის სტრატეგიის კუთხით.

❑ სსო ფორუმი – როგორც პოზიტიური ცვლილებების მწყობრი მექანიზმი

გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი შეიქმნა 2019 წლის ოქტომბერში. ფორუმის პლატფორმა მიმართული იყო დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაერთიანების, განვითარებისა და გაძლიერებისკენ. თავდაპირველად ფორუმის წევრი იყო 16 ორგანიზაცია.

„ფორუმმა“ გააერთიანა სამი რეგიონის - გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის „სხვადასხვა კალიბრის“ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც იმთავითვე ჰქონდათ უდიდესი მოტივაცია ერთობლივი თანამშრომლობისთვის - როგორც ფორუმის წევრ პარტნიორ ორგანიზაციებთან, ასევე - საკუთარი მუნიციპალიტეტების სახელისუფლებო სტრუქტურებთან.

> **„ფორუმი არის სივრცე თანამშრომლობისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სწავლობენ ერთმანეთისგან და საუკეთესო პრაქტიკებს აზიარებენ ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორეში. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი არის მოსაზრებებისა და წინადადებების შეგროვების შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მასშტაბებით, გეოგრაფიული არეალით, თემატური მიმართულებებით.“**

❑ საგანმანათლებლო ღონისძიებები პლატფორმის წევრი ორგანიზაციებისთვის

პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო პოტენციალის ამაღლებისთვის ორგანიზებული იყო ტრენინგების სერია. როგორ უნდა მოხდეს ცვლილებების ადვოკატირება რეგიონულ და ეროვნულ დონეზე? როგორ მოვიცვათ ადგილობრივი მოსახლეობა? რატომაა მნიშვნელოვანი სოციალური მედია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის? - ეს მცირედი ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომლებთანაც ფორუმის წევრებს ტრენინგებზე ჰქონდათ შეხება.

ფორუმი იკრიბებოდა ორ თვეში ერთხელ, ძირითადად - ქუთაისში. შეხვედრებსა და ტრენინგებს შორის მონაკვეთში ფორუმის წევრები პრაქტიკაში „ტესტავდნენ“ ტრენინგის მასალებს,

თეორიულ ცოდნას და, კურატორი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ატარებდნენ სახელმწიფო მმართველობის რეფორმის მონიტორინგს, საჭიროებათა კვლევებს 8 მუნიციპალიტეტში, ამასთან - ჰქონდათ კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან და ახდენდნენ აქტიური სამოქალაქო პოზიციების, ინოვაციური დამოკიდებულებების პილოტირებას, ჩართულნი იყვნენ თვითმმართველობასთან აქტიურ დიალოგში გამოვლენილი საკითხების ადვოკატირებისთვის.

❑ სსო ფორუმის შეხვედრების დღის წესრიგი

გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის პირველი შეხვედრა შედგა ქუთაისში, 2019 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის რეგიონულ ოფისში. შეხვედრაზე გაიმართა პროექტის პრეზენტაცია.

ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს თემა: საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სტრატეგიული ჩარჩო-მიზნები, ამოცანები და პრინციპები. საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია.

მონაწილეებისთვის საინტერესო იყო მოწვეული ექსპერტის მოსაზრებები. ინტერაქტიულ რეჟიმში იმსჯელეს მუნიციპალიტეტების საჯარო მმართველობაში არსებულ მდგომარეობაზე - PAR მონიტორინგის შედეგების კუთხით; მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკასა (PAR) და ადგილობრივ დონეზე საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობაზე; საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სტრატეგიულ ჩარჩო-მიზნებზე, ამოცანებსა და პრინციპებზე. დღის წესრიგში ასევე იყო საკითხი „საჯარო პოლიტიკა და რეფორმები - საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020 - მიმოხილვა“; „მონიტორინგი და შეფასება - მიზნები და ინსტრუმენტები“; „სამოქალაქო საზოგადოების როლი მონიტორინგის პროცესში - მონაწილეების გამოცდილების გაზიარება“; განხილული იყო სამოქმედო გეგმა - 2019-2020 და თვითმმართველობის მიმართულებით დასახული ამოცანები; ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება - დეცენტრალიზაციის სტრატეგია - მიზნები და ინდიკატორები.

ფორუმების შეხვედრების ფოკუსში აღმოჩნდა მონაწილეობითი ბიუჯეტირება და მისი მნიშვნელობა საჯარო მმართველობის რეფორმის კონტექსტში.

2020 წლის 22 თებერვალს ფორუმი სამოქალაქო ბიუჯეტირებაზე სასაუბროდ შეიკრიბა და მოხდა ამ საკითხზე მეტი გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტების პრაქტიკის გაცნობა. ფორუმებზე „შემთხვევითი“ თემები რომ არ განიხილებოდა, ამ საკითხის ინტენსიურმა მულტიპლიცირებამ უცხადესი გახადა (მომდევნო თავებში უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ მუნიციპალიტეტებზე, სადაც წარმატებით დაინერგა სამოქალაქო, იგივე - მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა).

კოვიდ 19-ის პანდემიის შეზღუდვები ფორუმის შეხვედრებსაც შეეხო. მათი ნაწილი უკვე ონლაინ ფორმატში იმართებოდა.

ფორუმის წევრები იყვნენ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების - მონიტორინგის, საჭიროებათა კვლევის, ადვოკატირების და ლობირების პროცესის მთავარი შემსრულებლები. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში იდეების გენერირებაც მათი ნიშა იყო.

2020 წლის 30 ნოემბრის ონლაინ ფორუმი მიეძღვნა სამიზნე მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის მიმოხილვას და მათ სტრატეგიულ გეგმებს.

მომდევნო შეხვედრის თემა (2021 წლის 28 იანვარი, ქუთაისი) მუნიციპალიტეტებში შემუშავებული და დამტკიცებული სამოქმედო გეგმებით დაწყებული საქმიანობის პრაქტიკულ შედეგებს მიეძღვნა: გაკეთდა სამიზნე მუნიციპალიტეტების სიტუაციური ანალიზი - გაანალიზდა ცვლილებები მუნიციპალიტეტსა და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) რეალიზების კუთხით.

2021 წლის 8 აპრილი, ბათუმი: შეხვედრის თემა - „სამიზნე რეგიონებში არსებული ვითარება სსო-ების მხარდაჭერის/დაფინანსების კუთხით - ორგანიზაციების განვითარების შესაძლებლობები, დონორებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და პერსპექტივები."

2021 წლის 21 მაისი, ქუთაისი: შეხვედრის თემა - „გამოვლენილი საჭიროებები ადგილობრივ მოსახლეობაში ჩატარებული კვლევის მასალების საფუძველზე - ცვლილებები და გამოწვევები" - ხონის, თერჯოლის, ბაღდათის, ვანის, ცაგერის, ამბროლაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მაგალითზე.

2021 წლის 26 ივნისს სსო ფორუმის შეხვედრის დღის წესრიგი ეხებოდა თემას: „პროექტის ფარგლებში ჩატარებული საჭიროებების შეფასების/კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების ცვლილებების ანალიზი მუნიციპალიტეტების მიხედვით".

2021 წლის 28 ივლისი - სსო ფორუმის თემა პროექტის საგრანტო კომპონენტის პოზიტიურ რეზულტატებს ასახავდა: „მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების შედეგები - რა ცვლილებები მოიტანა პროექტებმა მუნიციპალიტეტში და რა ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე". ფორუმის მონაწილეთა ინფორმაციებმა ცხადი გახადა საგრანტო კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მნიშვნელობა და სოციალური ეფექტი, ამასთანავე - თავად ორგანიზაციებისთვის მოტანილი სარგებელი.

ფორუმის თემატიკის ეს არასრული ჩამონათვალიც ცხადყოფს, რომ ყველა შეკრება, რომელიც ფორუმის წევრი ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარდა, იყო მკაფიო დასტური იმისა, რომ პროექტის ყოველი ახალი ეტაპი არის კიდევ ერთი საფეხური ორგანიზაციების გაძლიერებისა და ინსტიტუციური ზრდის გზაზე. ისინი თანდათან ჩამოყალიბდნენ მნიშვნელოვანი ექსპერტიზის მქონე სამოქალაქო აქტორებად და თანდათან იშლება ზღვარი, რომელიც პროექტის დასაწყისში არსებობდა შედარებით გამოცდილ და მეტი რესურსების მქონე და უფრო პატარა ორგანიზაციებს შორის და ეს არის ქსელური მუშაობის, წარმატებების და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის, ერთმანეთისთვის გამოცდილების უშურველი გაზიარების დამსახურება.

მიუხედავად პანდემიის რეჟიმის შეზღუდვებისა, ისინი წარმატებით ახერხებდნენ გაცვლითი შეხვედრების ჩატარებას, თავიანთი საუკეთესო ექსპერტიზის მქონე პარტნიორების მოწვევას მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფებისათვის, კოლეგებისათვის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გასაზიარებლად. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში მუნიციპალიტეტების მესვეურთაგან მათ უპირობო მხარდაჭერა ჰქონდათ.

❑ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის დეკლარაცია

სსო ფორუმში შემავალი ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის პირობების ოფიციალური გაფორმება მოხდა დეკლარაციით, რომელიც თვალსაჩინოს ხდიდა ფორუმში შემავალი ორგანიზაციების კორპორაციულ ღირებულებებს და იმ საკითხებს, რომელთა შესრულებაზე ფორუმის წევრებმა გარკვეული ვალდებულება აიღეს:

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSO Forum

Empowering Civil Society in Guria, Imereti and Racha-Lechkhumi

პროექტი
„გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით"

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის
დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

ჩვენ, ქვევით ხელის მომწერნი, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო ორგანიზაციების ფორუმის წარმომადგენლები

ვიზიარებთ რა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების ძირითად დებულებებს,
ვამახვილებთ რა განსაკუთრებულ ყურადღებას ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის იმპლემენტაციის ხელშეწყობის საქმიანობაზე,
ვითვალისწინებთ რა ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის როლს საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში,

ვთვლით და გვჯერა,
რომ რესურსების გაერთიანებითა და ერთობლივი მოქმედებით შესაძლებელია ქვეყნის განვითარების სწორი პრიორიტეტების დასახვა და განხორციელება.

ვთანხმდებით ხელი მოვაწეროთ

- საჯარო მმართველობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ჯეროვნად ფლობას,
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების სხვადასხვა ფენების ჩართულობის ხარისხისა და როლის გაზრდას;
- საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის ადგილობრივი სამოქმედო გეგმის რეალიზაციასა და მონიტორინგის განხორციელებას;
- თანამშრომლობას მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებისა და აქტიური საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარებისათვის;

ვიდასტურებთ,
რომ ჩვენი ქმედება დაფუძნება: ურთიერთპატივისცემას, ღირსებას, პატიოსნებას, გულწრფელობას, პროფესიონალიზმს, სამართლიანობას.

❑ სსო ფორუმის წვლილი საჯარო მმართველობის წარმატებული იმპლემენტაციისთვის აუცილებელი საკითხების ადვოკატირებაში ცენტრალურ დონეზე

სსო ფორუმი, როგორც საჯარო მმართველობის რეფორმის რეალიზაციაში ჩართული სრულფასოვანი სუბიექტი, არ შემოფარგლულა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე გადასაჭრელი საკითხებით. მოქალაქეთა საჭიროებების კვლევების საფუძველზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციები ცხადყოფდა საჯარო მმართველობის რეფორმის საკვანძო კომპონენტის - ელექტრონული მომსახურების დანერგვის კუთხით არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას: ინტერნეტის ხელმისაწვდომობის დეფიციტს მოქალაქეთა ძალიან მნიშვნელოვან სეგმენტში. ამის პასუხად ფორუმის სახელით გაკეთდა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერდნენ მასში შემავალი ორგანიზაციები. ფონდი „სოხუმის" თბილისის წარმომადგენლობის ძალისხმევით მოხდა ამ საკითხის შემდგომი ადვოკატირება, რაც შემდგომში აისახა ხელისუფლების პრაქტიკულ ნაბიჯებში ყველაზე მეტი საჭიროების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერნეტიზაციის პროცესის ხელშეწყობისთვის:

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას,
საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს,
საქართველოს რეგიონული განვითარების და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ფონდი „სოხუმის“ და დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის მიმართვა

მოგახსენებთ, რომ კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“, რაც ემსახურება საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ადგილობრივ დონეზე ეფექტიანად და ჯეროვნად გატარების ხელშეწყობას.

პროექტის ფარგლებში დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში განხორციელდა საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) სამი მონიტორინგი და საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გატარების პროცესში მოსახლეობის საჭიროებათა შეფასება.

თვითმმართველობებში განხორციელებული მონიტორინგის და მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის შედეგად, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად იკვეთება ინტერნეტის სუსტი დაფარვა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მოსახლეობისთვის ელექტრონული მომსახურების ხელმისაწვდომობას და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის ჯეროვნად განხორციელებას.

საქართველოს მასშტაბით, ხარისხიანი ინტერნეტ დაფარვის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ელექტრონული სისტემების და მომსახურების ხელმისაწვდომობის აუცილებლობა განსაკუთრებით აქტუალური და უალტერნატივოა კოვიდ-19 პანდემიის შედეგად განვითარებული მდგომარეობის გამო. სუსტი ინტერნეტ დაფარვა, რომელიც განსაკუთრებით პრობლემურია სოფლების მოსახლეობისთვის, შეუძლებელს ხდის მოსახლეობის მხრიდან ისეთი სერვისების გამოყენებას, როგორებიც არის: ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება, საკრებულოს თუ მერიის წარმომადგენლებისთვის წერილების, განცხადებების და პეტიციის გაგზავნა, ონლაინ საჯარო განხილვებში მონაწილეობა, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამებში ჩართვა და ა.შ. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობა,ფაქტობრივად, ვერ ახერხებს ცენტრალურ დონეზე არსებული სხვადასხვა საჯარო ელექტრონულ სერვისზე წვდომას, მოწყვლადი მოსახლეობისთვის სახელმწიფო თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის სერვისების გამოყენებას, განათლების ხარისხიანად მიღებას და ონლაინ რეჟიმში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას.

ელექტრონული სერვისებისადმი ხელმიუწვდომლობა, გარდა ინტერნეტის სუსტი დაფარვისა, ასევე განპირობებულია ინტერნეტის საფასურის სიძვირით, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებებების (კომპიუტერი, სმარტფონი) არქონით და მათი გამოყენების სუსტი უნარ-ჩვევებით.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში სახეზეა ციფრული უთანასწორობის მკვეთრი გამოხატულება, რაც, ძირითადად, განაპირობებულია გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორებით.

კოვიდპანდემიით გამოწვეული მდგომარეობის და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ელექტრონული მმართველობის და სერვისების განვითარების მიმართულებით ნაკისრი ვალდებულების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დროულად და პრაქტიკულად მოხდეს საქართველოს მასშტაბით ინტერნეტიზაციის პროცესის დაჩქარება და განხორციელება, როგორც მოსახლეობის ინფორმირების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის, ასევე -ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის და რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უშუალო ჩართულობით, განახორციელოს კონსტიტუციით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება და მიიღოს ყველა შესაძლო და საჭირო ზომა ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრისთვის და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობა ინტერნეტით.

საამისოდ მნიშვნელოვანია შემდეგი მოქმედებების დაუყოვნებლივ განხორციელება:

- მოსახლეობის ელექტრონული სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ინტერნეტ პროვაიდერებთან აქტიური მოლაპარაკებების წარმოება ინტერნეტიზაციის ან ინტერნეტის სიგნალის გაძლიერების მიზნით;
- სოციალურად დაუცველი და მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილისთვის, რომელიც ცხოვრობს ინტერნეტის დაფარვის ზონაში, თუმცა ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებს ინტერნეტის საფასურის გადახდას, სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ინტერნეტის საფასურის სუბსიდირება;
- მოსახლეობაში ელექტრონული მომსახურების სარგებლობისთვის სათანადო უნარების განვითარების ხელშესაწყობად, თვითმმართველობებში შეიქმნას სპეციალური სერვის ცენტრები ან/და ტექნიკური მობილური ჯგუფები, რომლებიც ადგილზე მოემსახურებიან მოსახლეობას და პრაქტიკულ დახმარებას/ინსტრუქტაჟს გაუწევენ ელექტრონული სისტემების გამოყენების საკითხებზე.

ხელმომწერი ორგანიზაციები: (მიმართვას ხელს აწერდა ფორუმის წევრი 33 ორგანიზაცია)

(ადვოკატირების შედეგად მიღებულ რეზულტატებზე - უფრო დაწვრილებით მე-5 თავში)

❑ მეთოდური სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) მონიტორინგის განხორციელების მიზნით ადგილობრივ დონეზე

ფორუმის წევრი სსო-ები პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციებისგან პერმანენტული ყურადღების ეპიცენტრში იმყოფებოდნენ იმ თვალსაზრისით, რომ მთელი საპროექტო ციკლის განმავლობაში უტარდებოდათ საგანმანათლებლო ღონისძიებები, კონსულტაციები კვალიფიციური ექსპერტების ჩართულობით. ფორუმის სისტემატური შეხვედრების, გამოცდილების გაცვლის, მიმდინარე პროცესების პირუთვნელი შეფასების პარალელურად, მიმდინარეობდა საგანმანათლებლო ტრენინგები, რომელთა მიზანი იყო როგორც საჯარო მმართველობის რეფორმის კვალიფიციური მონიტორინგის პროცესის ხელშეწყობა, შესაბამისი უნარებით აღჭურვა, ასევე ფორუმის წევრი ორგანიზაციების მდგრადობის, ცნობადობისა და ინსტიტუციური ზრდის ხელშეწყობა, პარტნიორ ორგანიზაციებსა და დონორებთან ურთიერთობის ეტიკეტის გაცნობა.

ყოველი ტრენინგის წინ მზადდებოდა შესაბამისი მანუალი და სატრენინგო მოდული, რომელთა საფუძველზე შემდგომში, პროექტის ფარგლებში, გადაწყდა შესაბამისი სახელმძღვანელოს შექმნა. ის არა მხოლოდ ფორუმის მონაწილეებს, არამედ - უამრავ დამწყებ ორგანიზაციას მისცემს საშუალებას, ისარგებლოს და მიიღოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციები.

პუბლიკაციის თემებია:

- ✓ სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგი და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა;
- ✓ სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკა (PAR) და ადგილობრივ დონეზე საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა (მე-2 ნაწილი);
- ✓ ადგილობრივ დონეზე საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგის პროცესის რეალიზაცია მუნიციპალურ დონეზე;
- ✓ საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) იმპლემენტაციის მონიტორინგი ადგილობრივ დონეზე;
- ✓ მოქალაქეთა საჭიროებების შეფასება;
- ✓ ფართო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით რეგიონული საჭიროებების შეფასება - ადგილობრივ დონეზე საგზაო რუკის (PAR) რეალიზაციისათვის (მეორე ნაწილი);
- ✓ საჯარო პოლიტიკის ადვოკატირება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი;
- ✓ როგორ დავგეგმოთ და ვაწარმოოთ ადვოკატირების კამპანია;
- ✓ ლობირება;
- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობადობის უზრუნველყოფა;
- ✓ პიარის ეფექტური მეთოდები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცნობადობის უზრუნველყოფისთვის და მათი კომპეტენციის ამაღლება (4 ნაწილი);
- ✓ ეფექტური კომუნიკაცია;
- ✓ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება;
- ✓ სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა და მოქალაქეთა ჩართულობა;
- ✓ როგორ დავარეგისტრიროთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია;
- ✓ საგრანტო განაცხადების შემუშავების პროცესი და ძირითადი ეტაპები;
- ✓ დაფინანსების მოპოვება, საგრანტო განაცხადის შემუშავება და პროექტის მართვა.

❑ სსო ფორუმის პლატფორმის საინფორმაციო მხარდაჭერა

სსო ფორუმის საქმიანობა პროექტში მაქსიმალურად იყო გაშუქებული **(ამაზე უფრო დაწვრილებით - მე-8 თავში)**, რაც იძლეოდა საშუალებას, თვალსაჩინო გამხდარიყო არსებული დინამიკა, მიღწეული წარმატებები თუ ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცეოდა PR სტრატეგიას გრძელვადიან ჭრილში, რათა იმ დროისთვის, როცა პროექტი დასრულდება, ფორუმის წევრმა ორგანიზაციებმა შეძლონ ეფექტური პოზიციონირება თავიანთ თემში, დონორებთან, დარჩნენ საიმედო პარტნიორად და ინოვაციების წყაროდ, რადგანაც, პროექტიდან გამომდინარე, საზოგადოებაში უკვე არსებობს პოზიტიური მოლოდინი მათ მიმართ და აუცილებელი იქნება ამ პოზიტიური იმიჯისა და ნდობის შენარჩუნება, როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების მხრიდან, პოზიტიურ სამოქალაქო პროცესებზე მაქსიმალური გავლენის შესანარჩუნებლად.

❑ სსო ფორუმის გავლენა – ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის აღიარება

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წევრ ორგანიზაციებზე საუბრისას, რვავე მუნიციპალიტეტში ხდება ადგილობრივ სამოქალაქო პროცესებზე მათი გავლენის და მნიშვნელობის, სხვადასხვა საკითხში ექსპერტიზის, მათთან თანამშრომლობის სურვილის ხაზგასმა. სსო ფორუმის ასპარეზზე გამოჩენის კვალდაკვალ, სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ პოლიტიკაში მოქალაქეთა მონაწილეობა აღიარებულია, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი პროცესების საწინდარი.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაიაზრა, რომ ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი საქმიანობის მეტი ლეგიტიმურობისთვის, საზოგადოების ყველა სეგმენტის აზრისა და ინტერესების გასათვალისწინებლად საჯარო პოლიტიკის პროცესში; უფრო ეფექტიანი მომსახურების მისაწოდებლად მოქალაქეთა სხვადასხვა, მათ შორის - ყველაზე მოწყვლადი ჯგუფისთვის. გამოიკვეთა ნიშა, სადაც საზოგადოება და ხელისუფლება უფრო მეტად ხედავენ სსო-ების როლს: ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება, ინფორმირება და განათლება, კვლევა, პოლიტიკის საკითხების ინიცირება და არსებული მიდგომების ალტერნატივების შეთავაზება, პროგრამებისა და პროექტების მონიტორინგი და შეფასება, მოქალაქეებისთვის საჭირბოროტო საკითხების ადვოკატირება და სხვა.

❑ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი – ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირების ინსტრუმენტები

საპროექტო პროცესმა, რომლის მთავარი აქტორები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იყვნენ, შეძლო ადგილებზე საჯარო მმართველობის რეფორმის იმპლემენტაციის კუთხით არსებული არაერთი გამოწვევის იდენტიფიცირება, რასაც მოჰყვა სამიზნე მუნიციპალიტეტებისთვის, ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურობა, აღნიშნული რეკომენდაციების კვალდაკვალ, თვითმმართველობებთან სისტემატური კონსულტაციებით გაგრძელდა. სამუშაო ჯგუფებმა, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ ფორუმის მონაწილე ორგანიზაციები, მოახერხეს არაერთი საკითხის ინიცირება ბიუჯეტში **(ამაზე უფრო დაწვრილებით მომდევნო თავებში ვისაუბრებთ).** ასევე გამოვლენილი საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ შეიქმნა და ფონდი „სოხუმისგან“ დაფინანსება მიიღო მთლიანობაში მათ მიერ წარდგენილმა 46 პროექტმა.

❑ ფორუმის გაფართოება

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფორუმი, რომელშიც 8 მუნიციპალიტეტში მოქმედი 16 ორგანიზაცია გაერთიანდა, გახდა სრულფასოვანი სივრცე ინფორმაციის გაცვლის, წარმატებებისა და არსებული გამოწვევების, მათი დაძლევის გზების გაზიარების თვალსაზრისით. მინიმალური გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს კომპეტენცია და შესაძლებლობების სრულად გამოყენების უნარჩვევებს დაეუფლნენ, რაც, საბოლოოდ, საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესში პოზიტიური ცვლილებების დანერგვის წინაპირობა გახდა.

პროექტის მომდევნო ეტაპზე ფორუმი 14 ახალშექმნილი ორგანიზაციით შეივსო და მისი წევრების რაოდენობა, პროექტის განმახორციელებელ სამ ორგანიზაციასთან ერთად, სადღეისოდ, 33-ს შეადგენს. მენტორი ორგანიზაციების დახმარებით ფორუმის წევრმა ორგანიზაციებმა ძალიან სწრაფად დაიწყეს მონაწილეობა ადგილობრივ პროცესებში და უკვე განახორციელეს თავიანთი პირველი პროექტები - საზოგადოების ინფორმირების, განათლების საჭიროებათა კვლევების კუთხით. მიიღეს უნარები პროექტების მართვის მიმართულებით, სწავლობენ ორგანიზაციის ცნობადობის ანბანს, საჭიროებათა იდენტიფიცირებას, სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებას, სამოქალაქო აქტივიზმის კულტურას, კამპანიების დაგეგმვას და წარმოებას. შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ ჩართულნი არიან საჯარო მმართველობის რეფორმის ადგილობრივ მონიტორინგში.

ახალდაფუძნებული ორგანიზაციები, რომლებიც შემოუერთდნენ ფორუმს:

1. ახალგაზრდობის ჩართულობის ცენტრი (ხონი)
2. შშმ პირთა ორგანიზაცია „ფენიქსი“ (ხონი)
3. ხალხი და თავისუფლება (ვანი)
4. შპს „ვანი - XXI საუკუნე“ (ვანი)
5. სოლიდარობა - XXI (ბაღდათი)
6. ახალგაზრდები თერჯოლიდან (თერჯოლა)
7. ა(ა)იპ „ალაო“ (თერჯოლა)
8. „ამრიდი“ (თერჯოლა)
9. აიპ „რუდუნი“ (ლანჩხუთი)
10. აიპ „ლანჩხუთის ახალგაზრდული მოძრაობა“ (ლანჩხუთი)
11. ა(ა)იპ „ჩვენ ვქმნით მომავალს“ (ამბროლაური)
12. ჰუმანიტარული ინიციატივების და განვითარების ცენტრი (ამბროლაური)
13. „ცაგერის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ორგანიზაციების ცენტრი“ (ცაგერი)
14. „დემოკრატია, თანადგომა, ნდობა“ (ცაგერი)

❑ ფორუმის შედეგები

ვინაიდან საჯარო მმართველობის რეფორმა წარმოადგენს ჰორიზონტალურ და მულტისექტორულ პოლიტიკას და მისი განხორციელება დამოკიდებულია მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების, გადაწყვეტილების მიმღები და მაღალი რანგის სახელმწიფო პირების ჩართულობაზე, პროექტმა კიდევ ერთხელ უჩვენა, რომ საჯარო პოლიტიკის წარმატებული განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რეფორმის პროცესის მონიტორინგი.

ამ შემთხვევაში, ეს მონიტორინგი არ წარმოადგენდა საჯარო სტრუქტურის შიდა ღონისძიებას (რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და ამ კუთხითაც იყო გაჟღერებული რეკომენდაციები პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში), არამედ - გარე აქტორების, ჩვენს შემთხვევაში- სსო ფორუმის და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების - საჯარო პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობას. სსო ფორუმის ფუნქციონირებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საჯარო პოლიტიკის წარმატების ერთ-ერთი პირობაა მისი განხორციელების მონიტორინგში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.

პროექტში გამოყენებული იყო შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგის სისტემა, როგორც ადგილობრივ ჯგუფებზე მეტი ინფორმაციის მოპოვების, მათ საჭიროებებსა და გამოწვევებზე ცოდნის/ექსპერტიზის დაგროვების შესაძლებლობა, რისი გაზიარებაც ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა ხელისუფლებისთვის და გასწია ფასდაუდებელი სამსახური იმ კუთხით, რომ ეხმარებოდა რვავე მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას როგორც წარმატებული პრაქტიკის, ასევე არსებული ხარვეზების დანახვაში, თვალსაჩინოს ხდიდა მიღწეულ პროგრესს და ცვლილებების მთელ დინამიკას.

ორგანიზაციების ქსელის ასეთი ინტენსიური მუშაობა პარტნიორების წარმატების სწრაფი გაზიარების, მულტიპლიცირების საშუალებას იძლეოდა, რაც აისახა ინოვაციების სწრაფ „ათვისებაში“ (მაგალითისთვის, ლანჩხუთის ელექტრონული მენეჯერი; ხონის ელექტრონული პეტიცია და ა.შ).

ფორუმის წევრი ორგანიზაციები გახდნენ ერთგვარი „ლოკომოტივები“ მულტიდისციპლინარული სამუშაო ჯგუფებისთვის (რაც აისახა მოხელეთა ტრენინგ სტრატეგიების, ეთიკის კოდექსის, ანტიკორუფციული დებულებების, სტრატეგიების შემუშავებაში, ვებგვერდების მოდერნიზაციაში).

სწორედ ფორუმის წიაღში ხდებოდა იმ იდეების გენერირება, რომელთაც ფორუმის წევრი ორგანიზაციები აჟღერებდნენ მუნიციპალიტეტებში - თვითონ ხდებოდნენ ამ იდეების რეალიზატორები: თუნდაც სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვის ტემპი თერჯოლაში; გენდერული თანასწორობის საკითხების აქტუალიზაცია; ანტიკორუფციული სტრატეგიები, მოქალაქეთა ინფორმირების ღონისძიებები - აუთსორსინგის პრაქტიკის „პიონერობა“ რეგიონში და ა.შ.

სსო ფორუმის შეხვედრებზე გაჩნდა იდეა, რომელმაც მოიტანა ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო კომუნიკაციის არნახული ხარისხი (აპლიკაცია ლანჩხუთში, რომლის მულტიპლიცირება მეტეორის სისწრაფით ხდება).

სსო ფორუმის დამსახურებაა საჭიროებათა კვლევებისა და პროგრამების ეფექტის შეფასების მნიშვნელობის აღიარებიდან საქმეზე გადასვლა, რაც მუნიციპალიტეტებში შედარებით ნელი ტემპით, მაგრამ ხორციელდება.

თვალშისაცემია პროექტის მიერ გაძლიერებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რესურსების აღიარება და სწრაფვა - მოხდეს მათი გამთლიანება/გამოყენება.

სსო ფორუმის და პროექტის სამუშაო ჯგუფების მიღწევაა ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის და გამოცდილების გაცვლის მანამდე არნახული მასშტაბი, რომლის ტემპის შენარჩუნება ალბათ გაჭირდება, თუმცა მისი ეფექტის აღიარება მოხდა ყველა მუნიციპალიტეტში.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი, რაც პროექტის შედეგად ვიხილეთ - ხელისუფლებისა და სამოქალაქო ინტერესთა ჯგუფების საერთო ღირებულებებზე კონსენსუსია, რის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სტანდარტების დამკვიდრება.

თავი II

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგში



A common forum for CSOs from Guria, Imereti and Racha-Lechkhumi for PAR Roadmap monitoring
CSO Forum



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგში

ხათუნა გოგუა
კონსულტანტი თვითმმართველობის საკითხებში
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

პროექტი კოალიციური ფორმატის იყო და მასში გაერთიანებული სამი არასამთავრობო ორგანიზაციის (ფონდი „სოხუმი“, როგორც კურატორი ორგანიზაცია, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ და მეწარმე ქალთა ფონდი) კოოპერირებით შესაძლებელი გახდა სამი დიდი რეგიონის: იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის 8 მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა საგზაო რუკის იმპლემენტაციის პროცესში. ამ კუთხით განსაკუთრებული შესაძლებლობა შეექმნა იმ მუნიციპალიტეტში მოქმედ ორგანიზაციებს, რომლებიც პროექტის გეოგრაფიულ არეალში მოხვდნენ.

❑ მონიტორინგში ჩართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები რეგიონების მიხედვით:

იმერეთის რეგიონის კურატორი ორგანიზაცია იყო კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, რომელიც 4 მუნიციპალიტეტს კურირებდა:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტი: ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა“ და სამოქალაქო სპექტრი „თანასწორობა“;
- ვანის მუნიციპალიტეტი: ა(ა)იპ „თანადგომა“ და ა(ა)იპ „მოქალაქეთა აქტიურობა ეფექტიანი მმართველობისა და სამართლიანობისათვის“;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტი: ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები - საქართველოს მომავალი“ და „ქალები საქართველოს მომავლისათვის“;
- ხონის მუნიციპალიტეტი: ა(ა)იპ „განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“ და ა(ა)იპ „ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი.“

მეწარმე ქალთა ფონდი კურირებდა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში მოქმედ ოთხ ორგანიზაციას:

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტი: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრი და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბი - „აფხაზინტერკონტი“;
- ცაგერის მუნიციპალიტეტი: ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი, „აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება.“

იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ გურიის რეგიონის ორ მუნიციპალიტეტს კურირებდა:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი: ა(ა)იპ საქართველოს სასოფლო დარბაზი და ა(ა)იპ ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი: ა(ა)იპ განათლების და თანასწორობის ცენტრი და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი.

უნდა აღინიშნოს, რომ ფლაგმანის როლის შესრულებამ ისეთი სერიოზული გამოცდილების მქონე ორგანიზაციების მხრიდან, როგორებიცაა ფონდი „სოხუმი“, მეწარმე ქალთა ფონდი, მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“, მწვანე შუქი აუნთო რეგიონულ ორგანიზაციებს საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის პროცესში საკუთარი რესურსების რეალიზების თვალსაზრისით.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან მოხდა პასუხისმგებლობის სრულად გააზრება და საკუთარი რესურსების მიზანმიმართული გამოყენება ადგილობრივ საჯარო მმართველობაში მიმდინარე პროცესებში.

გარდა მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერებისა, პროექტის მიმდინარეობის პროცესში მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ახალი სამოქალაქო ორგანიზაციების ფორმირება და მათი მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის გარანტიების შექმნა ქვესაგრანტო პროექტებში ჩართულობით. 16 მოქმედი სამოქალაქო ორგანიზაციის რაოდენობას პროექტის დასასრულს 14 ახალი რეგიონული ორგანიზაცია დაემატა, რომლებმაც ნულოვანი სასტარტო ნიშნულიდან კონკრეტული აქტივობით საკუთარი ძალები მოსინჯეს. საპროექტო ქვეგრანტებით შექმნილი პროექტები ერთგვარი ტრამპლინი აღმოჩნდა მათთვის, შესაძლებლობა მიეცათ, ადგილობრივ დონეზე PAR-ის რეფორმის მონიტორინგში ახალ აქტორებად ჩართულიყვნენ **(უფრო დაწვრილებით - პუბლიკაციის შესაბამის თავში).**

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვითმმართველობასთან თანამშრომლობის ბერკეტები ფართო სპექტრისაა და, პირველ რიგში, გულისხმობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსტრუქციული კომუნიკაციის დამყარებას, რომელიც მოიცავს: ადგილობრივი პოლიტიკის კვლევას, მონიტორინგს, შეფასებას და მიღებული შედეგების შესაბამისად მნიშვნელოვანი საკითხების ინიცირებას, ადვოკატირებას. სწორედ ამ პრინციპების დაცვით, პარტნიორობის კონცეფციის ჩამოყალიბებით, პროექტმა შეძლო მდგრადი თანამშრომლობის უზრუნველყოფა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის, რაც, საბოლოოდ, ცალკეულ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა წარმატებული ინიციატივის საწინდარი გახდა.

❑ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის და აქტიურობის დაბალი კოეფიციენტიდან - შემდგომ პოზიტიურ დინამიკამდე

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და თანამონაწილეობა ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის რეფორმების პროცესში ხელს უწყობს სახელისუფლებო მმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას, რასაც, საბოლოოდ, დემოკრატიული მმართველობის ოპტიმალურ ფორმამდე მივყავართ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **პროექტის დასაწყისშივე გამოიკვეთა -** არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის საჯარო მმართველობის რეფორმის **მონიტორინგი არ იყო განსაკუთრებული დისკუსიისა და ინტერესის სფერო,** რაც, ძირითადად, განპირობებული იყო PAR-ის შესახებ სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგადად მოქალაქეების ინფორმირებულობის საგრძნობლად დაბალი კოეფიციენტით.

არასამთავრობო სექტორი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდა ეფექტიანი ადგილობრივი საჯარო მმართველობის შექმნაში საკუთარი რესურსების გამოყენების, ჩართულობის აუცილებლობას.

მსგავსი პოზიცია ცალმხრივი არ იყო და, თავის მხრივ, **არც თვითმმართველობების მხრიდან ყოფილა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სტრატეგიული მონახაზის შექმნის მცდელობა,** რაც ამ სექტორის ჩართულობის აუცილებლობას გამოკვეთდა.

ამ ფონზე საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობამ მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანა ცალკეული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, რაც, პირველ რიგში, თვითმმართველობებსა და სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ახალი პარტნიორული, საქმეზე ორიენტირებული, კოლეგიალური ურთიერთობების შექმნით გამოიხატა.

ურთიერთთანამშრომლობაზე აგებული კომუნიკაციის შედეგად, მონიტორინგში ჩართულმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მალევე გააცნობიერეს საკუთარი პასუხისმგებლობა. მათი ინტერესის სფეროში მოექცა ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესი. მონიტორინგის პროცესში ჩართულობამ, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი პრეცედენტები შექმნა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, რაც სახელისუფლებო რგოლებთან მუდმივი დიალოგითა და დისკუსიის გამოყენებით იქმნებოდა.

მონიტორინგიდან მონიტორინგამდე სულ უფრო მზარდი გახდა სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიურობის ნიშნული, რაც, შესაბამისად, მათი კომპეტენციის ახალ ხარისხში გამოიხატა.

❑ სამოქალაქო ორგანიზაციების უფლებამოსილება, კომპეტენცია მონიტორინგის პროცესში

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის იმპლემენტაციის ხარისხის შესასწავლად პროექტში სულ გათვალისწინებული იყო ოთხი მონიტორინგის ჩატარება, რომლის ძირითად

ამოცანას ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა წარმოადგენდა.

მონიტორინგის პროცესში ჩართული იყო უკვე ჩამოთვლილი სამიზნე სეგმენტი: ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში მოქმედი 16 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია.

მონიტორინგის პროცესის დაწყებამდე პროექტის განმახორციელებელი გუნდისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შემუშავდა მონიტორინგის გეგმა.

მომდევნო ეტაპზე შეიქმნა მონიტორინგის ინსტრუმენტი - კითხვარი, რომელიც მოიცავდა სამ მიმართულებას: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა. თითოეული მიმართულება შეფასდა წინასწარ შერჩეული ინდიკატორებით, არსებული სიტუაცია შესწავლილ იქნა 32 ინდიკატორის მიხედვით.

კომპეტენციის ამაღლებისა და საჭირო უნარების განვითარებისთვის მონიტორინგის დაწყებამდე პროექტში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი. იმ ფონზე, როცა მონაწილე ორგანიზაციების უმრავლესობას არ ჰქონდა მონიტორინგის ჩატარების არანაირი გამოცდილება, ტრენინგებს მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა და შეუწყო ხელი მთელი პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

მონიტორინგის განსახორციელებლად დაკვირვების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ განისაზღვრა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ინტერნეტრესურსები: ვებგვერდები და ფეისბუქგვერდები. ასევე მონიტორინგის პროცესში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა თვითმმართველობის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მუნიციპალიტეტების ნორმატიული აქტები და დებულებები.

მონიტორ ორგანიზაციებს უფლებამოსილების ფარგლებში შესაძლებლობა ჰქონდათ, ინფორმაციის გადამოწმებისა და შევსების მიზნით, კონკრეტული რესპონდენტისგან დამატებითი ინფორმაციების მოსაპოვებლად ესარგებლათ სატელეფონო კომუნიკაციით. ასევე გათვალისწინებული იყო, საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრების ჩატარება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან.

მონიტორინგის პროცესის დაწყებამდე, წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირებთან. თვითმმართველობის პასუხისმგებელ პირებს გააცნეს მონიტორინგის მიზნები და ამოცანები, მუშაობის მეთოდები და ინსტრუმენტები. მოსამზადებელმა შეხვედრებმა ახალი გზა გაჭრა სამოქალაქო საზოგადოებებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობებისთვის.

თვითმმართველობების მხრიდან თავიდანვე დაფიქსირდა სრული მზაობა მონიტორინგის პროცესის სრულფასოვნად ჩასატარებლად, რაც შემდგომში პრაქტიკულ ქმედებებში გადაიზარდა: ყველა მუნიციპალიტეტმა ითანამშრომლა სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საველე მონიტორებს შეუფერხებლად მიეწოდათ საჭირო მასალა და ინფორმაცია.

მონიტორინგის პროცესში, ინფორმაციის შესაგროვებლად ჩატარდა ინდივიდუალური შეხვედრები პასუხისმგებელ პირებთან და დაზუსტდა მონაცემების სანდოობის გადამოწმების გზე-

ბი. მოხდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დამუშავება და მუნიციპალიტეტების დონეზე მონიტორინგის ანგარიშების მომზადება.

კოვიდ-19-ის პანდემიით შექმნილი წინაღობები და რისკები: მონიტორინგის პროცესის სრულფასოვნად ჩატარებას გარკვეული წინააღმდეგობები შეექმნა კოვიდპანდემიის პერიოდში. სახელმწიფო რეგულაციებიდან გამომდინარე, როცა პირისპირ შეხვედრები სრულად შეიზღუდა და ინფორმაციების მოპოვების, კონკრეტულ პირებთან შეხვედრების პროცესები გარკვეული რისკის ქვეშ დადგა, განსაკუთრებით გამოიკვეთა სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ოპერატიულობა. მისი ძალისხმევით, სრულად მოხერხდა დაგეგმილი შეხვედრების ონლაინ სივრცეში გადატანა. ამ პროცესს თან ახლდა საჯარო მოხელეთა სრული მხარდაჭერა. შედეგად, მონიტორინგის ჩატარების გაჭიანურების რისკი სრულად იქნა ანულირებული და ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების მაქსიმალური ხელშეწყობით მონიტორინგი შეუფერხებლად წარიმართა.

საქმიანმა ურთიერთობებმა უფრო მეტად დააკავშირა სამოქალაქო ორგანიზაციები და თვითმართველობები, ნათლად გამოკვეთა ორივე მხარის საერთო ინტერესები და შექმნა სრულიად ახალი, ურთიერთთანამშრომლობაზე აგებული სივრცე, რამაც ხელი შეუწყო ჯანსაღი პარტნიორული ურთიერთობის დამკვიდრებას.

❑ მონიტორინგის ეტაპები: არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, საკონსულტაციო აქტივობები თვითმმართველობებთან, ინოვაციები – პოზიტიური ცვლილებების მისაღებად

საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების ინფორმირებულობა და მისი მხარდაჭერა. პროექტის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ რეგიონებში საჯარო მმართველობის რეფორმაზე საზოგადოების ინფორმირების დაბალი მაჩვენებელი სერიოზულ წინაღობებს ქმნიდა ამ საკითხით საზოგადოების დაინტერესების თვალსაზრისით. არ არსებობდა მოტივაცია, რომელიც საჯარო მმართველობის პოზიტიურ შედეგებზე მოსახლეობის დაინტერესების მაჩვენებელს გააუმჯობესებდა.

მონიტორინგის პროცესმა ნათლად აჩვენა, რომ ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევები მეტწილად მოსახლეობის დაბალი ინფორმირებით, ინტერნეტთან მუშაობის არასათანადო უნარებით არის გამოწვეული. გამოიკვეთა საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის კუთხით მუნიციპალიტეტების ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოწვევები და ნაკლოვანებები. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეფასდა ადგილებზე არსებული სიტუაცია და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რაც ერთიანი საპროექტო გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო.

მთელი ამ პროცესის პერმანენტული თანამონაწილე გახდა სამოქალაქო სექტორი, რომელიც, პროექტის მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მთავარ აქტორად მოიაზრებოდა.

მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობამ მნიშ-

ვნელოვანი პროგრესი მოიტანა თვითმმართველობებთან კოოპერირებული მუშაობის პრაქტიკის დანერგვის თვალსაზრისით. დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისთვის ერთიანი სისტემის შექმნით, ხელი შეუწყო ახალი მიდგომების დანერგვას სამიზნე მუნიციპალიტეტებში.

პირველი მონიტორინგი ჩატარდა 2020 წლის იანვარ-თებერვალში.

მონიტორინგის შედეგად მომზადდა დეტალური ანგარიში, რომელშიც აისახა ადგილებზე რეფორმის გატარების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის.

(მომზადებული 8 ანგარიშის საფუძველზე გაკეთდა კონსოლიდირებული ანგარიში).

➢ პირველი მონიტორინგით გამოვლენილი გამოწვევები

პირველმა მონიტორინგმა[1] აჩვენა, რომ საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესის სრულფასოვნად წარმართვას ხელს უშლის მუნიციპალიტეტებში არსებული სხვადასხვა წინაღობა: კერძოდ, გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის ჩატარების პერიოდში ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ვებგვერდი არ იყო სრულად გამართული, რაც რეფორმის მიმდინარეობის პროცესთან არ მოდიოდა შესაბამისობაში და, თავის მხრივ, რეფორმის იმპლემენტაციის შეფასების პროცესს ართულებდა. ინფორმაციის შესავსებად მონიტორების მიერ გამოყენებულ იქნა საჯარო მოხელეთა ინტერვიუები და დაკვირვებით მიღებული მონაცემები.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ **მუნიციპალიტეტების ელექტრონულ გვერდებზე თანამდებობების პირთა საკონტაქტო ინფორმაციები,** რვავე მუნიციპალიტეტში, **საკმარისად ხელმისაწვდომი არ არის**. ასევე გამოვლინდა, რომ ზოგიერთ **თვითმმართველობაში არ არსებობდა სხვადასხვა სამსახურის ელექტრონული ანგარიშების გამოქვეყნების პრაქტიკა,** ან ხშირ შემთხვევაში ანგარიშების გამოქვეყნებას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა**. საჯარო ინფორმაციების: ბრძანებების, განკარგულებების, შესყიდვების ანგარიშების, აუდიტის დასკვნების გამოქვეყნების წესის შესრულებაში არსებობდა ხარვეზები.**

ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში თვითმმართველობებსა და მოსახლეობას შორის ონლაინ კომუნიკაციის თვალსაზრისით სახარბიელო სიტუაცია არ იყო. მოქალაქეებისთვის საჩივრებისა და წინადადებების, პეტიციების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობის გამარტივების კუთხით **ვებგვერდების უმეტესობა საჭიროებდა ჩარევას, გამართვას, დახვეწას და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.**

მონიტორინგის პერიოდში არცერთ მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა ანტიკორუფციული გეგმა და ეთიკის კოდექსი.

მონიტორინგით გაირკვა, რომ გარდა **ოზურგეთისა და ლანჩხუთისა, დანარჩენ თვითმმართველობებში არ იყო დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირება,** რაც სრულად ეწინააღმდეგება

1 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-3/alternatiuli/498-2020-05-22-04-24-11

ბიუჯეტის **ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის დემოკრატიულ** პრინციპებს.

ისიც გამოჩნდა, რომ **მუნიციპალიტეტებში არ არის დანერგილი გენდერული ბიუჯეტი** და, უმრავლეს შემთხვევაში, სოციალურ ან სხვა სახის პროგრამებში ჩაშლილი გენდერულად სენსიტიური აქტივობები ქმნიდა ადგილობრივ გენდერულ პოლიტიკას.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტების **თანამდებობის პირებს, ხშირ შემთხვევაში, არ ჰქონდათ მკაფიოდ განსაზღვრული და ვებგვერდზე მითითებული მიღების დღეები და საათები.** ამის აუცილებლობას ბევრი რესპონდენტი ვერ ხედავდა იმ მოტივით, რომ „ყველა დღე მოქალაქეებს ეკუთვნით“ და, მათი აზრით, დროის ნებისმიერ მონაკვეთში შესაძლებელია მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია.

მონიტორინგით ასევე დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტებში **არ არის ინკლუზიურობის, მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის საკმარისი ხარისხი. მუნიციპალიტეტთა უმრავლესობას არ გააჩნია შენობაში შესასვლელი პანდუსები შშმ პირებისთვის,** მეტი აქცენტებია გასაკეთებელი საბიუჯეტო პროგრამებში მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა ასახვაზე.

➢ მეორე მონიტორინგი - პროგრესი და გამოწვევები

მეორე მონიტორინგი[2] იმავე პრინციპით, იმავე ინსტრუმენტების გამოყენებით, 2020 წლის აგვისტოში ჩატარდა. მის ერთ-ერთ ძირითად მიზანს პირველი მონიტორინგის შემდგომ შესრულებული ინიციატივების პროგრესის გაზომვა წარმოადგენდა.

მიღებული შედეგების ანალიზმა გამოკვეთა პოზიტიური დინამიკა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობით იქნა მიღწეული. დროის ამ მონაკვეთში მუნიციპალიტეტებში მნიშვნელოვნად დაჩქარდა **ვებგვერდების მოდერნიზაცია** და ელექტრონული სივრცის სრულფასოვანი მუშაობის შემაფერხებელი ხარვეზები მეტ-ნაკლებად დაკორექტირდა. გაუმჯობესდა საჯარო მოხელეთა ბიოგრაფიებსა და **საკონტაქტო ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობა.** საჯარო მოხელეებთან ონლაინ ვიზიტი უფრო ხელმისაწვდომი გახდა.

ინტენსიურად დაიწყო სხვადასხვა სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების **პერიოდული ანგარიშების ატვირთვა. დაკონკრეტდა მოქალაქეთა მიღების დღეები და ხელმისაწვდომი გახდა ვებგვერდზე.**

მეორე მონიტორინგით დადასტურდა, რომ მუნიციპალიტეტებმა აქტიური მუშაობა დაიწყეს ეთიკის კოდექსის და ანტიკორუფციული გეგმების შესამუშავებლად. სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ამოქმედდა **„ცხელი ხაზი“** მოქალაქეებთან ონლაინ კომუნიკაციის გასაძლიერებლად (ხონის მუნიციპალიტეტი). აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო **სამოქალაქო ბიუჯეტირების** დასანერგად (თერჯოლის მუნიციპალიტეტი).

2 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-3/alternatiuli/753-par-8

მიღებული პროგრესის პარალელურად, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა იმ გამოწვევებზე გააგრძელეს მუშაობა, რომლებიც მეორე მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა.

მეორე მონიტორინგით გამოკვეთილ პრობლემათა ჩამონათვალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან უფრო ქმედით და მიზანმიმართულ ჩარევას ითხოვდა. ცხადი გახდა, რომ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და საჯარო მმართველობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად აფერხებს **მონიტორინგის პრაქტიკის არარსებობა, რაც ყველა მუნიციპალიტეტისთვის საერთოა (გარდა ოზურგეთისა).** თვითმმართველობას უჭირს, ობიექტურად შეაფასოს მოქმედი პროგრამების ეფექტიანობა, რადგან არ ხდება მუნიციპალური **სერვისებით მოქალაქეთა კმაყოფილების ანალიზი** (მხოლოდ ბაღდათის მუნიციპალიტეტს აქვს ამ კუთხით მცირე გამოცდილება), რაც, შესაბამისად, ართულებს ცალკეული სერვისების სარგებლიანობის შეფასებას.

მონიტორინგის თანახმად, თვითმმართველობებში საჯარო **მოხელეთა გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია არ არსებობს** და ყველაფერი გარე რესურსებზე, არასამთავრობო ორგანიზაციების შეთავაზებებზეა დამოკიდებული.

კვლავ სერიოზულ წინაღობას ქმნის **მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის სუსტი პრაქტიკა,** რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ფრაგმენტული ხასიათი აქვს და, ძირითადად, კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებზეა მიბმული **(პუბლიკაციის მომდევნო თავი სწორედ სსო ფორუმის წევრების მიერ ჩატარებულ საჭიროებათა კვლევებს ეხება).**

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არა აქვს მიღებული **ანტიკორუფციული გეგმები და თანამდებობის პირთა ეთიკის კოდექსი.** თვითმმართველობებს ნაკლებად აქვთ გააზრებული წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელობა და მსგავსი პრეცედენტები ნაკლებად ფიქსირდება.

მუნიციპალიტეტთა პრიორიტეტულ საკითხებში **არ მოიაზრება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების არსებობა,** რაც გენდერული პოლიტიკის გაძლიერებას აფერხებს.

კვლავ გამოწვევად რჩება **სამოქალაქო ბიუჯეტის არარსებობა (გარდა ოზურგეთისა და ლანჩხუთისა),** თუმცა ამ მიმართულებით საკონსულტაციო მუშაობის გავლენა შესამჩნევია.

სამუშაოა **ელექტრონულ სერვისებზე მოქალაქეთა ინფორმირებულობ**ის მიმართულებით, რადგან მოქალაქეთა ჩართულობის ნიშნული მინიმალურია: მონიტორინგმა აჩვენა, რომ ელექტრონული **სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა ისევ დაბალია,** განსაკუთრებით - მუნიციპალიტეტების პერიფერიულ ნაწილში, რაც ინტერნეტის არარსებობით ან ონლაინ სერვისების მიღების არასაკმარისი უნარებით არის განპირობებული.

მონიტორინგით გამოვლენილი, რეფორმის ხელის შემშლელი წინაღობების დაძლევის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი იქნა გამოყენებული: **პროექტის ფარგლებში ადგილებზე, რვავე მუნიციპალიტეტში შეიქმნა ინტერდისციპლინარული „სამუშაო ჯგუფები“, რამაც** ერთი ქოლგის ქვეშ გააერთიანა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, თვითმმართველობის, მედიის, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები და ხელი შეუწყო ეფექტიანი, ოპერატიული, მაკოორდინებელი სისტემის შექმნას **(უფრო დაწვრილებით სამუშაო ჯგუფების საქმიანობაზე**

- პუბლიკაციის მეოთხე თავში). ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ამ მექანიზმმა უფრო გაამარტივა მონიტორინგით გამოვლენილი წინაღობების დაძლევა. მონიტორინგიდან მონიტორინგამდე სულ უფრო თვალსაჩინო გახდა ცალკეულ მუნიციპალიტეტში პოზიტიური ცვლილებები, რომელთა თაანაავტორები, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ.

➢ მესამე მონიტორინგის შედეგები, პოზიტიური ტენდენციები და გამოწვევები

მესამე მონიტორინგი[3] განხორციელდა 2021 წლის თებერვალში. მან საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში ახალი ოპერატიული ჩარევების საჭიროებები გამოკვეთა.

დროის ამ მონაკვეთში პოზიტიურ მაჩვენებელთა ჩამონათვალში ახალი მონაცემები გაჩნდა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში **შეიქმნა და ამოქმედდა ონლაინ აპლიკაცია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული მენეჯერი“**, რომელიც ინოვაციურ ტექნოლოგიად ითვლება და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. განახლდა ხონის, ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ვებგვერდები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ვებგვერდს დაემატა ორგანიზაციული სტრუქტურის გრაფიკული სქემა.

ხონის და ბაღდათის მუნიციპალიტეტებმა ანტიკორუფციული გეგმის შემუშავების ვალდებულება აიღეს და ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმაშიც ცვლილებები გაიწერა.

ამ პერიოდისთვის **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ანტიკორუფციული ზომების თვალსაზრისით.** არსებობს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ანტიკორუფციულ დოკუმენტს.

ვანის მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთმა პირველმა შეძლო „მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ **საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის“ ოფიციალურად დამტკიცება.** აღნიშნული ფაქტით, მონიტორინგით შემუშავებული რეკომენდაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაწყვეტა მოხერხდა. ეს ფაქტორი სამოტივაციო აღმოჩნდა დანარჩენი მუნიციპალიტეტებისათვის და თვითმმართველობებში უფრო ინტენსიურად დაიწყო დიალოგი საკითხის გარშემო.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაინერგა მერიის სამსახურების მონიტორინგის ჩატარების პრაქტიკა: ყოველ სამ თვეში ერთხელ ქულობრივი სისტემის გამოყენებით ტარდება მერიის თანამშრომელთა მუშაობის მონიტორინგი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაგრძელდა მუნიციპალური **მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების შეფასების პრაქტიკის დანერგვა** და შემუშავდა შეფასებისთვის საჭირო ფორმები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი სიახლე: სოციალურ

3 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-3/alternatiuli/959-par-845454

სამსახურთან შეიქმნა **სოციალური მომსახურების პროგრამებით მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის ფორმა,** რომლის შევსებაც შეუძლიათ მოქალაქეებს. ამ ფორმით მიღებული ინფორმაციის ანალიზი იძლევა მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის შეფასების განსაზღვრის შესაძლებლობას.

პროგრესი შესამჩნევი იყო შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის თვალსაზრისით: ბაღდათში, ხონში საკითხის პრიორიტეტულობა შეფასდა მუნიციპალიტეტების მიერ და **მოხერხდა შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარე სივრცის მოწყობა.**

პოზიტიური ცვლილებები მონაწილეობითი პოლიტიკის გაძლიერებისთვის სხვადასხვა მიმართულების საბჭოების შექმნით გაგრძელდა. მაგალითად, ვანის მუნიციპალიტეტში შეიქმნა **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.** მონიტორინგიდან მიღებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, **ბაღდათის** მუნიციპალიტეტში არსებულ საბჭოებს დაემატა **ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო.**

მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის პასუხისმგებელი პირების გამოყოფის კუთხით, **პროგრესი დაფიქსირდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში: მუნიციპალიტეტის მერიაში გამოიყო სამოქალაქო ორგანიზაციებთან ურთიერთობისთვის პასუხისმგებელი პირი.**

ბაღდათში **შეიქმნა ნორმატიული, სამართლებრივი აქტი და სწორედ ამის საფუძველზე ხდება შშმ პირთა ჩართვა ადგილობრივი საკითხების მართვის პროცესში.**

სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის კუთხით მუნიციპალიტეტების მხრიდან გამოხატული ინტერესი საკმაოდ მზარდი გახდა. ბაღდათში, თერჯოლაში აქტიურად მიდის მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გაზიარების კუთხით და ყველა პირობაა შექმნილი მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისთვის. სამოქალაქო ბიუჯეტისთვის საგრძნობლად გაიზარდა თანხა **ოზურგეთში** და განისაზღვრა 300 000 ლარით.

ხონის მუნიციპალიტეტმა, პლატფორმის წევრი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძალისხმევით, ელექტრონულ სერვისებზე მოქალაქეთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად აქტიური მუშაობა დაიწყო ელექტრონული **პეტიციის სისტემის დანერგვაზე,** რომელიც შემდგომში წარმატებით გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ მესამე მონიტორინგის პერიოდისთვის სიტუაცია უცვლელია და მუნიციპალიტეტების საქმიანობაში ჯერ კიდევ უმთავრეს გამოწვევად რჩება **მონიტორინგის და შეფასების სისტემის არარსებობა.**

საჯარო მოხელეთა გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით ჯერ კიდევ პრობლემებია და ყველგან ვერ მოხერხდა შესაბამისი სისტემის დანერგვა, მით უმეტეს - პანდემიის რეჟიმში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები დაწყებულია, თუმცა მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არა აქვს ამ მიმართულებით ნაფიქრი და საკითხის პრიორიტეტულობაც ნაკლებად იკვეთება.

უცვლელია სიტუაცია გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ამ კუთხით მზაობის მიუხედავად, ჯერჯერობით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება: არ არის ცალკე გენდერული პროგრამები, ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი გენდერული სტატისტიკა; გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები, საბჭოს წევრთა საკონტაქტო ინფორმაცია.

მონიტორინგით გამოვლენილ გამოწვევებზე რეაგირებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საგრანტო პროექტები სამიზნე ორგანიზაციებისთვის (უფრო დაწვრილებით - მეექვსე თავში).

➢ მეოთხე მონიტორინგი - შედეგები და გამოწვევები

მეოთხე, ბოლო მონიტორინგი[4] 2021 წლის ივლისში ჩატარდა. ის მიზნად ისახავდა მონიტორინგების შედეგად გამომუშავებული რეკომენდაციების შესრულების პოზიტიური დინამიკის აღრიცხვას და ახალი რეკომენდაციების შექმნას არსებული გამოწვევების საფუძველზე. ეს პროექტით განსაზღვრული ბოლო მონიტორინგი იყო, რომელმაც საპროექტო პერიოდში, პირველიდან ბოლო მონიტორინგამდე შექმნილი სურათი სრულად შეაჯამა.

შეიძლება ითქვას, რომ მეოთხე მონიტორინგის პერიოდისთვის მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მომსახურების კუთხით პოზიტიური დინამიკა შენარჩუნებულია. ვებგვერდების მოდერნიზება ეტაპობრივად მიმდინარეობს და იხვეწება ცალკეული მომსახურების დიზაინი. გაუმჯობესებულია მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული პლატფორმები და ელექტრონული რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა.

ლანჩხუთში მუნიციპალური მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების შეფასების კუთხით პროგრესი ფიქსირდება: „ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრმა“ შეიმუშავა და განახორციელა მოსახლეობის მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილების ხარისხის კვლევა. ასევე, „საქართველოს სასოფლო დარბაზი“ მერიის დაკვეთით აწარმოებს სოციალური პროგრამებით მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის კვლევას, რაც მუნიციპალიტეტში აუთსორსინგის მეთოდის დანერგვის მნიშვნელოვანი პრეცედენტია.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბოლო მონიტორინგით გამოიკვეთა, რომ არსებულ საბჭოებს დაემატა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო; შემუშავების პროცესშია ანტიკორუფციული დებულება.

ვანის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მოდერნიზაციისთვის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა.

მონიტორინგი ადასტურებს, რომ რვავე მუნიციპალიტეტში პოზიტიური დინამიკა შენარჩუნებულია და ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის კუთხით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, კვლავ დარჩა გამოწვევები, რომელთა შესრულებაც გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი.

4 https://csoforum.ge/index.php/ka/ka-public/alternative-par/1127-par-8

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კვლავ პრობლემად დარჩა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის არარსებობა, მუნიციპალური მომსახურების, მოსახლეობის კმაყოფილების შეფასების არასაკმარისი პრაქტიკა.

ჯერ კიდევ იკვეთება ხარვეზები მოქალაქეთა წერილების, საჩივრების სისტემატიზაციისა და ანალიზის კუთხით. ნაკლებად ხელმისაწვდომია აუდიტის დასკვნები.

მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში კვლავ გამოწვევაა ანტიკორუფციული გეგმების არარსებობა, რაც წინააღმდეგობაშია ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის დემოკრატიულ მახასიათებელთან.

გამოწვევად რჩება საჯარო მოხელეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება გენდერული ბიუჯეტირების კუთხით, რაც აფერხებს ამ მიმართულებით პოზიტიურ ცვლილებებს, თუმცა მუნიციპალიტეტებმა უფრო აქტიურად დაიწყეს კანონით გათვალისწინებული ბიუჯეტის 1%-ის გამოყენება მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგებისთვის.

მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გამჭვირვალობის, ეფექტიანობის, ინკლუზიურობის მაჩვენებლის გაზრდის მიზნით მუნიციპალიტეტთა უმრავლესობას, ოზურგეთის, ლანჩხუთის, თერჯოლის გარდა, სამუშაო აქვს სამოქალაქო ბიუჯეტირების გამართული სისტემის დასანერგად.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეტის მისამართით შემუშავებული ახალი რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს თვითმმართველობებს, შეინარჩუნონ არსებული პროგრესი და არ შეანელონ ტემპი საჯარო მმართველობის რეფორმის განსახორციელებლად.

თავი III

მოქალაქეთა საჭიროებების შეფასება PAR რეფორმის განხორციელების პროცესში



მოქალაქეთა საჭიროებების შეფასება PAR რეფორმის განხორციელების პროცესში

ემა კამკია
კონსულტანტი თვითმმართველობის საკითხებში
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

❑ საჭიროებათა კვლევის ჩატარების წინაპირობა პროექტის მიხედვით

ფონდი „სოხუმის“ და პარტნიორი ორგანიზაციების პროექტის დიზაინში ხაზგასმული იყო, რომ ეფექტური და ქმედითი სახელმწიფო მმართველობა, რომელიც დემოკრატიული მმართველობის საფუძველია, მოკლე დროში არ იქმნება. რეფორმებმა, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისკენ, ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს სასურველ ცვლილებებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პერიფერიებში, ცენტრისგან მოშორებით. გარდა ამისა, ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებს იმერეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში ჯერჯერობით არა აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რაც საჭიროა საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებული რეალიზაციისთვის.

პროექტში ჩადებული იყო რეგიონული საჭიროებების შეფასების კომპონენტი პროექტის სამიზნე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ისინი გახდნენ მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი და გაიზარდოს ნდობა და თანამშრომლობა სსო-ებსა და საზოგადოებას შორის.

საჭიროებათა შეფასების ჩატარების შედეგად, ასევე ცხადი უნდა გამხდარიყო მოქალაქეების წარმოდგენა საჯარო მმართველობის რეფორმაზე, მისი განხორციელების პროცესში დამდგარ შედეგებზე სამიზნე მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით - ელექტრონული მომსახურების, კარგი მმართველობის დანერგვის კუთხით. საჭიროებათა კვლევები საფუძვლად დაედებოდა ადგილობრივ პროცესებს მოქალაქეთა, განსაკუთრებით მათი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების, ინტერესების ადვოკატირების კუთხით; დაინტერესებული ადგილობრივი ჯგუფების იდენტიფიცირებას, რომლებიც შემდგომში დარეგისტრირდებოდნენ, როგორც ახალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

რეგიონული საჭიროებების შესწავლის შემდეგ, პროექტით განსაზღვრული იყო მოცემული ჯგუფების მიერ ადგილობრივი სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება საჯარო მმართველობის რეფორმის „საგზაო რუკის“ უმთავრესი კომპონენტების რეალიზაციის კუთხით გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და იმერეთის თვითმმართველობებში - ადგილობრივი მართვის გამჭვირვალობის, ეფექტიანობის, ინკლუზიურობის ინდიკატორებით.

საჭიროებათა კვლევის კომპონენტის აქტუალურობა განსაზღვრა ბოლო წლების განმავლობაში ფონდი „სოხუმის“ მიერ დასავლეთ საქართველოში ჩატარებულმა ადგილობრივი საჭიროებების კვლევებმა (მათ შორის - იმერეთსა და გურიაში), რომელთაც გამოავლინეს მოქალაქეთა ფართო ფენების არასაკმარისი ინფორმირებულობა ადგილობრივ პოლიტიკაზე

და ცხადყვეს მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის მეტი სივრცის აუცილებლობა.

❑ საჭიროებათა კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები

საჭიროებათა კვლევების ჩატარება განისაზღვრა პროექტის სამიზნე 8 მუნიციპალიტეტში შერჩეული 16 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის რესურსებით **(წინა თავებში მოცემულია სამიზნე ორგანიზაციების ჩამონათვალი)**

ორგანიზაციებს გააჩნდათ აბსოლუტურად განსხვავებული გამოცდილება მტკიცებულებებზე დაყრდნობილი ინფორმაციების მოპოვების უნარ-ჩვევების/გამოცდილების კუთხით. წინასწარ ჩატარებული მოკვლევით გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენლები თავად ატარებენ კვალიფიციურ კვლევებს, ნაწილი კი არ ფლობს არათუ ინტერვიუირების გამოცდილებას, კვლევის რესპონდენტის რანგშიც კი არასდროს ყოფილა.

არსებული დისბალანსის გამოსასწორებლად დაიგეგმა ოპტიმალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა, განისაზღვრა პერმანენტული საკონსულტაციო სერვისის რეჟიმი.

მომზადებულ იქნა სასწავლო მოდული „ფართო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით რეგიონული საჭიროებების შეფასება - ადგილობრივ დონეზე საგზაო რუკის (PAR) რეალიზაციისათვის“. აღნიშნული სამიზნე სამოქალაქო ორგანიზაციის 32 წარმომადგენლისთვის ჩატარდა ტრენინგი მტკიცებულებებზე დაყრდნობილი ინფორმაციის მოპოვების უნარ-ჩვევებში.

❑ ტრენინგი საჭიროებათა კვლევებში და მისი შედეგები

სამიზნე ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის ჩატარდა ტრენინგი - „ფართო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით რეგიონული საჭიროებების შეფასება - ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) რეალიზაციისთვის“ (ტრენინგი ჩატარდა 2020 წლის 21 თებერვალს, ქუთაისში, სასტუმრო „ბაგრატში“. სამიზნე ჯგუფში იყვნენ ხონის, თერჯოლის, ვანის, ბაღდათის, ამბროლაურის, ცაგერის, ლანჩხუთის, ოზურგეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები - 32 პირი).

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა სამიზნე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის საჭიროებათა კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. მონაწილეებს საშუალება მიეცათ, გაცნობოდნენ კვლევის მეთოდოლოგიას, ინსტრუმენტებს, რაც აუცილებელი იყო ადგილობრივი საჭიროებების შეფასებისთვის. ამ კუთხით შესაბამისი სამუშაოს ჩატარების შემდგომ, მათ მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც შეთავაზებულ იქნა სამიზნე მუნიციპალიტეტებისთვის ადგილობრივ სამოქმედო გეგმებში გასათვალისწინებლად და სერიოზული წვლილი შეიტანეს საკუთარ მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეფორმის რეალიზაციაში.

ტრენინგის დაწყებამდე შემუშავდა და პარტნიორებს შორის შეჯერდა კვლევის ინსტრუმენტი (საჭიროებათა კვლევის კითხვარი), რამაც პროექტის მონაწილეებს კითხვარის დრაფტის დატესტვის საშუალება მისცა და მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მონაწილეთა შენიშვნები და რეკომენდაციები.

ტრენინგზე მიწოდებული იყო ყველა საჭირო თეორიული მასალა, ასევე მაღალი აქტიურობით ჩატარდა ჯგუფური სამუშაოები და სიმულაციური ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუები და გამოკითხვა. მოხდა გამოცდილების გაცვლა ტრენინგის მონაწილეებს შორის. პასუხი გაეცა ყველა გაჩენილ კითხვას.

როგორც მოსალოდნელი იყო, პროექტის სამიზნე ორგანიზაციებს ჰქონდათ აბსოლუტურად განსხვავებული გამოცდილება კვლევების ორგანიზებისა და ჩატარების კუთხით, მაგრამ უკლებლივ ყველა ორგანიზაციას აღმოაჩნდა კარგი „ბექგრაუნდი“ ბენეფიციარებთან მჭიდრო კომუნიკაციის, მათი უფლებების დაცვის კუთხით. გამოვლინდა, რომ კარგად იცნობდნენ ზოგადად თვითმმართველობის სპეციფიკას, საკუთარ მუნიციპალიტეტში არსებულ სიტუაციას და აქვთ საჭირო კონტაქტები.

ტრენინგის სხვადასხვა ეტაპზე შესრულდა ყველა განსაზღვრული ამოცანა: თეორიული მასალების გაცნობა; კვლევის პრობლემის განსაზღვრა; გამოკითხვის პროგრამის ანუ „გამოკითხვის კონცეფციის“ შედგენა **(პასუხი კითხვებზე: რა უნდა შევისწავლოთ? რა მიზნების მისაღწევად უნდა შევისწავლოთ? სად, რა და რა პირობებში უნდა შევისწავლოთ? კვლევის რა საშუალებების გამოყენებით უნდა შევისწავლოთ?),** კითხვარის რეკრუტირება. განისაზღვრა რესპონდენტთა შერჩევის წესი და კრიტერიუმები, მონაცემთა დამუშავების საკითხები.

ტრენინგს ასევე ესწრებოდნენ პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რამაც მათთვის თვალსაჩინო გახადა სამიზნე ორგანიზაციების შესაძლებლობები. ეს სამომავლოდ დაეხმარა მათ კვლევის ოპტიმალური ორგანიზებისა და ჩატარების, სამიზნე ორგანიზაციებთან მუშაობის სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრაში.

მონაწილეებს მიღებული მასალის განმტკიცებისთვის მიეწოდათ სასწავლო მოდული, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო რჩევას დამწყები მკვლევარებისთვის. ასევე განისაზღვრა პერიოდული კონსულტირების რეჟიმი.

ტრენინგის შედეგად მიღწეულ იქნა მისი მთავარი ამოცანა - სამიზნე ორგანიზაციების წარმომადგენლების აღჭურვა პროექტის ფარგლებში ჩასატარებელ საჭიროებათა კვლევის უნარებით.

პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციების და სამიზნე ჯგუფებისთვის გაზიარებულ იქნა კონსულტანტების დასკვნები და რეკომენდაციები.

ტრენინგის მონაწილეებს მიეცათ რჩევები, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ მათთვის შემოთავაზებული მეთოდური მასალა (მოდული №3[5], რაც დაეხმარებათ ტრენინგზე მიღებული ინფორმაციების და შესაბამისი უნარების განმტკიცებაში; საველე სამუშაოების ჩატარებამდე შეძლებისდაგვარად შეაგროვონ სწორი ინფორმაცია სამიზნე ჯგუფებზე და დაიცვან მათი შერჩევის კვოტური პრინციპი. განსაკუთრებული დაკვირვებით მოხდეს სიღრმისეული ინტერვიუს ექსპერტის შერჩევა. მასთან წინასწარ გასაუბრებით უნდა დავრწმუნდეთ, რომ რესპონდენტს აქვს როგორც მოტივაცია, გაგვიზიაროს თავისი ხედვები, ასევე - შესაბამისი ექსპერტიზა და სიღრმისეული ცოდნა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

ანგარიშზე მუშაობისას მაქსიმალურად უნდა მოხდეს სწორი ფორმულირებების პრინციპის დაცვა (პრობლემა, საჭიროება, რეკომენდაცია), რათა თავიდან იქნეს არიდებული ის შეცდომები, რომლებიც ხშირად ემართება დამწყებ მკვლევარებს. განმარტებულ იქნა, რომ ფოკუს-ჯგუფის ან ინტერვიუს, გამოკითხვის მიგნებების და დასკვნების აღწერა ხდება ჩვეულებრივი თხრო-

5 https://csoforum.ge/index.php/ka/ka-public/treningis-saxelmzgvanelo

ბითი სტილით, ფაქტების, ტენდენციების, მონაცემების ნეიტრალური კონსტატაციით. შემოთავაზებული რეკომენდაციები კი არის მკაფიოდ გაწერილი სამომავლო საქმიანობა, ასე ვთქვათ, კონსტრუქციული ფორმით გაკეთებული მითითება, რომელიც უნდა შესრულდეს სასურველი მოცემულობის მისაღწევად.

პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციებისთვის ასევე შეთავაზებული იყო წინადადებები, რომ მნიშვნელოვანია, შეიქმნას კონსულტირების, ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლის მწყობრი სისტემა სამიზნე ორგანიზაციებისათვის, რათა საჭიროებისამებრ მოხდეს მათთვის შესაბამისი მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა.

განმარტებული იყო, რომ სამიზნე ორგანიზაციების სხვადასხვა გამოცდილება მათ არათანაბარ სასტარტო პირობებში აყენებს, რის გამოც მიზანშეწონილია მათი რესურსების გათვალისწინებით მოხდეს სამუშაოს განაწილება. კვლევის მონაცემების განზოგადებისა და საბოლოო ანგარიშის მომზადების კუთხით სასურველია კვალიფიციური სპეციალისტების/კონსულტანტების ჩართვა.

მომდევნო ეტაპზე კვლევის ჯგუფის მიერ უკვე საბოლოოდ განისაზღვრა საჭიროებათა კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია: მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის შესწავლა და შეფასება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციების საფუძველზე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება - ადგილობრივი მომსახურების გაუმჯობესებისათვის. განმარტებული იყო, რომ კვლევის მიგნებების შედეგად მოხდება მოქალაქეთა, მათ შორის - განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსახლეობის, საჭიროებათა შესწავლის შედეგად გამოვლენილი პრობლემების და გამოწვევების ადვოკატირება შესაბამის უწყებებში - ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე; მოქალაქეთა პრიორიტეტული საკითხების ინტეგრირება მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმაში PAR ადგილობრივი იმპლემენტაციის ხელშესაწყობად.

განისაზღვრა კვლევის ვადები და გეოგრაფია. საბოლოოდ დადგინდა კვლევის რესპონდენტთა შერჩევა კვოტური პრინციპით, გენდერული მიდგომების გათვალისწინებით, განისაზღვრა სხვა სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები. კვლევის პროცესს სამიზნე მუნიციპალიტეტებში ხელმძღვანელობდნენ კურატორი ორგანიზაციები: კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ - იმერეთში, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ - გურიაში, მეწარმე ქალთა ფონდი - რაჭა-ლეჩხუმში.

საჭიროებათა კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. საბოლოოდ დამტკიცებული კვლევის ინსტრუმენტით, რომლის ინდიკატორები შეთანხმდა პროექტის პარტნიორებთან და შემუშავდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კითხვარები. რაოდენობრივი კვლევისთვის შემუშავდა სტრუქტურირებული კითხვარი/ანკეტა, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა დახურული შეკითხვებისგან, თუმცა რესპონდენტებს ეძლეოდათ საშუალება, დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი მათთვის პრიორიტეტულ საკითხთან დაკავშირებით, ან აერჩიათ პასუხის რამდენიმე ვარიანტი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა და ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუ წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით.

კვლევების შემდეგ მოხდა მონაცემთა პირველადი დამუშავება სამიზნე ორგანიზაციების მხრიდან, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტების მიხედვით გაკეთდა საჭიროებათა კვლევების

ანგარიშები. მათ საფუძველზე გაკეთდა საჭიროებათა კვლევების კონსოლიდირებული ანგარიში.

საჭიროებათა კვლევები პროექტის განმავლობაში ჩატარდა ორჯერ. ორივე ეტაპზე ასახული მიგნებები ეყრდნობა 8 მუნიციპალიტეტში კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების განზოგადებულ ანალიზს და იძლევა წარმოდგენას საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის პროცესში მომსახურების მიღების თვალსაზრისით მოქალაქეთა საჭიროებებზე.

კვლევის გეოგრაფია და სამიზნე ჯგუფები: კვლევამ მოიცვა საქართველოს სამი რეგიონის - იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის 8 მუნიციპალიტეტის მოქალაქეები. აღნიშნული კვლევები რეპრეზენტატულია და იძლევა განზოგადების საშუალებას. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა მოქალაქეთა განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით.

პირველმა კვლევამ[6] მთლიანობაში მოიცვა სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 1425 ადამიანი, აქედან 882 იყო ქალი, ხოლო 543 - მამაკაცი. კვლევის ჩატარების დრო - 2020 წლის აპრილი-მაისი.

მეორე კვლევა[7] ჩატარდა 2021 წლის მაის-ივნისში. რვა სამიზნე მუნიციპალიტეტიდან კვლევაში სულ ჩართული იყო 1455 ადამიანი - 849 ქალი და 606 მამაკაცი. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა ისევ კვოტური პრინციპით, მოქალაქეთა განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით.

კვლევის ორივე ეტაპს გააჩნდა შეზღუდვები - კვლევა ჩატარდა COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, რის გამოც რესპონდენტთა უმეტეს ნაწილს გამოკითხვა და ინტერვიუ ჩაუტარდა ონლაინ რეჟიმში და სატელეფონო კომუნიკაციით.

❑ კვლევის შედეგები: ძირითადი მიგნებები, ტენდენციები

კვლევა ჩატარდა გამჭვირვალობის, ეფექტიანობის და ინკლუზიურობის კომპონენტების გათვალისწინებით.

თვითმმართველობაში ადგილობრივი პროცესების გამჭვირვალობის ხარისხი შეფასდა საჯარო მმართველობის რეფორმის და ელექტრონული მომსახურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის, სერვისებისადმი და საჯარო ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის საფუძველზე. გამოვლინდა ხელის შემშლელი პირობები მომსახურების მისაღებად, კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით: **გაქვთ თუ არა ინფორმაცია საჯარო მმართველობის/სამსახურის რეფორმის თაობაზე? თუ კი, საიდან გაიგეთ ამ რეფორმის შესახებ? მიგაჩნიათ თუ არა, რომ საჯარო მმართველობის რეფორმა გააუმჯობესებს მოქალაქეთა მომსახურების ხარიხს? რამდენად ხართ ინფორმირებული მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ? ბოლო წლის განმავლობაში რომელი მუნიციპალური ელექტრონული მომსახურება გამოგიყენებიათ? თქვენი აზრით, რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი რეფორმის პროცესში იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს**

6 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-3/shesafasebeli/661-2020-09-15-07-34-25

7 https://csoforum.ge/index.php/ka/ka-public/sachiroebisshefaseba-pub/1109-2021-09-10-06-34-35

მოსახლეობისათვის მიწოდებული მომსახურების გამჭვირვალობა და ხარისხი? ადგილობრივი მომსახურების მისაღებად რომელ ელექტრონულ სერვისებს იყენებთ?

თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება მოხდა თვითმმართველობაში არსებული მუნიციპალური პროგრამების მიზნობრიობის და მოქალაქეთა საჭიროებაზე მორგებული მომსახურების ფორმების შეთავაზების კონტექსტში. ასევე შესწავლილ იქნა მოსახლეობის მიერ არსებული ელექტრონული სისტემების გამოყენების ინტენსივობა და წამოყენებულ საკითხებზე რეაგირებით კმაყოფილების ხარისხი შემდეგი ინდიკატორებით: **როგორ ფიქრობთ, იოლია თუ არა თვითმმართველობის უწყებებისათვის სერვისების მისაღებად ელექტრონული ფორმით მიმართვა? ბოლო ერთი წლის განმავლობაში გისარგებლიათ სასურველი უწყების წარმომადგენელთან შესახვედრად, ელექტრონული ჩაწერის პრინციპით? ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, რა საკითხების მოსაგვარებლად მიგიმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებისთვის? თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს მოგიგვარათ თუ არა თვითმმართველობამ კონკრეტული პრობლემა/პრობლემები, რომლისთვისაც მიმართეთ? თქვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს? ფიქრობთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ხდება მოსახლეობისთვის მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის/მიწოდებული მოსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება? და ა.შ.**

თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობა შეფასდა მათ მიერ მონაწილეობის ფორმების გამოყენების, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის საკუთარი წინადადებების მიწოდების ინტენსიურობისა და ადგილობრივ პოლიტიკაზე გავლენის შესწავლის მიხედვით, შემდეგი დაშვებების საფუძველზე: **როგორ ფიქრობთ, აცნობიერებენ თუ არა ადგილობრივი საჯარო მოხელეები მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობას? რა საკითხებში ხდება მოქალაქეთა ჩართულობის წახალისება/უზრუნველყოფა? სამოქალაქო ჩართულობის რომელი ფორმა გამოგიყენებიათ? სურვილის შემთხვევაში, გქონდათ თუ არა საშუალება, მომსახურებასთან დაკავშირებული თქვენი შენიშვნები მიგეწოდებინათ შესაბამისი უწყებისათვის? რა ფორმით მოახერხეთ ეს? რა არის თქვენი მთავარი საჭიროება თვითმმართველობასთან კონსტრუქციული დიალოგის და მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად? რამდენი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იცით ადგილობრივ დონეზე/თქვენი მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ვინც ჩართულია ადგილობრივ პოლიტიკურ დიალოგში? რამდენად ეფექტურია მათი თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოქალაქეთა კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის? დაასახელეთ სამი (ან მეტი) კონკრეტული ღონისძიება, რომელიც გესახებათ საჭიროდ თქვენი ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.**

კვლევების შედეგად მოხდა 8 მუნიციპალიტეტში მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება და შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენა. შემდგომ კვალიფიციური ექსპერტების მიერ განხორციელდა მიღებული შედეგების შეჯერება და კონსოლიდირებული ანგარიშის შექმნა, რომელმაც განაზოგადა არსებული მდგომარეობა საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის ირგვლივ მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები; თვალსაჩინოდ უჩვენა ის საჭიროებები, რომლებიც გააჩნიათ ბენეფიციარებს ელექტრონული სერვისების და, ზოგადად, მუნიციპალური მომსახურების კუთხით.

კვლევების რეკომენდაციების საფუძველზე ყოველ მუნიციპალიტეტში შექმნილი მულტისექტორული სამუშაო ჯგუფების სამოქმედო გეგმებში შეტანილი იყო საკითხები, რომელთა ადვოკატირება მოხდა ადგილობრივ პოლიტიკასა და პრაქტიკაში. განხორციელდა მათი ნაწილის

საბიუჯეტო მხარდაჭერა, შეიცვალა მიდგომები გარკვეული საკითხების მიმართ **(თემაზე უფრო დაწვრილებით - პუბლიკაციის მომდევნო თავში).**

ჩვენთვის საინტერესოა უფრო ზოგადი ტენდენციები, მათი რელევანტურობის კუთხით არსებული მტკიცებულებები: საჭიროებათა კვლევების ორი ეტაპის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა ცხადყვეს, რომ, მიუხედავად საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების სტაბილური ტემპისა, განვლილი პერიოდის მანძილზე დიდად არ შეცვლილა ბენეფიციარების პრობლემები, საჭიროებები და მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილზე მოხდა სათანადო რეაგირება.

ელექტრონული მომსახურების მოდულების თანმიმდევრული დანერგვის და მომსახურების ფორმების დახვეწის მიუხედავად, მოქალაქეთა საკმაოდ დიდ ნაწილს, განსაკუთრებით - მთიანი რელიეფის პირობებში, კვლავაც არ მიუწვდება ხელი ელექტრონულ მომსახურებაზე ინტერნეტის არქონის ან მისი დაბალი სიჩქარის გამო. ასევე - ძალიან ბევრ ბენეფიციარს აქვს სათანადო უნარების დეფიციტი, არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობები. გამოიკვეთა ცენტრიდან მოშორებული თემების ინტერნეტიზაციის, მოქალაქეების ელექტრონული მომსახურების შეუფერხებელი მიღების საჭიროება. მოქალაქეთა აღნიშნულ პრობლემებზე საპასუხოდ რეკომენდებული იყო ინტერნეტ პროვაიდერებთან თანამშრომლობისა და მოქალაქეებისთვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდის საკითხის ადვოკატირება.

პირველი კვლევის ანგარიშში გამოიკვეთა საჭიროება - მოქალაქეების საცხოვრებელ ადგილთან ტერიტორიულად ახლოს განთავსებული, სათანადოდ აღჭურვილი ცენტრების, შესაბამისი პერსონალის უზრუნველყოფა; აღნიშნულ საკითხში მერის წარმომადგენლის ინსტიტუტის პასუხისმგებლობის გაძლიერება, რათა მოხდეს მოქალაქეთა შეუფერხებელი ელექტრონული მომსახურება, განსაკუთრებით კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში.

მეორე კვლევის დროსაც ბევრ მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა პრობლემა ადგილობრივი კადრების სათანადო კვალიფიკაციის კუთხით და დაფიქსირდა საჭიროება მათი შესაბამისი ელექტრონული წიგნიერების, მოქალაქეებისთვის სათანადო მომსახურების გაწევის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ვლინდება ცენტრიდან მოშორებულ თემებში; დგას შესაბამისად აღჭურვილი სივრცეების მოწყობის საკითხი, სადაც მომხმარებელს დაეხმარებიან სათანადო სერვისის მიღებაში. აღსანიშნავია, რომ ბევრ მუნიციპალიტეტში, კვლევების რეკომენდაციების შედეგად, მსგავსი სივრცეების შექმნის, მათი სათანადო აღჭურვის გადაწყვეტილებები მიღებულია და შესაბამისი საბიუჯეტო სახსრებიც გათვალისწინებულია.

საჭიროებათა კვლევებმა ბევრ მუნიციპალიტეტში გამოკვეთა ვებგვერდების სათანადო გამართვის, მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭიროება, რისი გამოსწორებაც, უმეტეს მუნიციპალიტეტებში, ეტაპობრივად ხორციელდება: მოხდა ვებგვერდების მოდერნიზაცია უფრო მოქნილი და მარტივი სისტემის შესაქმნელად; ელექტრონული პლატფორმა შეივსო სათანადო ველებით, გახდა უფრო ინტერაქტიული.

მოსახურების ეფექტიანობის თვალსაზრისით, საჭიროებათა კვლევებმა გამოავლინა გამოწვევა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ ხდება (ან ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს) მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა შესწავლა, არ არის დანერგილი მომსახურების შეფასების მწყობრი სისტემა. ამ კუთხით იკვეთება შემდეგი საკითხის მნიშვნელობა: მოხდეს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის - ყველაზე მოწყვლადების, საჭიროებათა კვლევის, მომსახურების შეფასების სისტემის დანერგვა; მონაცემთა ანალიზის, მათ საფუძველზე არსებული პროგრამების კორექტირება ან ახალი პროგრამების ინიცირება.

რეკომენდაციებში ასახული იყო ამ კუთხით არასამთავრობო სექტორის გამოყენების საკი-

თხის მნიშვნელობა, რაც, გარკვეულწილად, უკვე მიღწეულია - სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაიდო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევების ანგარიშები, რომლებიც ამა თუ იმ სოციალური პროგრამის შეფასებას ითვალისწინებდა; ასევე ჩატარებულია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებათა კვლევები.

გამოვლენილი გამოწვევის საპასუხოდ შემუშავებულია რეკომენდაცია:

„მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მომსახურების ეფექტიანობის შეფასების სტანდარტების დანერგვა მოსახლეობაზე არსებული სერვისების ზეგავლენის და ეფექტიანობის შესაფასებლად. ამისთვის შესაძლოა შეფასების ელექტრონული ფორმების დანერგვა, რათა მარტივად და მინიმალური დანახარჯებით მოხდეს ბენეფიციარებისგან შეფასების მიღება“.

ეს რეკომენდაცია რიგ მუნიციპალიტეტში შესრულებულია და იწყება შეფასების მარტივი და მოსახერხებელი ფორმების დანერგვა, რითაც უკვე მოხდა მომსახურების ხარისხის შეფასება.

კვლევით გამოვლენილი, ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების საპასუხოდ, პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში დაიწყეს კანონით გათვალისწინებული ბიუჯეტის 1%-ის გამოყენება და გათვალისწინებულია რეკომენდაცია:

„თვითმმართველობაში პროფესიული განვითარების კუთხით საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მის საფუძველზე მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და ადგილობრივ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც დეტალურად გაიწერება პროფესიული განვითარების კონკრეტული გეგმა - გათვალისწინებულია, ჩატარდა/ჩატარდება საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსები გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“.

საჭიროებათა კვლევის პირველი ეტაპის და შესაბამისი რეკომენდაციების შემდეგ მისასალმებელია კვლევის სერვისის „გაყიდვის“ პრაქტიკა, როდესაც მუნიციპალიტეტი კვალიფიციური სამოქალაქო ორგანიზაციის რესურსს იყენებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, თუმცა კვლევის მეორე ეტაპის შემდეგ ისევ დგას საჭიროება, რომ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურში მოხდეს საამისო კვალიფიკაციის ამაღლება და იკვეთება სერვისის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობა. მით უმეტეს, ბევრ მუნიციპალიტეტში არის სსოთა მკვეთრი დეფიციტი. კვლევის კონსოლიდირებული ანგარიშის მიგნებით, „მოქალაქეთა ინფორმირების და განათლების, რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგის და კონტროლის განხორციელების, პრობლემათა იდენტიფიცირების და ადვოკატირების საქმეში, რიგ მუნიციპალიტეტში კრიტიკულად მცირეა ადგილებზე ინსტიტუციურად ძლიერი მესამე სექტორის არსებობა“.

საჭიროებათა კვლევის ორივე ეტაპზე გამოიკვეთა გამოწვევა - დეცენტრალიზაციის ნელი ტემპი; რიგ საკითხში მუნიციპალიტეტის შეზღუდული უფლებამოსილებები და თვითმმართველობაში ფულადი რესურსის არათანაზომიერება ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებთან, რაც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ეფექტიანი მომსახურების შეთავაზების თვალსაზრისით.

მოქალაქეები კვლევის ორივე ეტაპზე აფიქსირებდნენ საკუთარ საჭიროებას თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდასთან დაკავშირებით, რაც, მათი აზრით, ადგილობრივ ხელისუფლებას მათ პრობლემებზე მეტი კონცენტრაციის შესაძლებლობას მისცემს (განსაკუთრებული აქცენტი იყო გაკეთებული სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციაზე, კერძოდ - სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებაზე, რაც, მათი აზრით, მეტი სოციალური სამართლიანობის გარანტი იქნება).

ამ გამოწვევების საპასუხოდ ცენტრალური ხელისუფლების მისამართით გაჟღერებული იყო რეკომენდაცია:

„მუნიციპალიტეტის ავტონომიის გაძლიერება და დეცენტრალიზაციის პოლიტიკის პროაქტიული გატარება ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეტი უფლებამოსილების მინიჭების, ფინანსური რესურსების გადაცემის და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის გზით.“

ნათქვამი იყო, რომ სასურველია, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, საქართველოს მასშტაბით ჩატარდეს თვითმმართველობების საჭიროებების და არსებული რესურსების კვლევა - დეცენტრალიზაციის რისკების ანალიზისთვის; სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების მქონე ოჯახების სოციალური დაცვის ხარისხის გაზრდისთვის აუცილებელია, გადაიხედოს სოციალური შეფასებების ამჟამინდელი ცენტრალიზებული სისტემა, რათა არსებული კრიტერიუმები გახდეს უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი; სასურველია, მოხდეს შეფასების სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის განსაზღვრა, რადგან სწორედ მათ მოეპოვებათ ყველაზე ზუსტი ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ-დემოგრაფიულ სურათზე და ყველაზე მეტად აქვთ შეხება სახელმწიფო ზრუნვის საჭიროების მქონე მოქალაქეებთან; სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მინიჭების, გაუქმების ან აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასურველია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სოციალური სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინება. ასევე მნიშვნელოვანია, თვითმმართველობის რეკომენდაციის არსებობისას, შემთხვევების ხელახალი შესწავლის ვადების დაჩქარება, რათა კიდევ უფრო არ დამძიმდეს უკიდურესად მოწყვლადი ოჯახების მდგომარეობა; სასურველია, გაიზარდოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორებიც არის მუნიციპალური ობიექტების სახელდების, ბუნებრივი რესურსების და მუნიციპალური გზების მართვა; მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან თვითმმართველობებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა ელექტრონული მმართველობის ახალი მოდულების დასანერგად.

ამ საჭიროებების საპასუხოდ ჯერჯერობით ქმედითი ნაბიჯები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არ დაფიქსირებულა. მეორე კვლევის მასალებით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი

ისევ დგას დღის წესრიგში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დინამიური ტემპით მიდის, არის მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებების შექმნა. იგი შეიძლება ჩაითვალოს სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციის საკითხზე პასუხად, თუმცა მისი დანერგვა ყველგან ერთნაირი ტემპით არ ხორციელდება.

საჭიროებათა კვლევის პირველი ანგარიშის რეკომენდაცია იყო ინტერაქტიული ელექტრონული ონლაინ პლატფორმების შექმნა, სადაც გამოქვეყნდება ანგარიშები და შესაძლებელი გახდება მოსახლეობისგან უკუკავშირის მიღება და აქტიური კომუნიკაციის წარმოება. მომდევნო საჭიროებათა კვლევისთვის რიგ მუნიციპალიტეტში უკვე დაინერგა ინოვაციური ელექტრონული პორტალი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოქალაქეების ონლაინ კომუნიკაციის, გამჭვირვალე უკუკავშირის სისტემა დანერგა. სასიხარულოა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტების უმეტესობა იწყებს ამ პრაქტიკის მულტიპლიცირებას.

საჭიროებათა კვლევებით ხაზგასმული იყო მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა მონაწილეობის და ინკლუზიური პოლიტიკის ხელშემწყობი ღონისძიებების დანერგვის საჭიროება, მათ შორის - კანონით გათვალისწინებული მონაწილეობის ფორმების ხელშეწყობა: ელექტრონული პეტიციის, მონაწილეობითი ბიუჯეტირების, მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმის - გენდერული თანასწორობის საბჭოს, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, შშმ პირთა საბჭოს (და სხვა) მეტი ქმედითობის ხელშეწყობა მოქალაქეთა ინტერესების დაცვის, საჯარო მმართველობის რეფორმის სრულფასოვანი იმპლემენტაციის პროცესში.

სასიხარულოა, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, პროექტით ხელშეწყობილი ღონიძიებების შედეგად მოხდა ელექტრონული პეტიციის სისტემის დანერგვა, ბიუჯეტით განისაზღვრა მონაწილეობითი ბიუჯეტირების მოცულობა და ადმინისტრირების წესები **(უფრო დაწვრილებით - პუბლიკაციის სხვა ნაწილებში)**, მოხდა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის ღონისძიებების გათვალისწინება.

საჭიროებათა კვლევების ორივე ეტაპზე ხაზგასმული იყო გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების და გენდერული სტატისტიკის აუცილებლობის საკითხი მოწყვლადი ჯგუფების მიმართ უფრო სამართლიანი და ინკლუზიური პოლიტიკის დასანერგად. სასიხარულოა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში გააზრებულია ამ საკითხის მნიშვნელობა. ეს აისახა სამიზნე ორგანიზაციების თვითმმართველობებთან თანამშრომლობით ინიცირებულ პროექტებში, რომლის შედეგად დაიხვეწა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები, დაიწყო მუშაობა გენდერულ სტრატეგიაზე.

მისასალმებელია საჯარო სამსახურის ბიუროს ინტერესის გაზრდა მოცემული გამოწვევის დასაძლევად მუნიციპალიტეტებში და მიმდინარეობს პროცესი, რომელიც აუცილებლად მოიტანს შედეგებს არა მხოლოდ სამიზნე მუნიციპალიტეტებში, არამედ - ზოგადად თვითმმართველობების პრაქტიკაში (ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ფონდი „სოხუმის“ მხრიდან საჯარო სამსახურის ბიუროს მისამართით სხვადასხვა დროს გაჟღერებული იყო არაერთი რეკომენდაცია ამ გამოწვევებზე საპასუხოდ).

საჭიროებათა კვლევების სერიოზულ მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივ თვითმმართველობაში კერძო სექტორის მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ყურადღების გაზრდა. თუ პირველი კვლევის მასალებით მხოლოდ კანტიკუნტად ისმოდა

ამ საკითხზე მკაფიო პოზიციები, მეორე კვლევამ უკვე გამოავლინა ის კონკრეტული სფეროები, სადაც ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია; გამოიკვეთა კვლევის ექსპერტების ხედვები, როგორ შეიძლება კერძო სექტორის დაინტერესება და მათი კორპორაციული პასუხისმგებლობის და ინტერესის გაზრდა ადგილობრივ პროცესებში მონაწილეობის კუთხით.

აღნიშნული თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, როცა თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლები ინტენსივობით მოხდა კერძო სექტორის რესურსის გამოყენება მოწყვლადი ჯგუფების დახმარების საკითხში. კვლევების რეკომენდაცია იყო მსგავსი ადგილობრივი თანამშრომლობის არა ფრაგმენტული, არამედ გრძელვადიანი ხასიათის ხელშეწყობა, რაც აუცილებლად დაეტყობა ადგილობრივი ზრუნვის თუ სხვადასხვა ჯგუფის გაძლიერებისკენ მიმართულ პოლიტიკას და ამიტომ აუცილებლად უნდა წახალისდეს.

საჭიროებათა კვლევაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო არასამთავრობო სექტორის როლს რეფორმის წარმატების საკითხში. კვლევების ორივე ეტაპზე გამოიკვეთა, რა საჭიროების საპასუხოდ თვლიან სსო-ს ინტერვენციას მნიშვნელოვნად როგორც მოქალაქეები, ასევე - ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს არის მოქალაქეთა ინფორმირება საჯარო მმართველობის რეფორმის, ელექტრონული მომსახურების თაობაზე; პროექტები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის გაძლიერებისათვის, საჭიროებათა კვლევების და მომსახურების შეფასების კუთხით მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და სხვა.

რეკომენდაციებში ხაზგასმული იყო ადგილობრივი სსო-ების წახალისების და გაძლიერების მნიშვნელობა, რაც ხელშეწყობილი იყო თავად პროექტით და აისახა როგორც უკვე არსებული სსო-ების მხარდაჭერაში, ასევე - მოქალაქეთა აქტიური ჯგუფების წიაღში ახალი სსო-ების დაფუძნების ხელშეწყობაში, რათა მოხდეს იმ აქტორების რიცხვის გაზრდა, ვინც მონაწილეობს მოქალაქეთა საჭიროებების ადგილობრივ დონეზე ადვოკატირებაში.

საჭიროებათა კვლევებშივე გამოიკვეთა ის საკითხები, რომელთა მიმართ შემდგომში სამიზნე სსო-ებმა გააკეთეს ინტერვენცია: ვებგვერდის მოდერნიზაცია და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; ელექტრონული პეტიციის გამართვა; ინფორმირება ელექტრონულ მომსახურებაზე; გენდერული თანასწორობის საკითხების გააქტიურება; საჭიროებათა კვლევების ჩატარება; მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა; ანტიკორუფციული ღონისძიებების ხელშეწყობა და ა.შ.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საჭიროებათა კვლევების რეკომენდაციებში აისახა საკითხი - ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერება მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ეფექტიანად და დროულად გადასაჭრელად. ამ რეკომენდაციის საპასუხოდ სათანადო საქმიანობა განხორციელდა სამუშაო ჯგუფების ინტერმუნიციპალურ ფორმატში, როდესაც სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მოწვევით მოხდა გამოცდილების გაზიარება მოქალაქეთა საჭიროებების საპასუხო თემებში. ამ საკითხს მიეძღვნა პროექტის ფარგლებში გამართული დებატების სერია **(უფრო დაწვრილებით - პუბლიკაციის მომდევნო ნაწილებში).**

საჭიროებათა კვლევების დოკუმენტების, კონსოლიდირებული ანგარიშების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყო როგორც ფონდი „სოხუმის“, მუნიციპალიტეტების ოფიციალურ საიტებზე, ასევე - ბეჭდური ვერსიით. ანგარიშები ითარგმნა ინგლისურ ენაზე და განთავსდა ელექტრონულ პლატფორმებზე.

უზრუნველყოფილი იყო შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მედიის წარმომადგენლებთან - კონფერენციებით, ბრიფინგებით, სატელევიზიო გადაცემებით. სხვადასხვა სააგენტოში დაიბეჭდა შესაბამისი მასალები კვლევის მიგნებებზე, გამოკვეთილ საჭიროებებზე.

❑ საჭიროებათა კვლევების ბენეფიტები სამიზნე ორგანიზაციებისთვის

პროექტის შესაბამისმა კომპონენტმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა 16 სამიზნე ორგანიზაციის ისტორიაში. მათ არა მხოლოდ შეუწყვეს ხელი საჯარო მმართველობის რეფორმის ადგილობრივ იმპლემენტაციას, თვითმმართველობის პასუხისმგებლობაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების რეალიზაციას; კომუნიკაციას მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ სამოქალაქო ჯგუფებს შორის, რითაც ბიუჯეტში აისახა სხვადასხვა საჭიროებაზე დაფუძნებული პროგრამები, არამედ, კვლევების შედეგად, ისინი შეიარაღდნენ მტკიცებულებებზე დაფუძნებული შესაბამისი მნიშვნელოვანი ინფორმაციებით, მიიღეს ახალი ცოდნა ბენეფიციართა საჭიროებებზე, თვითმმართველობაში მიმდინარე სოციალურ პროცესებზე, გახდნენ ანგარიშგასაწევი აქტორები ადგილობრივ სამოქალაქო პროცესებში, გააღრმავეს ბენეფიციართა ნდობა და გაზარდეს ორგანიზაციების ცნობადობა, მიიღეს ახალი უნარ-ჩვევები, ან აიმაღლეს არსებული ცოდნა საჭიროებათა შესწავლის, მონაცემთა შეგროვების და ინტერპრეტირების პროცესში. შეიძინეს ახალი კონტაქტები და ახალ საფეხურზე აიყვანეს ინტერმუნიციპალური პარტნიორობა და გამოცდილების გაცვლა. ერთი სიტყვით, ჩაწერეს ახალი სიტყვა ორგანიზაციების ბექგრაუნდში.

თავი IV

სამუშაო ჯგუფები - მუნიციპალურ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის იმპლემენტაციის მექანიზმი

სამუშაო ჯგუფები - მუნიციპალურ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის იმპლემენტაციის მექანიზმი

გურანდა გვანცელაძე
პროექტის ასისტენტი

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

რატომ არის საჭირო ჯგუფების შექმნა, როცა ადგილებზე უკვე აქტიურად მუშაობენ ჩვენი პარტნიორი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები? რა მისია დაეკისრება ჯგუფებს? - ეს ის შეკითხვებია, რომლებიც თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში გვესმოდა, როდესაც პროექტის ახალ ეტაპზე ამ მექანიზმის დანერგვას შევუდექით.

ჩვენი პასუხი კი ერთი იყო, იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა: მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიური მუშაობა ადგილებზე სწრაფ და თვალსაჩინო შედეგს ვერ მოგვცემდა; ამ პროცესებში მნიშვნელოვანი წვლილი მათთან ერთად ისევ და ისევ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს უნდა შეეტანათ.

საჯარო მმართველობის რეფორმის დასანერგად PAR-ის ახალ სამოქმედო გეგმაში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებული იყო ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე - მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში. ამის დანერგვა კი ადგილობრივ დონეზე, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნებოდა ძლიერი სათანადო მექანიზმის შექმნის გარეშე.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგის 4 ეტაპი და ადგილობრივი საჭიროებების კვლევის 2 ეტაპი, რომელშიც მონაწილეობდა პროექტში ჩართული 16 სხვადასხვა პროფილის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია 8 მუნიციპალიტეტში. ამ მონიტორინგების შედეგად გამოვლენილი რეკომენდაციების ადვოკატირების საუკეთესო მექანიზმად საპროექტო განაცხადში მოაზრებული იყო სამუშაო ჯგუფები.

აქედან გამომდინარე, ადგილებზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურულ დანაყოფებს შორის კოორდინაციის და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, ასევე მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის და მათზე რეაგირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში შეიქმნა რვა ინტერსექტორული „სამუშაო ჯგუფი". ის წარმოადგენს სამიზნე მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეფორმის ჯეროვნად განხორციელების მიზნით შექმნილ პირველ საკოორდინაციო მექანიზმს, რომელმაც გააერთიანა ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (მათ შორის - „ფორუმის" წევრების), მედიის და მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, მარტოხელა ქალები, დევნილები, მრავალშვილიანი ოჯახები და ა.შ.) წარმომადგენლები (10-12 ადამიანი).

მუნიციპალიტეტებში ჯგუფების შექმნას წინ უძღოდა კონსულტაციები ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებელ პირებთან, რათა მათთან შეთანხმებით მომხდარიყო სამუშაო ჯგუფის ფორმირება. აღსანიშნავია, რომ მათი მხრიდან პროექტის ამ კონკრეტული აქტივობის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება დაფიქსირდა. რადგან ძალიან აქტიური მუშაობა იყო წარმართული როგორც პროექტის განმახორციელებლების, ასევე - პარტნიორო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. განსაკუთრებით ზედმიწევნით იქნა შერჩეული ჯგუფის წევრი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რადგან ისინი მთავარ ლობისტებად მოიაზრებოდნენ სამუშაო გეგმაში შეტანილი მიზნების განსახორციელებლად ადგილობრივ დონეზე.

სამუშაო ჯგუფების შექმნის ძირითადი მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარებული მონიტორინგის და საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ასახვა ჯგუფის სამუშაო გეგმაში, მათი შემდგომი ადვოკატირებისთვის ადგილობრივ გეგმებში და, შესაბამისად, ბიუჯეტებში.

სამუშაო ჯგუფის საქმიანობა, ფუნქციები, უფლებამოსილებები განისაზღვრა შესაბამისი დებულებით და დამტკიცდა მუნიციპალიტეტების მიერ. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობისას, ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მართვის სისტემების გასაუმჯობესებლად, „სამუშაო ჯგუფებმა" შეიმუშავეს ადგილობრივი სამოქმედო გეგმები - „ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების 2020-2021 წწ. ერთობლივი სამოქმედო გეგმა საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის განხორციელებისთვის", რომლებიც განხილული, მიღებული და დამტკიცებულია საკრებულოების მიერ.

ადგილობრივი სამოქმედო გეგმები მოიცავს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები შესაბამის მუნიციპალიტეტში. ეს შეიძლება გულისხმობდეს ვებგვერდზე ფინანსური ანგარიშების რეგულარულად გამოქვეყნებას, ელექტრონული სერვისების რაოდენობის გაზრდას და ა.შ. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე საქმიანობის საჭირო ხარისხის შენარჩუნებას და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობას.

აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმა მოიცავს გარკვეულ მიზნებსა და ამოცანებს,

რომლებიც მიმართულია საჯარო მმართველობის რეფორმის შესრულების მონიტორინგის და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და არსებული პრობლემების მოგვარებისკენ, რათა მიღწეულ იქნას ეფექტიანი, გამჭვირვალე და ინკლუზიური მმართველობა.

შესაბამისად, გეგმაში სამი მთავარი მიმართულება განისაზღვრა: ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა; ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა; ადგილობრივი მმართველობის ინკლუზიურობის გაზრდა.

ამ მიზნების მისაღწევად დაგეგმილი იყო შესაბამისი ამოცანები, რაც საჯარო მმართველობის რეფორმის ადგილობრივ დონეზე იმპლემენტაციის პროცესს შეუწყობდა ხელს. ამისთვის კი ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობის ხელშეწყობად დაიგეგმა მუნიციპალიტეტების ვებგვერდების განახლება და საზოგადოების ინფორმირება საიტის გაზრდილი ფუნქციონალური მონაცემების შესახებ, ასევე ანტიკორუფციული ზომების მიღების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტების ცხელი ხაზის დანერგვა და მისი მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა.

რაც შეეხება ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდას, ამ კუთხით გეგმებში გაიწერა პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხის სტანდარტიზაციის პროცესის ხელშეწყობა და თანმიმდევრული განხორციელება ელექტრონულ სერვისებზე აქცენტის გაკეთებით, ასევე მუნიციპალიტეტის ვებგვერდებზე ინფორმაციის განთავსება მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან და სხვა პირველ პირებთან შეხვედრებისათვის გამოყოფილი დღეების რაოდენობის შესახებ.

მესამე მიზნის მისაღწევად, რომელიც ეხება ადგილობრივი მმართველობის ინკლუზიურობის გაზრდას, დაიგეგმა შემდეგი ამოცანები: გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა ელექტრონული რესურსების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შეფასების დანერგვას, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას მოქალაქეებთან, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქმედი მრჩეველთა საბჭოსა და სხვა საბჭოების მუშაობის გაძლიერებას.

დასახული მიზნების მისაღწევად სამუშაო ჯგუფის წევრები აქტიურად მუშაობდნენ. ტარდებოდა ყოველთვიური გეგმიური შეხვედრები. მუნიციპალიტეტებში არსებულ ჯგუფებს, საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ ერთმანეთთან.

სამუშაო ჯგუფების ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქმიანმა ურთიერთობებმა მჭიდროდ დააკავშირა სამოქალაქო სექტორი და თვითმმართველობის წარმომადგენლები. ასწავლა მათ ერთად, ერთიანი ძალებით, მუნიციპალიტეტისათვის საჭირო საქმეების კეთება.

მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ორივე მხარის გამაერთიანებელი ინტერესები და შეიქმნა თანამშრომლობის ახალი პლატფორმა, რამაც ყველა მუნიციპალიტეტისთვის ბევრი კარგი შედეგი დადო. განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანი ამ პროცესებში იყო სამოქალაქო სექტორის ჩართულობა. ეს ჯგუფი, ფაქტობრივად, საზოგადოების ინტერესების ყველაზე აქტიური „გამტარი“ აღმოჩნდა.

მუნიციპალიტეტებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა საშუალება მოგვცა, მიზანმიმართულად მომხდარიყო საზოგადოების საჭიროებების სისტემატური გაჟღერება. ეს ორივე მხარისთვის

ღირებულ მექანიზმად იქცა. თვითმმართველობისთვისაც ბევრი ისეთი საკითხი წამოატივტივა, რაც მათი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

სამუშაო ჯგუფებმა აქტიურად დაიწყეს მუნიციპალიტეტებში პროექტის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი და მათზე რეაგირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აქტივობების დაგეგმვა. რა თქმა უნდა, დინამიკა მონიტორინგებს შორის იცვლებოდა და ჯგუფების აქტიურობის შედეგიც, ყოველი მონიტორინგის შემდეგ, ნათლად იკვეთებოდა. პირველი მონიტორინგისგან განსხვავებით, ყოველი მომდევნო მონიტორინგის ჩატარების დროს მცირდებოდა რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომელიც პერიოდულად ისახებოდა სამუშაო ჯგუფების გეგმებში.

თუკი პროექტის დინამიკას მივყვებით, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შედეგები შემდეგნაირად შეიძლება დავალაგოთ:

- შესაძლებელი გახდა თანამდებობების პირთა საკონტაქტო ინფორმაციების განთავსება რვავე მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.
- დაინერგა სხვადასხვა სამსახურის ელექტრონული ანგარიშების გამოქვეყნების პრაქტიკა, ასევე საჯარო ინფორმაციების: ბრძანებების, განკარგულებების, შესყიდვების ანგარიშების, აუდიტის დასკვნების გამოქვეყნების წესის შესრულება.
- განისაზღვრა და ვებგვერდებზე განთავსდა მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიღების დღეები და საათები.
- მუნიციპალიტეტებში მოქალაქეებთან ონლაინ კომუნიკაციის გასაძლიერებლად ამოქმედდა „ცხელი ხაზი."
- ეტაპობრივად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების ვებგვერდების მოდერნიზება და იხვეწება ცალკეული მომსახურების დიზაინი. გაუმჯობესებულია მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული პლატფორმები და ელექტრონული რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა.

შედეგების კუთხით, რიგ მუნიციპალიტეტს თავისი გამოკვეთილი ნიშაც ჰქონდა. მუშაობა, მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად განსხვავებულად მიმდინარეობდა:

- ოზურგეთის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად, 2020-2021 წწ. ბიუჯეტში შევიდა ხარჯი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შენობის ადაპტირებას შშმ პირთათვის. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება მერიამ და 2021 წლის ბიუჯეტში შეტანილ იქნა ხარჯი ეთნიკური უმცირესობების (რუსულენოვანი) თარჯიმნით უზრუნველყოფისთვის. სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის - „იყავი თანამმართველი" დაფინანსება მუნიციპალიტეტის ბიუ-

ჯეტში გაიზარდა. დაწყებულია მუნიციპალური მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების შეფასების პრაქტიკის დანერგვა და შემუშავებულია შეფასებისთვის საჭირო ფორმები.

- ❖ ლანჩხუთის სამუშაო ჯგუფის ინიციატივით შემუშავდა საჯარო მოხელეთა ტრენინგ-სტრატეგია, დაინერგა ელექტრონული კომუნიკატორი პანდემიურ პერიოდში საკრებულოს და მერიის თანამდებობის პირებთან საკომუნიკაციოდ. ონლაინ აპლიკაცია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული მენეჯერი“ ითვლება ინოვაციურ ტექნოლოგიად და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მერიაში გამოიყო სამოქალაქო ორგანიზაციებთან ურთიერთობისთვის პასუხისმგებელი პირი.
- ❖ ვანის მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთმა პირველმა შეძლო „მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის“ ოფიციალურად დამტკიცება. შემუშავდა და დამტკიცდა ეთიკის კოდექსი საკრებულოს წევრთათვის.
- ❖ ეთიკის კოდექსი შემუშავებულია და დამტკიცებულია ცაგერისა და ხონის მუნიციპალიტეტებში.
- ❖ შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის თვალსაზრისით, პროგრესი შეიმჩნევა ბაღდათის და ხონის მუნიციპალიტეტებში, საკითხის პრიორიტეტულობა კარგად იქნა შეფასებული მუნიციპალიტეტის მიერ და მოხერხდა ადაპტირებული გარე სივრცის მოწყობა შშმ პირებისთვის.
- ❖ პოზიტიური ცვლილებები ინკლუზიური მიმართულებით სხვადასხვა მიმართულების საბჭოების შექმნით გაგრძელდა, მაგალითად, ვანის მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.
- ❖ თერჯოლაში აქტიურად მიდის მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გაზიარების გამოყენებით და ყველა პირობაა შექმნილი მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვისთვის.
- ❖ ვანის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მოდერნიზაციისთვის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა.
- ❖ ანტიკორუფციული დებულება შემუშავებული და დამტკიცებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.
- ❖ ბაღდათში მუნციპალიტეტის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც დამტკიცების პროცესშია. მსგავს დოკუმენტზე მუშაობს ვანის სამუშაო ჯგუფიც.
- ❖ ონლაინ პეტიციის ველი ჩაშენდა ხონის, ვანისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე.

სამუშაო ჯგუფები შეიძლება აღიარებულ იქნას ელექტრონული მმართველობის ეფექტიანი განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. მათი აქტიური მუშაობის შედეგად გაიზარდა საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობა ელექტრონულ მმართველობაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის და ჩართულობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ეს იყო საუკეთესო პლატფორმა მოსახლეობის საჭიროებების ერთობლივი ძალისხმევით გადასაჭრელად, თვითმმართველობასთან კოორდინირებული თანამშრომლობის პრაქტიკის დასანერგად, რამაც ხელი შეუწყო თვითმმართველობის კეთილგანწყობას და მოსახლეობის ნდობის ამაღლებას.







თავი V

ადვოკატირება ნაციონალურ დონეზე - მიღებული გაკვეთილები



 კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი"
CULTURAL-HUMANITARIAN FUND "SUKHUMI"

ქ. ქუთაისი, მეგლებლიშვილის 6
6 Mgalobliashvili, Kutaisi, Georgia
Tel +995 597 40 51 46; 27 13 68
ქ. თბილისი, „მიწაყლის" ქ. №29/29 „ა", №2
29/29a, №2 Mitskevichi St, Tbilisi, Georgia
Tel. +995 599 73 47 57; +995 574 73 47 57

womansukhumi@gmail.com
www.fsokhumi.ge
www.facebook.com/fsokhumi
Skypename: fund.sukhumi

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSO Forum

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას,
საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს,
საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს,

ფონდი „სოხუმის" და დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების
ორგანიზაციების ფორუმის

მიმართავ

KA020107278320621

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 12/3951

23 / ივნისი / 2021 წ.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმს"

ელ.ფოსტა: fundsukhumithilisi@gmail.com

თქვენს 2021 წლის 28 მაისის N18345 მიმართვასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციაში მემავალ საკითხებზე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის N60 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს ფარითობლოვანი ქცევების განვითარების 2020 – 2025 წლების ერთიანი სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა", რომელიც სამინისტროს მიერ მომზადებული იქნა ევროკავშირის „ციფრული ბარრების პარტნიორობის" პროექტის HDMIEU4Digital-ის დაფარვლებში. მსოფლიო ბანკის საექსპერტო დახმარებით. სტრატეგია მემუშავებულია ევროკავშირის გიგაბიტ სანოგადოების სტრატეგიის მიზნებთან თანხვედრაში. სტრატეგიის მიმანია ჯერ კიდევ პრიორიტეტი ციფრული ეკონომიკის და ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო სანოგადოების განვითარების მიმინით ევროკავშირის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი პოლიტიკის და რეგულირების

ადვოკატირება ნაციონალურ დონეზე - მიღებული გაკვეთილები

ეკატერინე გამახარია
ადვოკატირების მენეჯერი
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

ადვოკატირების პრინციპები და არხები

ადვოკატირება ჯანსაღი დემოკრატიის საფუძველია, რადგან ის ადამიანთა ჯგუფის გაერთიანებას, თანამშრომლობას და მონაწილეობას ეფუძნება სოფლებში, ქალაქებსა თუ ქვეყანაში მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს, უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის და მათ ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებების მოსახდენად.

ფონდი „სოხუმის“ საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უმთავრეს პრინციპს, მოსახლეობის კეთილდღეობის და ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად, მათ ცხოვრებაში არსებული საჭიროებების და გამოწვევების იდენტიფიცირება წარმოადგენს, რომელსაც თან ერთვის ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება და გაძლიერება და მათთან კონსულტაციების შედეგად განსაზღვრული პრიორიტეტული საკითხების აქტუალიზაციის, ანდა არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირებზე ზეგავლენის მოხდენა.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტიანი და ჯეროვანი გატარების ხელშესაწყობად **ეროვნულ დონეზე განხორციელებული** ადვოკატირებაც ამ **ძირითად პრინციპებს დაეყრდნო**:

- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემების შეგროვება** და პრობლემების იდენტიფიცირება საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის და გატარებული რეფორმის ეფექტიანობის და მოსახლეობაზე ზეგავლენის შესწავლის გზით;
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან აქტიური **კონსულტაციების გზით პრიორიტეტული საკითხების და ძირითადი გამოწვევების გამოყოფა**;
- სხვადასხვა ფორუმის თუ პლატფორმის გამოყენებით **გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების და გამოწვევების გადასაწყვეტად აუცილებელი გზების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.**

პროექტის მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული პრობლემების აქტუალიზაცია და გადაწყვეტილების მიმღებთა ყურადღების მიპყრობა მრავალი არხით ხდებოდა, მათ შორის:

- დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის ადგილობრივ დონეზე PAR-ის განხორციელება, პროგრესსა და აღნიშნული რეფორმის ეფექტიანობის შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული **ანგარიშების და კვლევების** გაზიარება;
- **საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს** სხდომებში მონაწილეობა და სახელმწიფო უწყებებში, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობისა და მომსახურებების ჯეროვანი დანერგვისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება;

- PAR-ის ახალი სტრატეგიისა და 2021 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციის მონაწილეობა **ფოკუს-ჯგუფებსა და კონსულტაციებში;**
- სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით გამართულ კონფერენციებში, ტრენინგებსა თუ ვორკშოპებში მონაწილეობის მიღება, მიღწევების და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება;
- სამოქალაქო ფორუმში გაერთიანებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან **ერთობლივი მიმართვების გაგზავნა.**

წარმატების ისტორია

ინტერნეტიზაცია - ადგილობრივ თვითმმართველობაში ელექტრონული სერვისების განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა

იდენტიფიცირებული პრობლემა - ინტერნეტის სუსტი დაფარვა; ელექტრონული სერვისების განვითარების და ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი ფაქტორი

საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების 2019-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოცანა:

- **თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება;**
- **ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.**

ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარება, ელექტრონული მომსახურების პლატფორმების განვითარება და მათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით COVID-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში.

ჩვენი პუბლიკაციის შესაბამის თავებში ითქვა: თვითმმართველობებში განხორციელებული მონიტორინგის და მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ **მოსახლეობის ელექტრონული მომსახურების ხელმისაწვდომობას** და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის ჯეროვნად განხორციელებას მნიშვნელოვნად აფერხებს სამიზნე რეგიონებში **ინტერნეტის სუსტი დაფარვა.** ხარისხიანი ინტერნეტისადმი ხელმიუწვდომლობა, რაც განსაკუთრებით პრობლემური და აქტუალურია სოფლების მოსახლეობისთვის; შეუძლებელს ხდის მოსახლეობის მხრიდან ისეთი სერვისების გამოყენებას, როგორებიც არის: ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება, საკრებულოს თუ მერიის წარმომადგენლებისთვის წერილების, განცხადებების და პეტიციის გაგზავნა, ონლაინ საჯარო განხილვებში მონაწილეობა, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამებში ჩართვა და ა.შ. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობის თქმით, ისინი, ფაქტობრივად, ვერ ახერხებენ ცენტრალურ დონეზე არსებულ სხვადასხვა საჯარო ელექტრონულ სერვისზე წვდომას, მოწყვლადი მოსახლეობისთვის სახელმწიფო თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის სერვისების გამოყენებას, ხარისხიანი განათლების მიღებას და ონლაინ რეჟიმში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას. ელექტრონული სერვისებისადმი ხელმი-

საწვდომობას ასევე აფერხებს **ინტერნეტის საფასურის სიძვირე, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებების (კომპიუტერი, სმარტფონი) არქონა და მათი გამოყენების სუსტი უნარ-ჩვევები.**

პრობლემის აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები

- ❑ არსებული პრობლემის ამსახველი **მონიტორინგის ანგარიშების და მოსახლეობის საჭიროებათა კვლევების და მიზნობრივი წერილების გაგზავნა** შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის;
- ❑ სხვადასხვა ფორუმზე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საყურადღებოდ აღნიშნული საკითხის აქტუალიზაცია;
- ❑ ფონდი „სოხუმის" მიერ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან, სამოქალაქო ფორუმში გაერთიანებული რვა მუნიციპალიტეტში მოქმედი 33 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ხელმოწერილი, პრობლემის და შესაბამისი რეკომენდაციების ამსახველი **მიმართვის გაგზავნა.**[8]

ადგილობრივ ხელისუფლებასთან აქტიური მუშაობა, განსაკუთრებით - პროექტის ფარგლებში, ადგილებზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშესაწყობად შექმნილი სამუშაო ჯგუფების მეშვეობით, სადაც მუდმივად ხდებოდა თვითმმართველობის თანამდებობის პირების ყურადღების მიპყრობა ელექტრონული სერვისების განვითარების მნიშვნელობაზე და მათი მხრიდან ინტერნეტიზაციის საკითხის წინ წამოწევის მიმართულებით მეტი ძალისხმევის აუცილებლობაზე.

ადვოკატირების პოზიტიური შედეგები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ფონდი „სოხუმის" მიმართვაზე **საპასუხო წერილში** დაადასტურა, რომ 2020 წლის 10 იანვარს, N60 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020–2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა", რომლის მიზანია ჯერ კიდევ არსებული ციფრული უთანასწორობის დაძლევა და, ქვეყანაში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების მიზნით, ევროკავშირის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი პოლიტიკის და რეგულირების გატარება სხვადასხვა მიმართულებით. „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020–2025 წლების ეროვნული სტრატეგიის" ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით, მსოფლიო ბანკთან დაიწყო „Log-in Georgia" პროექტი, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება: 1. ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის ზრდა; 2. მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა; 3. პროექტის დანერგვის მხარდაჭერა. სოფლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით დაფარვის ზრდის გარდა, ქვეყნის მასშტაბით იგეგმება ტრენინგისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამების ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს ციფრული სერვისების გამოყენებას. პროექტი ასევე ითვალისწინებს

8 http://fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/genderi-meinstriming/item/11129-2021-05-28-12-23-02

ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რათა სოფლად ინტერნეტ პროვაიდერებმა დაბალ ფასად შეძლონ კონკურენტული მაღალხარისხიანი ინტერნეტ სერვისის მიწოდება. იგეგმება სპეციალური ღონისძიებების განხორციელება ქალების, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ინტერნეტითა და ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშესაწყობად.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატირების და მრავალმხრივი ძალისხმევის შედეგად, სადღეისოდ, პროექტის სამიზნე ცალკეულ მუნიციპალიტეტებში აქტიურად დაიწყო ინტერნეტიზაციის პროცესი. კერძოდ კი, **ვანის მუნიციპალიტეტში დაიდო ხელშეკრულება** რამდენიმე პროვაიდერ კომპანიასთან, რომლებიც ინტენსიურად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სრულ ინტერნეტიზაციას, ხოლო **ბაღდათის** მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მოლაპარაკება ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რომლის დასრულება ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

ადგილობრივი თვითმმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმას, თუ რა ბიძგი იქონია ფონდი „სოხუმის“ მიერ ორივე დონის - ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების - მიმართულებით განხორციელებულმა ძალისხმევამ, კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში ინტერნეტიზაციის საკითხის აქტუალიზაციის და პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

მიღებული გაკვეთილები

პროექტის მიმდინარეობისთვის გამოიკვეთა რამდენიმე ღირებული გაკვეთილი, რომელიც ხელს უწყობდა ადვოკატირების კამპანიის ეფექტიანობას.

ერთიანობა აძლიერებს - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთიანი პლატფორმის შექმნამ და მათი ძალისხმევის გაერთიანებამ გაცილებით ეფექტიანი გახადა ადვოკატირების კამპანია. პროექტის ფარგლებში გაერთიანებული ორგანიზაციები განსხვავდებოდნენ სიდიდით, გამოცდილებით, ორგანიზაციული შესაძლებლობებით და გეოგრაფიული ფოკუსით. ცალკე მოქმედება გაცილებით ნაკლებ ზემოქმედებას მოახდენდა საკითხთა აქტუალიზაციაზე. გაერთიანებულმა ძალისხმევამ და სამოქალაქო ორგანიზაციების ფორუმის სახელით მოქმედებამ დიდი გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან ყურადღების მიქცევის და სოციალური დაკვეთის ვალიდურობის თვალსაზრისით.

საკონსულტაციო მიდგომის და ინტერსექტორული თანამშრომლობის მნიშვნელობა - ადვოკატირების კამპანია ეფუძნებოდა მონიტორინგისა და მოქალაქეთა საჭიროებათა კვლევების შედეგად მოპოვებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. პრობლემათა იდენტიფიცირება და პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა ხდებოდა მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და თავად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით და მათთან კონსულტაციებით, რაც სძენდა ადვოკატირების პროცესს უფრო მეტ სიმძაფრეს და ლეგიტიმურობას; ყველა შემუშავებული რეკომენდაციის და განხორციელებული ქმედების მიმართ კუთვნილების და ნდობის შეგრძნებას აჩენდა როგორც მოსახლეობაში, ასევე - ადგილობრივ თვითმმართველობაში.

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ღიაობა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობისთვის ფორუმების და პლატფორმების შექმნა (მაგ., საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს მუშაობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა) მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ადგილებზე არსებულ პრობლემებზე გადაწყვეტილების მიმღებებთან კომუნიკაციას.

თავი VI

რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მცირე გრანტების გავლენა მუნიციპალიტეტებში ცვლილებებზე (პროგრესის საუკეთესო მაგალითები)


დაგეგმვის ეტაპები
1. საკითხი - რისი განხორციელება გვსურს/რომელ პრობლემას ვაგვარებთ/გარემოს ანალიზი/ორგანიზაციის რესურსების შეფასება?
2. მიზანი – რა აქტივობები მიგვიყვანს მეფეგამდე?
3. სამიზნე აუდიტორია
– ვინ არიან ბენეფიციარები?
– ვის ინტერესში შედის ჩვენი მხარდაჭერა?
- ვის შეიძლება არ დაეთანხმოს პროექტს?
4. განსახორციელებელი ვენერი;
5. ინფორმაციის მოძიება, კავშირების დამყარება და რესურსების მოძიება – მხარდამჭერების მობილიზების სტრატეგია;
6. სამოქმედო გეგმის შემუშავება;
7. მონიტორინგის გეგმის შემუშავება;
8. კომუნიკაციის გეგმის შემუშავება;
9. ბიუჯეტის განსაზღვრა;

რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მცირე გრანტების გავლენა მუნიციპალიტეტებში ცვლილებებზე (პროგრესის საუკეთესო მაგალითები)

მერი გელაშვილი
პროექტის კოორდინატორი

მეწარმე ქალთა ფონდი

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) წარმატებით განხორციელება ფუნდამენტურ როლს ასრულებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე და საქართველოს წარმატებული განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.

რეფორმის მიმდინარეობაში სამოქალაქო საზოგადოების სექტორისა და მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა რეფორმის წარმატების საწინდარია და ის უზრუნველყოფს არა მარტო ქვეყნის დემოკრატიულ, ღია და ხალხის საჭიროებებზე გათვალისწინებული გადაწყვეტილებების დანერგვას, არამედ ზრდის მოსახლეობის ნდობას პოლიტიკური სისტემის მიმართ და აძლიერებს მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმიზაციას.

რეფორმის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა თვით რეფორმაში ჩადებული წინაპირობა - სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების მჭიდრო თანამშრომლობა.

ეს ტანდემი, მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მმართველობის სამმართველოსა და პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის მაისის ანგარიშშიც არის აღნიშნული: „საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ საჯარო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიის, საერთაშორისო ორგანიზაციების/განვითარების პარტნიორების წარმომადგენლები.“

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო სამიზნე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა რეფორმის პროცესში. ამისთვის იყო დაგეგმილი და განხორციელებული არა მარტო მათი ჩართულობა საპროექტო აქტივობებში, არამედ - ამ ორგანიზაციების გაძლიერება სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, შემდგომ, კონკურსის საფუძველზე, „მცირე გრანტების“ დაფინანსებით, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განხორციელების პროცესში პროგრესისა და ცვლილებების ხელშეწყობას.

მოცემულ თავში გაანალიზებულია სამიზნე მუნიციპალიტეტებში მცირე გრანტების განხორციელების შედეგად მიღებული ცვლილებების ანალიზი და განხილულია პროგრესის საუკეთესო მაგალითები.

პროექტით გათვალისწინებული იყო სამიზნე ორგანიზაციების მცირე გრანტების დაფინანსება. კომპონენტი განხორციელდა სამივე რეგიონის (იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი) თექვსმეტივე სამიზნე ორგანიზაციაში. მომდევნო ეტაპზე მათ შეუერთდა პროექტის ფარგლებში დაფუძნებული კიდევ 14 ახალი ორგანიზაცია.

საგრანტო კონკურსი გამოცხადდა სამჯერ:

პირველი - 2020 წელს, რომლის ფარგლებში დაფინანსდა 16 პროექტი;

მეორე და **მესამე** - 2021 წელს. ჯერ დაფინანსდა 16 პროექტი, შემდეგ კი - ახალშექმნილი ირგანიზაციების 14 პროექტი.

სულ დაფინანსდა და განხორციელდა 46 პროექტი.

1-ლი საგრანტო კონკურსით (2020წ.) დაფინანსებული პროექტები:

№	ორგანიზაციის დასახელება	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება
1	ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი	ხონი	„მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად ხელმისაწვდომობის გაზრდა მოქალაქეებისთვის“
2	განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“	ხონი	„საზოგადოების ხმა თვითმმართველობაში“
3	„თანადგომა - 2020“	ვანი	„მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის პროცესში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ“
4	ა(ა)იპ “მოქალაქეთა აქტიურობა ეფექტიანი მმართველობისა და სამართლიანობისათვის“	ვანი	„ვანის მუნიციპალიტეტის სალომინაოს თემის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდებისა და შშმ პირების საჭიროებები და მოთხოვნილებები, ინფორმირებულობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის ხელშეწყობა“
5	სამოქალაქო სპექტრი „თანასწორობა“	ბაღდათი	„მოქალაქეთა ინფორმირება საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკაზე“
6	ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა“	ბაღდათი	„მოსახლეობის მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის პროცესში“
7	ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები - საქართველოს მომავალი“	თერჯოლა	„მონაწილეობითი ბიუჯეტი - გზა დემოკრატიისაკენ“
8	ა(ა)იპ „ქალები საქართველოს მომავლისათვის“	თერჯოლა	„გზა ცვლილებებისაკენ“
9	საქართველოს სასოფლო დარბაზი	ლანჩხუთი	„საკრებულოს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის ელექტრონული კომუნიკატორი“
10	ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი	ლანჩხუთი	„საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ზრდის ხელშეწყობა საშუალოვადიან პერსპექტივაში“

11	განათლებისა და თანასწორობის ცენტრი	ოზურგეთი	„იყავი ინფორმირებული - იქნები ძლიერი“
12	ა(ა)იპ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი	ოზურგეთი	„რა არის საჯარო მმართველობა“
13	ა(ა)იპ „ცაგერის ქალთა უფლებებისა და თანასწორობის ცენტრი“	ცაგერი	„მეტი ინფორმირებულობა, მეტი ჩართულობა“
14	ა(ა)იპ „აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“	ცაგერი	„სამოქალაქო საზოგადოების როლი და ეფექტი საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში“
15	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი	ამბროლაური	„ამბროლაურში მცხოვრებ მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში“
16	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბი - „აფხაზინტერკონტი“	ამბროლაური	„ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თვითმმართველობა - ინფორმირებული მოსახლეობა“

II საგრანტო კონკურსით (2021წ.) დაფინანსებული პროექტები:

№	ორგანიზაციის დასახელება	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება
1	ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი	ხონი	„მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში“
2	განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“	ხონი	„გენდერული პოლიტიკა - ჩართულობის ინსტრუმენტი“
3	„თანადგომა - 2020“	ვანი	„საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების, მათ შორის მერის წარმომადგენელთა პროფესიული დონის გაძლიერება“
4	ა(ა)იპ „მოქალაქეთა აქტიურობა ეფექტიანი მმართველობისა და სამართლიანობისთვის“	ვანი	„ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის თემის, დუცხუნისა და მაისოურის სოფლების სოციალურად დაუცველთა და შშმ პირების მოსახლეობის კვლევები, ჩაღრმავებული ინტერვიუები, ადვოკატირება და ანკეტირება, საჯარო მმართველობის რეფორმიდან გამომდინარე და მათთვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნა“

5	სამოქალაქო სპექტრი „თანასწორობა“	ბაღდათი	„ადგილობრივ თვითმართველობასთან ერთად მუნიციპალიტეტში „ანტიკორუფციული პოლიტიკის შესახებ“ დებულების შემუშავება“
6	ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა“	ბაღდათი	„მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების ასახვა სამოქმედო გეგმებში და შესაბამის სტრატეგიებში“
7	ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები - საქართველოს მომავალი“	თერჯოლა	„სიტყვა საქმიანი“
8	ა(ა)იპ ,,ქალები საქართველოს მომავლისათვის“	თერჯოლა	„ჩვენ ერთად ვართ“
9	საქართველოს სასოფლო დარბაზი	ლანჩხუთი	„ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის ელექტრონული კომუნიკატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის“
10	ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი	ლანჩხუთი	„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავება თანამონაწილეობითი პრინციპების გამოყენებით“
11	განათლებისა და თანასწორობის ცენტრი	ოზურგეთი	„საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტიანობის მცირე კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში“
12	ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი	ოზურგეთი	„მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ციფრული კომუნიკაციები“
13	ა(ა)იპ „ქალთა უფლებებისა და თანასწორობის „ცენტრი“	ცაგერი	„თემებში მომუშავე საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადება, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა დახმარებას ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომაზე“
14	ა(ა)იპ „აქტიური მოქალაქე -ანგარიშვალდებული ხელისუფლება“	ცაგერი	„ცაგერის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კომპეტენციის ამაღლება საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტურად განხორციელებისათვის“
15	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი	ამბროლაური	„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის ხარისხის გაზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით“.
16	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბი - ფონდი „აფხაზინტერკონტი“	ამბროლაური	„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, თვითმმართველობის დამატებითი რეგულაციების დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა (ფაზა-2)“

III საგრანტო კონკურსით (2021წ.) დაფინანსებული პროექტები:

№	ორგანიზაციის დასახელება	მუნიციპალი-ტეტი	პროექტის დასახელება
1	ახალგაზრდობის ჩართულობის ცენტრი	ხონი	„მიიღე ინფორმაცია და სხვაც გახადე ინფორმირებული“
2	შშმ პირთა ორგანიზაცია „ფენიქსი“	ხონი	„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირებულობის გაზრდა“
3	ხალხი და თავისუფლება	ვანი	„ინფორმირებული ახალგაზრდობა“
4	შპს „ვანი - XXI საუკუნე''	ვანი	„ინფორმირებული სოფლის მოსახლეობა“
5	„სოლიდარობა - XXI“	ბაღდათი	„იცოდე შენი უფლებები უკეთესი მომავლისთვის“
6	ახალგაზრდები თერჯოლიდან	თერჯოლა	„ძალა ერთობაშია“
7	ა(ა)იპ „ალაო“	თერჯოლა	„ძალა ერთობაშია“
8	„ამრიდი“	თერჯოლა	„ქალები იწყებენ“
9	აიპ „რუდუნი“	ლანჩხუთი	„საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური ელექტრონული სერვისების როლისა და მნიშვნელობის შესახებ“
10	ა(ა)იპ „ლანჩხუთის ახალგაზრდული მოძრაობა“	ლანჩხუთი	„ახალგაზრდების ინფორმირებულობის ხარისხის გაუმჯობესება მუნიციპალური ელექტრონული სერვისების როლისა და მნიშვნელობის შესახებ“
11	ა(ა)იპი „ჩვენ ვქმნით მომავალს“	ამბროლაური	„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალური ელექტრონული სერვისების გამოყენებით ეფექტიანობის გაზრდა“
12	ჰუმანიტარული ინიციატივების და განვითარების ცენტრი	ამბროლაური	„მოქალაქეთა ინფორმირება ელექტრონული სერვისების მნიშვნელობის შესახებ“
13	„ცაგერის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ორგანიზაციების ცენტრი“	ცაგერი	„ცაგერის მუნიციპალიტეტში პედაგოგთა ინფორმირება და ჩართვა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში“
14	„დემოკრატია, თანადგომა, ნდობა“	ცაგერი	„ინფორმირებულობა - ხელმისაწვდომობა - ჩართულობა - ანგარიშვალდებულებისა და სანდოობის გაზრდა“

ადგილობრივი საჭიროებები და მცირე გრანტების გავლენა ცვლილებებზე

მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროექტების მიზანი იყო:

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება.

ყველა წარმოდგენილი პროექტი იყო შემუშავებული ადგილობრივ დონეზე „საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგისა“ და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების კვლევიდან გამომდინარე, რამაც გაამყარა პროექტების შედეგები.

ყველა რეგიონულ მუნიციპალიტეტში აღინიშნებოდა, როგორც საერთო პრობლემები საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესში, ასევე - ადგილობრივი სიტუაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებული საჭიროებები.

ყველა წარმოდგენილი და დაფინანსებული პროექტი შედგენილია ერთი მეთოდოლოგიით. პროექტები დასაფინანსებლად მიღებულია სპეციალურად შექმნილი „საკონკურსო კომისიის“ მიერ და „შეფასებითი კრიტერიუმების“ გამოყენებით.

სულ განხორციელდა 46 პროექტი, აქედან 14 - პროექტის ფარგლებში დაფუძნებული ახალი ორგანიზაციების მიერ.

პროექტების მიმართულებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება, აღინიშნოს, რომ ნაწილი მიმართულია ადგილობრივ დონეზე ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ, მეორე ნაწილი კი - ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში თვით ელექტრონული სერვისების ეტაპობრივად განვითარება-გაუმჯობესებისკენ. არ შეიძლება, არ აღინიშნოს აგრეთვე ადგილობრივ დონეზე შემსრულებელთა კვალიფიკაციისა და უნარების ამაღლებაზე გამიზნული პროექტები, რომელიც მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს არის წინაპირობა საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) წარმატებით განხორციელებისთვის.

ადგილობრივ დონეზე განხორციელებული თითოეული პროექტი იმის მაგალითია, რომ როდესაც რეგიონში რაიმე ცვლილებებს ვგეგმავთ, უნდა გამომდინარეობდეს იმ საჭიროებებიდან და პრობლემებიდან, რომლებიც ცალკეულ სამიზნე მუნიციპალიტეტშია გამოვლენილი.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები და საჭიროებები შეიძლება იდენტური იყოს, ხშირ შემთხვევაში მათი გადაჭრის გზები სხვადასხვაა. იგულისხმება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობები - გამოიყენოს შეთავაზებული ელექტრონული სერვისები, ასევე - შემსრულებელთა კვალიფიკაცია და უნარები. გამომდინარე აქედან, პროექტების შემუშავებას წინ უძღოდა არა მარტო „საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგი“ ადგილობრივ დონეზე, არამედ მოსახლეობის საჭიროებების კვლევაც ამ მიმართულებით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა შემუშავებული და განხორციელებული პროექტი შეესაბამებოდა იმ საჭიროებებს, რომლებიც არის სამიზნე მუნიციპალიტეტებში და პასუხობს მოქალაქეთა მოთხოვნებს.

საპროექტო წინადადებები ითვალისწინებს სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, ეფექტიანი და ინკლუზიური მართვის გაუმჯობესებას ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობით; ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმის დაჩქარებას; ელექტრონული პლატფორმების განვითარებას და მათზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

პროგრესის საუკეთესო მაგალითები

პროგრესის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციების (ფონდი „სოხუმი“, „სპექტრი,“ მეწარმე ქალთა ფონდი), პარტნიორი რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, მასმედიის და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების (ხონის, ვანის, თერჯოლის, ბაღდათის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ცაგერის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტების) წარმომადგენელთა ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობა.

საგრანტო პროექტების მთავარ მიზანს წარმოადგენდა: საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მოსახლეობის ინფორმირება; საჯარო მმართველობის რეფორმის, ადგილობრივი ელექტრონული მომსახურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და სერვისებისადმი ხელმოსაწვდომობის გაუმჯობესება; ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების გაძლიერება ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით, ადგილზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც უფრო ხელმისაწვდომს და გასაგებს გახდის ფართო მოსახლეობისათვის ელექტრონული საინფორმაციო მომსახურების სარგებელს და სხვა.

დასახულმა მიზნებმა და მისმა განხორციელებამ, ზოგადად, ყველა რეგიონში მოგვცა შესაბამისი პროგრესი პროექტის დასაწყისში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

განხორციელებული პროექტებით საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის არაერთი მაგალითი შეიძლება განვიხილოთ:

პროექტი: **„ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის ელექტრონული კომუნიკატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის“ (2021 წლის აპრილი-ივნისი)**

შემსრულებელი ორგანიზაცია: **„საქართველოს სასოფლო დარბაზი“ (ლანჩხუთი)**

პროექტის მიზანი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროექტის განხორციელების შედეგად, რომელიც მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც იყვნენ ჩართული ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და სამთავრობო სამსახურების წარმომადგენლები; ვებაპლიკაციის შემუშავება ASP.NET და C++ პროგრამულ ენაზე და MS SQL სერვერის გამოყენებით; windows ჰოსტინგის განახლება და ახალ აპლიკაციის სერვერზე განთავსება; საზოგადოების ინფორმირებულობა „ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენების შესახებ“. ელექტრონული კომუნიკაციის ვებაპლიკაციის ადმინისტრირების რეგულაციების დანერგვით მიღებული შედეგი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა იცნობს და აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს მარტივად და ნებისმიერი ადგილიდან მიიღოს ყველა საჯარო ინფორმაცია და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები, ერთი მხრივ და მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ადმინისტრირებას უწევს შეუფერხებლად ელექტრონული კომუნიკატორის ვებგვერდს - მეორე მხრივ.

პროექტი: **„გენდერული პოლიტიკა - ჩართულობის ინსტრუმენტი“ (2021 წლის აპრილი-მაისი)**

შემსრულებელი ორგანიზაცია: **განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“ (ხონი)**

წინა პერიოდში ჩატარებული მონიტორინგისა და მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, პროექტის წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ადგილობრივი გენდერული საბჭოს

საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობა, მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის, გამჭვირვალობის და ცნობიერების გაზრდის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული საბჭო შექმნილია მუნიციპალიტეტში, საბჭოს დებულება დამტკიცებულია, იგი მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (khoni.gov.ge) არ იძებნება, არ ქვეყნდება ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ, არ არის შემუშავებული გენდერული ბიუჯეტი.

აქედან გამომდინარე, ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს ინფორმაცია გენდერული საბჭოს ფუნქციონირების შესახებ, რაც გახდა პროექტის შემუშავების საფუძველი და მიმართულია:

ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს საქმიანობის ცნობადობის ამაღლების, სამოქმედო გეგმის შემუშავებისაკენ, რაც დაფუძნებულია ლოგიკურ და ადაპტირებულ საჭიროებებზე.

ჩატარებული შესაბამისი ღონისძიებების შედეგად:

- ✓ გენდერულ საკითხებში გადამზადდა 22 ადამიანი, აქედან 17 - გენდერული საბჭოს წევრი; 5 - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი;
- ✓ შემუშავდა გამოვლენილ საჭიროებებზე დაფუძნებული ახალი სამოქმედო გეგმა და დამტკიცდა საკრებულოს სხდომაზე;
- ✓ გენდერული საბჭოს ცნობადობის გაზრდის მიზნით საინფორმაციო ვებგვერდზე ჩაშენდა ახალი „გენდერული ფანჯარა“ და მომზადდა სიუჟეტი;
- ✓ დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო კალენდარი;

აქედან გამომდინარე, გაიზარდა რეგიონის სამოქალაქო საზოგადოებაში გენდერული საბჭოს ცნობადობა და მომართვიანობა სხვადასხვა საკითხზე.

პროექტი: **„ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში მოსახლეობის მონაწილეობა: წამოაყენე იდეა და იზრუნე შენი (სოფლის) ქალაქის განვითარებაზე!“ (2021 წლის აპრილი-ივნისი)**

შემსრულებელი ორგანიზაცია: **„აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“ (ცაგერი)**

პროექტის მთავარი მიზანი იყო: ადგილობრივი ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა - გამყარებული მუნიციპალიტეტის საქმიანობის ოპტიმიზაციით, პრიორიტეტების სისტემის გაუმჯობესებული და საზოგადოების მიერ მიწოდებული წინადადებების გათვალისწინებით.

პროექტის ინოვაციური იდეა მდგომარეობდა საჯარო ფინანსების მართვის პროცესების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად, ბიუჯეტის შედგენის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე „საფოსტო“ ყუთების დამონტაჟებაში საინფორმაციო ბანერით: „წამოაყენე იდეა, იზრუნე შენი (სოფლის) ქალაქის განვითარებაზე“.

„საფოსტო ყუთების“ მეშვეობით შეგროვილი მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის შესახებ.

პროექტი: **„მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ (2021 წლის აპრილი-ივნისი)**

შემსრულებელი ორგანიზაცია: **ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი**

პროექტის მიზანი: ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთა გაძლიერების, კომპეტენტურობის ზრდით და მათი მეშვეობით მეტი ჩართული მოქალაქე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საჯარო რეფორმის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ადგილზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის გაძლიერება და მისი გამოყენების ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას, როგორც მომწოდებლის, ასევე - მომხმარებლის მხრიდან.

აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათ მიერ საჯარო ტექნიკის დეტალურად შესწავლა - ვებგვერდის გამართულად და სრულად მუშაობისთვის, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ - გაიზარდა მოსახლეობის ინფორმირებულობა განახლებული ვებგვერდის გამოყენებისას; შედეგად, მოხდა ვებგვერდის ფუნქციური დატვირთვა, განთავსდა ახალი ინფორმაციები. მუნიციპალიტეტის 6 თანამშრომელი გადამზადდა და 24 ადამიანმა მიიღო ვებგვერდის გამოყენებისათვის საჭირო ცოდნა.

პროექტი: **„საჯარო მმართველობის რეფორმის ეფექტიანობის მცირე კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში“ (2021 წლის აპრილი-ივნისი)**

შემსრულებელი ორგანიზაცია: **„განათლებისა და თანასწორობის ცენტრი“ (ოზურგეთი).**

პროექტი ითვალისწინებდა ოზურგეთის მოსახლეობის, განსაკუთრებით მუნიციპალური ცენტრისგან მოშორებით მცხოვრები სოფლის მოსახლეობის ინფორმირებას საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ, მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში: შეიძინა შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება 4 მოხალისე მკვლევარმა, რომელთაც შემდგომ მოხალისებრივ საწყისებზე ჩაატარეს კვლევები ქალაქ ოზურგეთში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 10 სოფელში: ჯუმათი, სილაური, ბაილეთი, ნოლობილევი, შრომა, ლაითური, ნარუქა, ჭანიეთი, ბახვი, მშვიდობაური, ნაგომარი. კვლევის მიზანი იყო აღნიშნულ სოფლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემები და მისი თავიდან აცილების გზების ძიება.

კვლევის შედეგად (გამოიკითხა 600 ადამიანი, გენდერული ბალანსის დაცვით) განისაზღვრა მოსახლეობის საჭიროებებისა და კმაყოფილების ინდექსი საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის პროცესში და ორგანიზაციის „განათლებისა და თანასწორობის ცენტრის“ ექსპერტებთან ერთად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც გადაეცა ადგილობრივ თვითმმართველობის შესაბამის უწყებებს, ყველა დაინტერესებულ პირს და გამოქვეყნდა ადგილობრივ მედიაში.

პროექტი: **„ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, თვითმმართველობის დამატებითი რეგულაციების შემუშავება და დანერგვა“ (2021წ.)**

შემსრულებელი: **რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული ჰაბი - ფონდი „აფხაზინტერკონტი“ (AIC) (ამბროლაური)**

პროექტის მიზანი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმების შემუშავება და მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცება. კორუფციის პრევენციის პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვა.

ვინაიდან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ქვეყნის მასშტაბით

საჯარო სამსახურში ანტიკორუფციული მექანიზმების შექმნა და პრაქტიკაში განმტკიცება, მუნიციპალიტეტის ჩართულობის გაზრდა ამ მხრივ წარმოადგენს ქვეყნის ვალდებულებას.

აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ძალიან მაღალია როგორც საერთაშორისო მიმართულებით, ასევე - ქვეყნის შიგნით, მით უმეტეს, რომ ამ კუთხით მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული და მიღებული უმეტეს მუნიციპალიტეტში.

ანტიკორუფციული დოკუმენტი, მუნიციპალური ანტიკორუფციული პოლიტიკის დებულების მიღება, თავის თავში გულისხმობს კორუფციული რისკების მინიმუმამდე შემცირებას და მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ეს ერთ-ერთი შესაძლებლობაა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა, როგორც შიგნით ორგანიზაციაში, ასევე სხვა მუნიციპალური საწესდებო მიზნების განხორციელების მიმართებაში.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შიდა მთავარი საჯარო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა „ამბროლაურის მუნიციპალური პოლიტიკის დებულება“.

დებულების შემუშავებას და წარდგენას მუნიციპალიტეტში დასამტკიცებლად წინ უძღოდა: თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ წარმომადგენლები: არასამთავრობო ორგანიზაციიდან - 4; ექსპერტ-იურისტი - 1; მუნიციპალიტეტის თანამშრომლები - 3; ფასილიტატორი - 1 - სულ 9 ადამიანი (მათ შორის 5 ქალი). „სამუშაო ჯგუფის“ მიერ შემუშავებული დებულების დრაფტ-ვარიანტი განხილულ იქნა „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში, სამიზნე აუდიტორიისა და დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების თანამშრომლობით: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სათემო თემის ლიდერები - სულ 25 ადამიანი (მათ შორის -12 ქალი).

დებულების ფართო საზოგადოებასთან განხილვისა და შესაბამისი შესწორების შემდგომ წარედგინა მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს მისაღებად და დასამტკიცებლად. დებულებით კორუფციის პრევენციის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ჩართულობა გაზრდილია, რაც მის რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს.

პროექტი: **„მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ციფრული კომუნიკატორი“ (2021წ.)**

შემსრულებელი: **„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (ოზურგეთი)**

პროექტის პრიორიტეტული თემა: მონაწილეობითი ბიუჯეტირება და მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისებისა და ვებგვერდის სრულყოფა/გაუმჯობესება.

პროექტის სამიზნე ჯგუფად არჩეული იყო ახალგაზრდები, მათი ინფორმირება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და პრინციპები, კარგი მმართველობითი სისტემა, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, მოქალაქეთა თანამონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ციფრული პლატფორმების საშუალებით.

მონიტორინგისა და მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის შედეგებმა გამოავლინა მიზნობრივ რეგიონში (მუნიციპალიტეტში) ახალგაზრდების ჩართულობის ნაკლებობა მუნიციპალურ პროექტებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც განპირობებულია მათი ინფორმირების დაბალი დონით და სათანადო უნარ-ჩვევის არქონით.

ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, შემუშავდა პროექტი და მისმა განხორციელებამ მოგვცა

საკმაოდ მაღალი ცვლილებები: 30 ახალგაზრდამ (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირები, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები) მიიღო ინფორმაცია საჯარო მმართველობის განხორციელების გზებსა და ონლაინ ჩართულობის მექანიზმებზე; მიიღო ცოდნა და შესაძლებლობა „მონაწილეობით ბიუჯეტირებაში" ჩასართავად; ხელი მიუწვდებათ (ციფრული კომუნიკატორის ტექნოლოგიაზე მონაწილეობის შედეგად) ვებპლატფორმის აქტიურ გამოყენებაზე.

პროექტი: **„მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების ასახვა სამოქმედო გეგმაში და შესაბამის სტრატეგიაში (2021წ.)**

შემსრულებელი: **ა(ა)იპ „თანასწორობა ახლა" (ბაღდათი)**

მიზანი: ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრებ ქალთა და გოგონათა სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა-იდენტიფიცირება და ადვოკატირება.

პროექტის ფარგლებში მოხდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის 14 სოფლის 448 ქალის საჭიროებების გამოვლენა და იდენტიფიცირება.

კვლევის დროს გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი: ანკეტირება და ფოკუს-ჯგუფებში მუშაობა. იდენტიფიცირებული პრობლემების მეტი ნაწილი გათვალისწინებულია გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმაში, რომელთა შესრულების ალბათობა მაღალია.

პროექტი: **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირებულობის გაზრდა" (2021წ.)**

შემსრულებელი: **შშმ პირთა ორგანიზაცია „ფენიქსი" (ხონი)**

პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იყო შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროექტის მიზანი: ადგილობრივი შშმ პირების ინფორმირება საჯარო რეფორმის მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) და იმ სარგებლის შესახებ, რომელიც შეუძლიათ მიიღონ მათ, როგორც ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების აქტიურმა მომხმარებლებმა.

პროექტის ფარგლებში მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდა:

- საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო შშმ პირებმა, არამედ მათი ოჯახის წევრებმაც - სულ ჩატარდა 4 შეხვედრა და მონაწილეთა რიცხვმა შეადგინა 200 ადამიანი, აქედან: ქალი 98, კაცი 102;
- სპეციალური facebook-ის გვერდით, სადაც განთავსდა ინფორმაცია არა მარტო პროექტის შესახებ, არამედ საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა ადგილობრივი მოსახლეობის ის ნაწილი მოიცვა, რომელსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება კონტაქტი ადგილობრივ სამთავრობო სამსახურებთან ონლაინ რეჟიმში და მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომლისთვისაც გარემო არ არის მორგებული მის სპეციფიკურ საჭიროებებს.

სამივე რეგიონში (იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი) განხორციელდა 46 საგრანტო პროექტი. ყველა მათგანი სრულად პასუხობს საპროექტო მოთხოვნებს, მონიტორინგისა და საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების რელევანტურია და მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში აქტუალურად არის მიჩნეული.

განხორციელებულ პროექტებში შეიძლება გამოვკვეთოთ ყველაზე წარმატებული პრაქტიკა შემდეგი მიმართულებების შესაბამისად:

- ელექტრონული, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა;
- მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის და გენდერული საბჭოს გააქტიურება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებაში მოსახლეობის თანამონაწილეობა, მოქალაქეთა ჩართულობა;
- თვითმმართველობაში დამატებითი რეგულაციების დანერგვა (ანტიკორუფციული დებულება);
- მონაწილეობითი ბიუჯეტირება და ციფრული კომუნიკატორი;
- ქალთა სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენა და სამოქმედო გეგმის შედგენა;
- შშმ პირთა და მათი ოჯახების სპეციფიკური საჭიროებების შესწავლა და მათზე რეაგირება;
- სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება რეფორმის ეფექტიანობის შესახებ ადგილობრივ დონეზე.





თავი VII

ელექტრონული პეტიციის დანერგვა ხონის მუნიციპალიტეტში


ხონის მუნიციპალიტეტი
MUNICIPALITY OF KHONI
OFFICIAL WEBSITE
StopCoV.ge
facebook
პეტიცია


მიმდინარე
დასრულებული
უარყოფილი


ხონის მუნიციპალიტეტი
მთავარი
პეტიციები
ჩვენ შესახებ
კონტაქტი
შესვლა
დაარეგისტრირეთ პეტიცია
როგორ შევადგინოთ პეტიცია ?
ინსტრუქცია
Elso Jikia
მინდია კიკნა...
ბაღრი პაპავა
Gurika Kikna...

ელექტრონული პეტიციის დანერგვა ხონის მუნიციპალიტეტში

ელისო ჯიქია
განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისის“ ხელმძღვანელი (ხონი)

ელექტრონული პეტიცია

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ინოვაციებისა და ტექნოლოგიის განვითარებამ ეს კომპონენტი ელექტრონული კომუნიკაციების გაუმჯობესებას გაუთანაბრა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, როდესაც Covid-19-ის გავრცელებით გამოწვეულმა ვითარებამ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა სახელმწიფო სერვისების ელექტრონული მიწოდების საჭიროება.

მმართველობის პროცესში მოქალაქეთა არასაკმარისი ჩართულობის, აგრეთვე ანგარიშვალდებულების არსებული მექანიზმების სიმცირის გათვალისწინებით, ელექტრონული პეტიცია მოქალაქეთათვის უნიკალურ შესაძლებლობას წარმოადგენს. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ მობილიზებით, მოქალაქეები ადგილობრივი ხელისუფლების, მთავრობის პრიორიტეტების განსაზღვრაში უშუალოდ იღებენ მონაწილეობას. პეტიციების არსებობა, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეხმარება, რომ საზოგადოების მიერ შემოთავაზებული ინიციატივებით იხელმძღვანელოს. ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეებს უჩნდებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობის საშუალება.

ადგილობრივ დონეზე პეტიციების წარდგენის საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ერთეულების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ამოქმედებულია შემდეგი სახის მექანიზმები: დასახლების საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისა და მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, მოქალაქეთა მიღებისა და საჯარო შეხვედრების უზრუნველსაყოფად შესაბამისი პირობები შექმნან.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს სწორედ პეტიციის ინიცირების შესაძლებლობა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ პეტიციის წარდგენის შესაძლებლობა ადგილობრივ დონეზე გაცილებით ადრე იქნა უზრუნველყოფილი, ვიდრე ცენტრალურ დონეზე. კოდექსის თანახმად, პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს, ასევე საერთო კრებას. პეტიციის შესაძლო შინაარსს კოდექსი შემდეგნაირად განმარტავს:

- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

- მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე, საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

აქვე ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: კოდექსი არ განსაზღვრავს პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის წესს, თუმცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანიჭებს უფლებამოსილებას, პეტიციის ირგვლივ დადგენილი ნორმების გათვალისწინებით, დადგენილების ფარგლებში, თავად განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი. მაგალითისთვის, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებული აქვს დადგენილება, რომელიც ნორმატიული აქტის პროექტის ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში, ხელმომწერთა რაოდენობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0.5%-ით განსაზღვრავს“[9].

ხონის მუნიციპალიტეტში ელექტრონული პეტიციის მექანიზმის ამოქმედების პრაქტიკა

ბოლო წლებში საკანონმდებლო დონეზე პეტიციის, როგორც ჩართულობის მექანიზმის, უზრუნველყოფის მიუხედავად, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხონის მუნიციპალიტეტში იგი აქტიურად არ გამოიყენება მოქალაქეების მიერ ხელისუფლებისთვის საკუთარი მოსაზრებებისა და შეთავაზებების მისაწოდებლად. 2012 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი პეტიციაა რეგისტრირებული. აღსანიშნავია ის, რომ პეტიციაზე რეაგირება ყველა წესის დაცვით განხორციელდა და საკითხიც დადებითად არის გადაწყვეტილი. მიუხედავად ამ წარმატებული მაგალითისა, პრაქტიკამ სხვა პრეცედენტებს ვერ დაუდო საფუძველი. ამას რამდენიმე გარემოება განაპირობებდა:

პირველ რიგში, პეტიციების შესაგროვებლად დაწესებული მინიმალური ზღვარი, კანონმდებლობით განსაზღვრული 1%, რაც სოფლად მცხოვრები ადამიანებისათვის საკმაოდ დიდი თავსატეხი იყო. ხონის მუნიციპალიტეტის რეალობაში ეს მინიმალური ზღვარი დაახლოებით 240 რეგისტრირებულ ამომრჩეველს, ანუ ხონში რეგისტრირებულ 240 სრულწლოვან მოქალაქეს გულისხმობდა. ამ რაოდენობის ხელმომწერთა შეგროვება, მაგალითად, მთიან ზონაში, მცირედასახლებიან სოფლებში საკმაოდ რთულია და პრობლემური იყო.

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება: მუნიციპალიტეტში არ არსებობდა პეტიციის ელექტრონულად წარდგენის მექანიზმი. პროცედურას საკმაოდ ართულებდა ე.წ. ხელზე წარდგენის პრაქტიკა. ინიციატორს უნდა მიემართა მერიის ადმინისტრაციული სამსახურისთვის, გაეტანა სპეციალურად შედგენილი ოქმის ფორმა, შემდგომ შევსებული და ხელმოწერილი დოკუმენტი უნდა დაერეგისტრირებინა მერიაში განცხადების ფორმით, რაც ადმინისტრაციულ ორგანოში რამდენიმე ვიზიტთან ერთად, კარდაკარ სიარულს, საკმაოდ ბევრს შრომას და დამღლელ პროცედურებს მოიცავდა.

მესამე ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება ეს არის მოსახლეობის ინფორმირებულობა. სამწუ-

9 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2014 წლის 5 თებერვალი), ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, თბილისი

ხაროდ, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მხოლოდ იმის გაჟღერება და განმარტება, რომ კანონმდებლობით არსებობს მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, მათ შორის „პეტიცია“, საკმარისი არ არის მოქალაქეებისათვის, რომ დაინტერესდნენ, გამოიყენონ, ისარგებლონ. საჭიროა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია პეტიციის წარდგენის უფლებისა და გამოყენებისათვის. ასევე ნდობის გაზრდისთვის, აუცილებელია საინფორმაციო კამპანიაში გადაწყვეტილების მიმღები პირების ჩართულობა, რაც პრაქტიკაში არ იყო დანერგილი.

მეოთხე გარემოება და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, რაშიც მოიაზრება წარდგენილი და დაკმაყოფილებული პეტიციების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა, წარმატებული პეტიციების განხილვის პროცესის ღიაობა და საბოლოო გადაწყვეტილების დასაბუთება, ასევე, პეტიციების განხილვის პროცესის განჭვრეტადობა და მათი ზედმიწევნით მიყოლა შესაბამისი უწყებების მიერ.

და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრირებას, კონკრეტულ ღონისძიებებს, აქტივობებს, კამპანიებს გულისხმობს, რაც დიდწილად როგორც ადამიანურ, ისე ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია პარტნიორი, გამოცდილი ორგანიზაციების რეკომენდაციები, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა-გაზიარება-დანერგვა, გრანტების მოძიება-მოზიდვა.

თითოეული გარემოების შესრულების შემთხვევაში კარგი შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

აქვე საუკეთესო პრაქტიკა განვიხილოთ ხონის მუნიციპალიტეტის მაგალითზე: 2020 წლის დასაწყისში ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლებმა გამართეს პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ პრეზენტაცია. პრეზენტაციას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ და იმთავითვე გამოხატეს მზადყოფნა თანამშრომლობისათვის.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურება იყო. პროექტისადმი ადგილობრივი ხელისუფლების პოზიტიურმა და სწორმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა ის, რომ მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის კომპონენტში ხონი საპილოტე მუნიციპალიტეტად შეირჩა. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი საკრებულოსთან და მერიასთან და ხონის მუნიციპალიტეტმა საკმაოდ მნიშვნელოვან პროცესში შეიძინა პარტნიორი ორგანიზაციები ფონდი „სოხუმის“, მეწარმე ქალთა ფონდის და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ სახით, ასევე ფინანსური მხარდამჭერი - ევროკავშირი.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ კიდევ ერთი მემორანდუმით (01.04.2021- 30.09.2021) გაამყარა ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობა. ამჯერად ელექტრონულ პეტიციასთან მიმართებაში მხარეებმა აიღეს ვალდებულება, რომ კეთილსინდისიერად შეასრულონ მემორანდუმის პირობები და შექმნან სათანადო გარემო სამუშაო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, მიზნის მისაღწევად დაგეგმონ ერთობლივი ღონისძიებები.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით აიღო პასუხისმგებლობა, რომ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი - „პეტიცია“ - ხონში რეალურად ამოქმედებულიყო.

პეტიციის, როგორც ღირებული მექანიზმის, დანერგვის პროცესში ჩაერთნენ ფორუმის წევრები, სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები - „დევნილთა საინიციატივო ჯგუფი“ და განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“, ასევე პროექტის ფარგლებში დაფუძნებული ორგანიზაციები: „ახალგაზრდობის ჩართულობის ცენტრი“ და შშმ პირთა ორგანიზაცია „ფენიქსი“.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით ხონში გადაიდგა, იყო კანონმდებლობით განსაზღვრული პეტიციაზე ხელის მომწერთა მინიმალური ზღვარის - 1%-ის განახევრება. მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს მიმართა ინიციატივით არგუმენტირებულად, არსებული ზღვარის განახევრების შესახებ. საკრებულომ წესების დაცვით ვადებში ერთხმად დაუჭირა მხარი ინიციატივას და პეტიციაზე ხელმომწერთა მინიმალური ზღვარი ხონის მუნიციპალიტეტში განისაზღვრა 0,5%-ით.

დღის წესრიგში დადგა პეტიციის მექანიზმის პროცედურული გამარტივების კიდევ ერთი საკითხი: ელექტრონული პეტიციის დანერგვა, რომ მოქალაქეებს გამარტივებოდათ ხმების შეგროვების პროცესი, გაზრდილიყო მათი ხელმისაწვდომობა ამ მექანიზმზე. მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა გამოთქვა მზაობა ვებგვერდის განახლებისა და საჭირო ტექნიკური ღონისძიებების გასატარებლად. პარტნიორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩაშენდა პეტიციის ელექტრონული აპლიკაცია (იხ. http://khoni.gov.ge/), გადამზადდა მერიისა და საკრებულოს IT და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები, მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციული სამსახურების ხელმძღვანელები.

მაგალითისათვის:

როგორ შევავსოთ ელექტრონული პეტიცია?

პეტიცია არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნას:

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტი;

ბ) საკრებულოს დადგენილების პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლების საერთო პრობლემიდან გამომდინარე, საერთო საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტილების მოთხოვნა.

ვის აქვს ელექტრონული პეტიციის წარდგენის უფლება?

ელექტრონული პეტიციის წარდგენის უფლება აქვს ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5% პროცენტს (120 ამომრჩეველი).

რა არის საჭირო ელექტრონული პეტიციის შესატანად?

- **საკრებულოსათვის ელექტრონული პეტიციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.**

- ელექტრონული სახით პეტიციის ავტორი უნდა დარეგისტრირდეს აპლიკაციის მომხმარებლად, რისთვისაც მიუთითებს სახელს, გვარს, დაბადების თარიღს, პირად ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს და აპლიკაციაში განათავსებს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) სკანირებულ ასლს.
- პეტიციის ავტორს ელექტრონულ ფოსტაზე აპლიკაციის მიერ ავტომატურად ეგზავნება კოდური სიტყვა/სიმბოლოები, რომლის დადასტურების შემდეგ ავტორი კოდური სიტყვით/სიმბოლოებით ახდენს რეგისტრაციის დადასტურებას.
- რეგისტრაციის გავლის შემდეგ ავტორმა პეტიციის ტექსტი ქართული Sylfaen შრიფტით უნდა განათავსოს აპლიკაციაში და დოკუმენტის ატვირთვის გზით, თან დაურთოს:
  1. ინფორმაცია პეტიციის წარმდგენი სუბიექტის არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 3 მომხსენებლის შესახებ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და საქართველოს პირადობის დამადასტურებელი ასლ(ებ)ი;
  2. ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის ან - მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები; ან - კონკრეტულად ჩამოყალიბებული და დასაბუთებული მოთხოვნა;
  3. დოკუმენტები და მასალები, რომლებიც პეტიციის წარმდგენ სუბიექტს პეტიციის დასასაბუთებლად მიაჩნია საჭიროდ.

  განთავსებული ტექსტი და თანდართული დოკუმენტები მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოჩნდება ატვირთვის დღის მომდევნო სამუშაო დღის 24 საათამდე.

  აპლიკაციაში განთავსებული ტექსტის და თანდართული დოკუმენტების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე ატვირთვის დასტური მომხსენებელს ეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.

ინსტრუქცია

პეტიციის ტექსტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე არ აისახება, თუ:

1. ტექსტი ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს;
2. ტექსტის შინაარსი შეურაცხყოფას აყენებს ნებისმიერ პირს;
3. ტექსტის შინაარსი ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით განსაზღვრულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

როგორ მოვაწეროთ ხელი პეტიციას?

- პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, მუნიციპალიტეტის ამომრჩეველმა აპლიკაციაში ქართული Sylfaen შრიფტით უნდა ჩაწეროს საკუთარი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რეგისტრაციის მიხედვით საცხოვრებელი ადგილის მისამართი.
- პეტიციაზე ხელმოწერის დასაფიქსირებლად, ამომრჩეველი ვალდებულია, აპლიკაციის შესაბამის ფანჯარაში მონიშვნის გზით დაადასტუროს, რომ გაეცნო პეტიციის შინაარსს და ეთანხმება მას.
- ხელმოწერის შესრულებისას ამომრჩეველი თუ არ არის თანახმა, რომ მისი სახელი და გვარი საჯარო გახდეს, აპლიკაცია უზრუნველყოფს მის დაცვას პერსონალური მონაცემების გამხელისგან. ამისათვის შესაბამის ფანჯარაში ამორჩეველმა მხოლოდ მონიშვნა უნდა გააკეთოს.

- ამომრჩევლის პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მომხსენებლისა და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფლებამოსილი პირისთვის.
- პეტიციის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ აპლიკაცია ასაჯაროებს პეტიციაზე ხელისმომწერი ამომრჩევლების მიმდინარე რაოდენობას, პეტიციაზე საჭირო ხელმომწერთა მინიმალურ რაოდენობას და პეტიციის ავტორ(ებ)ის სახელ(ებ)სა და გვარ(ებ)ს.

პეტიციის რეგისტრაცია

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციის ტექსტის გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში საჭირო ოდენობის ხელმოწერების ელექტრონულად განხორციელების შემდეგ, აპლიკაციის „რეგისტრაციაზე გაგზავნის“ ფუნქციის მეშვეობით მომხსენებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე პეტიციის ტექსტს და თანდართულ დოკუმენტებს, მათ შორის პეტიციის ხელმომწერ ამომრჩეველთა სრულ სიას, აგზავნის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე.
- აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში აღნიშნავს პეტიციის წარდგენის თარიღს და საკრებულოს აპარატისაგან ითხოვს პეტიციის მიღების დადასტურებას.
- საკრებულოს აპარატისაგან მიღების დადასტურების შემდგომ აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში ელექტრონულად ატყობინებს ამის შესახებ მომხსენებელს თარიღისა და დროის მითითებით.
- პეტიციის ელექტრონულ ფოსტაზე მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საკრებულოს აპარატი იწყებს პეტიციის რეგისტრაციას.
- პეტიციის რეგისტრაციის შემდეგ საკრებულოს აპარატი პეტიციის რეგისტრაციის მოწმობას ან პეტიციის რეგისტრაციაზე უარს უგზავნის მომხსენებლებს და აღნიშნულს განათავსებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე.
- პეტიცია იწერება და შეიტანება ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

ასევე პროექტისა და თანამშრომლობის ფარგლებში, პარტნიორმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს მიზანმიმართული და კონკრეტული საინფორმაციო კამპანიის წარმოება მუნიციპალიტეტის თორმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში. მუნიციპალიტეტში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, შეირჩა 6 აქტორი, რომელთა გადამზადების შემდეგ (სპეციალურად მათთვის ჩატარდა ტრენინგი ელექტრონული პეტიციის მართვის საკითხებზე) დაიგეგმა კონკრეტული საინფორმაციო შეხვედრები სოფლად და ქალაქად. საინფორმაციო კამპანიაში ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის ხელძღვანელი პირები, რომლებიც არწმუნებდნენ მოსახლეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაში.

საინფორმაციო შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია, როგორც პეტიციის არსის, ისე მისი მნიშვნელობის და გამოყენების ფორმების შესახებ. ადგილზე ხდებოდა პრობლემათა იდენტიფიცირება და წარდგენის, ხმის მიცემისა და გადაგზავნის პრაქტიკული გაკვეთილების ჩვენება.

მაგალითისათვის:

საინფორმაციო შეხვედრის დროს გორდისა და კინჩხის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირდა და პრიორიტეტი მიენიჭა შემდეგ პრობლემებს:

1. შიდა საუბნო გზების მოხრეშვა კოპიისა და მაჭაკეთის უბნებში
2. საბავშვო ატრაქციონის განთავსება სოფელ გორდში
3. სკვერის რეაბილიტაცია სოფელ კინჩხის ცენტრში
4. სკვერის რეაბილიტაცია სოფელ ქვედა კინჩხაში

იქვე მომზადდა პეტიციის ტექსტები და აიტვირთა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის http://khoni.gov.ge/ შესაბამის „ფანჯარაში“ http://petition.lsg.ge/khoni/.

იხ. პეტიციის ტექსტების ფორმა და შინაარსი

სკვერის რეაბილიტაცია სოფელ კინჩხის ცენტრში

სოფელი კინჩხა ხონის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ლამაზი სოფელია. ბუნებრივი ძეგლებით მდიდარი კინჩხა ტურისტულად ძალიან მიმზიდველი სოფელია ქვეყნის მასშტაბით და მას ყოველწლიურად ათასობით ვიზიტორი სტუმრობს.

სოფლის ცენტრში, მთავარი ტურისტული გზის მიმდებარედ სკვერია, რომელიც რეაბილიტაციასა და განახლებას საჭიროებს. სკვერი ფუნქციურად დატვირთულია და აქაური ახალგაზრდებისა თუ მოსული სტუმრების საყვარელი ადგილია. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის იავარქმნილია. სკვერი საჭიროებს შემორაგვას, სკამებისა და ელექტრონათურების დამონტაჟებას.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი საჯაროდ განიხილეთ საკრებულოს სხდომაზე და მიიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

სკვერის რეაბილიტაცია სოფელ ქვედა კინჩხაში

სოფელი კინჩხა ხონის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ლამაზი სოფელია. ბუნებრივი ძეგლებით მდიდარი კინჩხა ტურისტულად ძალიან მიმზიდველი სოფელია ქვეყნის მასშტაბით და მას ყოველწლიურად ათასობით ვიზიტორი სტუმრობს.

სოფელი რამდენიმე უბნისგან შედგება. მათ შორის არის ქვედა კინჩხა, სოფლის ცენტრისგან საკმაოდ მოშორებული უბანი. განსხვავებით სხვა უბნებისგან, ქვედა კინჩხაში არ არის თავშეყრის არცერთი ადგილი, სადაც ადგილობრივი თუ სტუმრად მოსული ახალგაზრდები გართობისა და დასვენების მიზნით შეიკრიბებიან. ადგილობრივების თხოვნაა, რომ უბნის ცენტრში, სკვერისთვის განკუთვნილი ადგილი შემოირაგვოს და კეთილმოეწყოს შეძლებისდაგვარად.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი საჯაროდ განიხილეთ საკრებულოს სხდომაზე და მიიღეთ მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისი გადაწყვეტილება.

საუბნო გზების მოწესრიგება მაჭაკეთსა და კოპიაში

სოფელ გორდში მაჭაკეთისა და კოპიის უბნების მოსახლეობას, წლებია, უგზოობა აწუხებს. შიდა საუბნო, სოფლის ცენტრთან დამაკავშირებელი გზები მოუწესრიგებელია. აქ გადაადგილება უჭირს როგორც ქვეითად მოსიარულეს, ისე ავტომობილს. განსაკუთრებული პრობლემები იქმნება უამინდობის დროს.

უგზოობა ართულებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს. ფერხდება აღნიშნული დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. სოფელი გორდი ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციაა და ყველა ადგილობრივს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს, შიდასაუბნო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კი ამ მიმართულებთ უპირველესი ამოცანაა.

ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გათვალისწინებით, შიდა გზების მოწესრიგება თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება, მოგმართავთ თხოვნით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე საჯაროდ განიხილეთ აღნიშნული საკითხი, რათა უმოკლეს ვადაში დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა.

საბავშვო ატრაქციონი სოფელ გორდში

გორდი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული სოფელია, გარდა ამისა, ქვეყნის ერთ-ერთი ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციაა. სოფელში ბევრი პატარა იზრდება, ზაფხულობით კი ბავშვების რაოდენობა ორმაგდება. აქ მოდიან როგორც დამსვენებლები, ისე ტურისტები. სამწუხაროდ, სოფელში არ არსებობს არცერთი საბავშვო გასართობი ატრაქციონი, რაც თავისთავად პრობლემაა და აქ მცხოვრები პატარები, ქალაქში მცხოვრები ბავშვებისგან განსხვავებით, ამ ელემენტარულ გასართობს მოკლებულები არიან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება, ამიტომ გთხოვთ, საკრებულოს სხდომაზე საჯაროდ განიხილეთ აღნიშნული საკითხი, რათა უმოკლეს ვადაში სოფლის საბავშვო ბაღის ეზოში განთავსდეს საბავშვო ატრაქციონი და დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა.

საინფორმაციო კამპანიის პარალელურად, საკრებულოსა და მერიაში მოხდა ადმინისტრირება და მიღწეულ იქნა მზაობა ელექტრონული პეტიციის მიღების, განხილვის და სხვა თანმდევი პროცედურებისათვის. საკრებულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ხმის მიმცემთა მინიმალური ზღვარის 0,5% პროცენტით განსაზღვრის შესახებ - 2021 წლის 31 მარტის №4 დადგენილება - ცვლილების სახით შევიდა 2017 წლის 20 ნოემბრის №21 დადგენილებაში (საკრებულოს რეგლამენტი).

აღსანიშნავია, რომ ფონდი „სოხუმის" ორგანიზებით გაიმართა ტრენინგები ადგილობრივი საჯარო მოხელეებისათვის, როგორც საკრებულოს, ისე მერიის თანამშრომლებისთვის. მოწვეულმა კვალიფიციურმა იურისტმა დეტალურად ისაუბრა პეტიციის სამართლებრივ და საკანონმდებლო ასპექტებზე და მიღება-განხილვის პროცედურებზე.

პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ადგილობრივი პედაგოგები, საჯარო მოხელეები, ჟურნალისტები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და მედიკოსები ესწრებოდნენ. მრგვალი მაგიდის სადისკუსიო თემა ელექტრონული პეტიცია და მისი მნიშვნელობა იყო.

შეხვედრებმა სოფლად და ქალაქად, ტრენინგებმა და დისკუსიებმა მნიშვნელოვანწილად გაზარდა პეტიციის, როგორც ჩართულობის მექანიზმის, ცნობადობა და შედეგმაც არ დააყოვნა. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე 25-ზე მეტი პეტიცია აიტვირთა. ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიმდინარეობდა ინიციატორების რეგისტრაციის, პეტიციების ატვირთვის, ხმის მიცემისა და გადაგზავნის პროცედურები. პეტიციების შინაარსი, ძირითადად, ინფრასტრუქტურულ საკითხებს მოიცავდა. პეტიციათა უმრავლესობამ დადგენილ ვადებში დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა და განსახილველად გაეგზავნა საკრებულოს.

პროცესმა გვაჩვენა შემდეგი:

1. სამოქალაქო სექტორმა (ამ შემთხვევაში, ფონდი „სოხუმი", მეწარმე ქალთა ფონდი, „სპექტრი"), როგორც დაინტერესებულმა მხარემ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ადგილობრივ სამოქალაქო სექტორთან („დევნილთა საინიციატივო ჯგუფი", „ედელვაისი", „ახალგაზრდული ჩართულობის ცენტრი", „ფენიქსი") ერთად შეძლო მოქალაქეთა გააქტიურება და საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამშრომლობის, თანასაქმიანობის პრაქტიკა შექმნა. რეალურად აამოქმედა მოქალაქეთა ჩართულობის ძალიან ეფექტური მექანიზმი „ელექტრონული პეტიცია".
2. დაინერგა ელექტრონული აპლიკაცია, რომელიც სავსებით პასუხობს მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, რომ არის მარტივი და ხელმისაწვდომი მექანიზმი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი ადგილობრივი მმართველობის პროცესში პროექტების, პროგრამებისა და სხვა სერვისების შემდგომი დიჯიტალიზაციისათვის.
3. მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ასობით მოქალაქემ თვითმმართველობის საკითხებთან მიმართებაში მიიღო ძალიან ბევრი ინფორმაცია, ჩაერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გახდა მიღებული გადაწყვეტილების თანაავტორი და თანაზიარი. შესაბამისად, გაიზარდა მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, კომპეტენცია და ა.შ. განსაკუთრებით გააქტიურდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები.
4. პროექტის მიმდინარეობის პროცესში გადამზადნენ და კვალიფიკაცია აიმაღლეს საკრებულოსა და მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებმა.

5. საინიციატივო ჯგუფის წევრთა სახით მუნიციპალიტეტში არიან კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც ელექტრონულ პეტიციასთან დაკავშირებით უწყვეტ რეჟიმში კვალიფიციურ კონსულტაციას გაუწევენ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
6. პეტიციის დანერგვას საკმაოდ სერიოზული მედიამხარდაჭერა ჰქონდა: დაიბეჭდა საინფორმაციო ფურცლები, რომლებიც დარიგდა შეხვედრებზე. ყველა აქტივობის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა ფონდი „სოხუმის“ ძირითად და საპროექტო სამენოვან ვებგვერდებზე, ფონდი „სოხუმის“ ძირითად, საპროექტო და ასევე ხონის ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფესიბუქგვერდებზე. ამ სიახლის შესახებ ადგილობრივ გაზეთ „ხონელში“ 2021 წლის ივლისში დაიბეჭდა სტატია „ელექტრონული პეტიცია ხონის მუნიციპალიტეტში - პროექტი, რომელიც მომავლისაა“. მიჩნეულ იქნა გამორჩეულ პრაქტიკად და მომზადდა პუბლიკაცია ფონდი „სოხუმის“ ძირითადი ვებგვერდის კატეგორიისთვის „წარმატების ისტორია“[10]. ეს პუბლიკაცია დაიბეჭდა პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდზეც[11].

„ელექტრონული პეტიციის“ პრაქტიკაში ამოქმედების პროცესმა დაგვანახა: რაც კანონმდებლობის დონეზე ძალიან ცალსახად და გასაგებად გვაქვს მოცემული, რიგ შემთხვევებში პრაქტიკულ საქმიანობაში მისი იმპლემენტაცია ვერ ან არ ხერხდება. მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია, ან ფლობს ინფორმაციას, მაგრამ არ აქვს სათანადო მოტივაცია ან უნარ-ჩვევა, რომ იხელმძღვანელოს კანონით. არც ადგილობრივი ხელისუფლების რესურსები არის საკმარისი, რომ ჩართულობის მექანიზმები გახდეს საზოგადოებაში პოპულარული და ამ სიკეთით თანაბრად ისარგებლოს საზოგადოებამ და ხელისუფლებამ.

ასეთ მოცემულობაში არასამთავრობო სექტორი არის ძალიან კარგი რესურსი, საშუალება, პარტნიორი, რომ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები შეიქმნას, რომ შემდგომში ეს მაგალითები გახდეს სტიმულის, მოტივაციის, ბიძგის მიმცემი და გზამკვლევი თვითმმართველობის რეფორმის კვალდაკვალ შესასრულებელი პოზიტიური ამოცანების განსახორციელებლად.





თავი VIII

მედიის როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოპულარობის გაზრდაში

Изменить
CSO Forum
სამოქალაქო
საზოგადოების
ორგანიზაციების
ფორუმი • CSO Forum


Roena Kakhidze
Taman Moseshvili
soso kotoreshvili
tornike
mari gelashvili
Nazi's iPhone
ნანა
SALOME ABUTI...
Ana Jiadze
ეკო
Ivlita Gogua
Lamara Bochoris...

ნინო ჭაბუკიანი
პროექტის ასისტენტი


ანჟელა ჩიხლაძე
პროექტის ასისტენტი


ზურანდა გვანცელაძე
პროექტის ასისტენტი
2:45 / 36:02


თამარ მოსეშვილი
პროექტის ასისტენტი

მედიის როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოპულარობის გაზრდაში

ლალი შენგელია
პროექტის ვებგვერდის რედაქტორი, PR სპეციალისტი
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საქართველოში თითქმის 150-წლიანი ისტორია აქვთ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც 1879 წელს შეიქმნა, ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო და მან სერიოზული გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე.

დღეს საქართველოში არსებული ასობით ორგანიზაციაც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ პროცესებში. მათ შორისაა სამი პარტნიორი ორგანიზაცია: კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, მეწარმე ქალთა ფონდი და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“. სწორედ მათ განახორციელეს პროექტი იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და გურიაში.

პროექტის მთავარი შემსრულებელი კი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი იყო - ერთობა, რომელშიც გაერთიანდა 8 მუნიციპალიტეტის 16 ადგილობრივი ორგანიზაცია. ისინი უწყობდნენ ხელს საჯარო მმართველობის რეფორმას მუნიციპალიტეტებში, აქტიურობდნენ, მოქმედებდნენ, ქმნიდნენ წარმატების ისტორიებს.

ამის შესახებ ათასობით ადამიანმა გაიგო.

რა თქმა უნდა, ეს მასმედიის დამსახურებაა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შექმნის დღიდან სერიოზულად მოქმედებდა საზოგადოებრივ აზრზე. ახალ საუკუნეში კი, რომელსაც ინფორმაციის საუკუნეს უწოდებენ, მასმედიის მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია პოპულარობის მიღწევა.

პოპულარობა პირობითი ცნებაა - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას პოპულარობა სჭირდება იმისთვის, რომ გააცნოს საზოგადოებას თავისი საქმიანობა, იპოვოს თანამოაზრეები და მხარდამჭერები, შეძლოს სასიკეთო გავლენა სამოქმედო არეალში.

ფონდმა „სოხუმმა“ კარგად იცის მასმედიის როლის შესახებ. 20 წლის წინათ, 2001 წელს დაიბეჭდა ფონდი „სოხუმის“ საქმიანობის ამსახველი პირველი გაზეთი „ქალთა ხმა“, რომელმაც გაზარდა მისი პოპულარობა. მას მერე, ასობით ჟურნალ-გაზეთი გამოვიდა - ბეჭდურიც და ონლაინ ვერსიაც. ყველა მათგანი იმ დიდ მუშაობას აშუქებდა, რომელსაც ფონდი ეწევა წლების მანძილზე. ამას გარდა, ფონდ „სოხუმს“ გამოცემული აქვს ანგარიშები, მეთოდური და დამხმარე სახელმძღვანელოები, ანალიტიკური სტატიები, გზამკვლევები, წარმატებით დასრულებული პროექტების გამოცდილების და წარმატებული პრაქტიკის ამსახველი პუბლიკაციები.

ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად იყენებდა მედიის სხვა სფეროებსაც - რადიოს, ტელევიზიას. წლების განმავლობაში გადიოდა რეგიონულ ტელერადიოკომპანიებში რადიო და ტელესიუჟეტების თუ გადაცემების ციკლები (მაგ., „ქალი და მშვიდობა“, „ქალი და პოლიტიკა“), ახლაც აქტიურია თანამშრომლობა სხვადასხვა მედიასაშუალებასთან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფონდი „სოხუმის“ სამენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული) ვებგვერდები, ფეისბუქგვერდები, საკუთარი იუთუბ არხი.

ამ უდიდესი გამოცდილების ფონზე ფონდმა „სოხუმმა“ ამ პროექტშიც გამორჩეული როლი დააკისრა მედიას.

ეს აუცილებელი იყო საპროექტო საქმიანობის გაშუქებისთვის.

იმისთვის, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებზე მეტი გაეგოთ მუნიციპალიტეტებში.

მეტი ნდობა მოეპოვებინათ მოსახლეობის მხრიდან.

საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების თუ გავრცელების რამდენიმე ფორმა გამოიკვეთა: სატელევიზიო გადაცემები, პრესკონფერენცია, ვებგვერდი, სოციალური მედია.

ნიშანდობლივია, რომ ეს სფეროები გაინაწილეს პარტნიორმა ორგანიზაციებმა: მეწარმე ქალთა ფონდმა სატელევიზიო გადაცემების ორგანიზება ითავა, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირმა „სპექტრმა“ - პრესკონფერენციების ჩატარება, ხოლო ვებგვერდისა და ფეისბუქგვერდის მართვა ფონდ „სოხუმს“ დაევალა.

სატელევიზიო გადაცემები

ტელემაუწყებლების როლი განსაკუთრებულია ადამიანის ცხოვრებაში. ტელევიზია ინფორმაციის გავრცელების უმთავრეს ინსტრუმენტად რჩება. ამიტომაც იყო პროექტში გათვალისწინებული ვიდეოკონტენტის შექმნა, სათქმელის გაზიარება ტელეარხით და ამ გზით მაყურებლისთვის პროექტის მნიშვნელობის, კონცეფციის, შედეგებისა და წარმატებების გაცნობა.

ერთჯერადად გასული გადაცემის შესახებ შესაძლებელია რამდენიმე პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსება: ფეისბუქი, ვებგვერდი, იუთუბარხი. თითოეული პლატფორმა არის საშუალება ამ გადაცემის გასაპიარებლად.

გადაცემების მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა „საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR)“ შესახებ.

გადაცემებში ძირითად მიმოხილვას აკეთებდნენ პარტნიორი ორგანიზაციების: ფონდი „სოხუმის“, იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ და მეწარმე ქალთა ფონდის თანამშრომლები. რა თქმა უნდა, მონაწილეობდნენ 8 მუნიციპალიტეტის (თერჯოლა, ვანი, ბაღდათი, ხონი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ცაგერი, ამბროლაური) წარმომადგენლები.

ტელეგადაცემები კვალდაკვალ მიყვებოდა აქტივობებს. ამიტომაც გადაცემის დაგეგმვის პროცესში ირჩეოდა თემა, იქმნებოდა სამუშაო გეგმა-გრაფიკი, ხდებოდა დაკავშირება ჟურნალისტთან და იწყებოდა აქტიური სამზადისი.

გადაცემებში გაშუქდა ყველა საკითხი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საპროექტო მუშაობაში. ნაყოფიერი თანამშრომლობა შედგა ადგილობრივ რეგიონალურ მაუწყებლებთან, საეთერო ბადეში ირჩეოდა ერთი კონკრეტული დრო და გადიოდა ტელეგადაცემა, რომელსაც ათიათასობით ადამიანი ადევნებდა თვალს, სწორედ ამ გადაცემების დამსახურებაა მოსახლეობის ინფორმირებულობა, პროექტის მასშტაბების გაზრდა და მეტი რეზონანსი.

პირველი გადაცემა 2020 წლის 4 მაისს გავიდა - კოვიდპანდემიის გამო ის უჩვეულო იყო - ფოტოების ჩვენება, არცერთი ცოცხალი კადრი, რესპონდენტების ონლაინ ჩართვა ჟურნალისტთან[12].

12 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-2/179-media-ka/470-2020-05-06-16-36-31

პანდემია, საკარანტინე პირობები გამოწვევად იქცა და ერთგვარი ბარიერი იყო ჟურნალისტებისთვის, რომელთაც, ფაქტობრივად, ვერ შეძლეს, ცოცხალი გადაცემების მომზადება, შთამბეჭდავი რეპორტაჟების ჩვენება, მაგრამ, ამის მიუხედავად, გადაცემებმა წარმოაჩინა მუნიციპალიტეტებში აქტიური მუშაობა, შედეგები და მიღწევები.

პროექტით გათვალისწინებული იყო და მომზადდა ექვსი გადაცემა ტელეკომპანია „რიონის" და ტელეკომპანია „მეგა ტვ"-ის ეთერით. მათი ხანგრძლივობაა 36-70 წუთი. რეგიონულ მაუწყებლებში ორივე არხი გამოირჩევა დაფარვის დიდი ზონით და მაღალი რეიტინგით.

ამ დროის მონაცემებით, ტელეკომპანია „მეგა ტვ"-ს ვებგვერდს დღიურად საშუალოდ 40 000 უნიკალური მნახველი ჰყავს. 97 230-ია ფეისბუქგვერდის გამომწერთა რაოდენობა, იუთუბარხის გამომწერთა რიცხვი კი 18 000-ია - https://megatv.ge/.

ტელეკომპანია „რიონის" ფეისბუქგვერდის გამომწერთა რაოდენობა ამ ეტაპზე არის 21 727, ვებგვერდის უნიკალური მნახველი დღიურად საშუალოდ - 4 305, იუთუბარხის გამომწერთა რაოდენობა - 2 160 – http://www.rionitv.com/

ეს მონაცემები ამ არხებზე გასული გადაცემების რეზონანსულობას ადასტურებს და ეს მართლაც ასეა - ყველა გადაცემას მრავლად ჰყავდა მაყურებელი სხვადასხვა პლატფორმაზე. ამ გზით ათასობით ადამიანმა მიიღო ინფორმაცია პროექტის შესახებ და ხელი შეუწყო ყველა ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდას, მათ იმიჯს მუნიციპალიტეტებში.

პრესკონფერენცია

პრესკონფერენციის მიზანია მედიის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი სიახლის გაცნობა. ის კითხვა-პასუხის ფორმატში მიმდინარეობს. პრესკონფერენცია ჩვენი საპროექტო მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმატი იყო.

პრესკონფერენციის ჩატარებაზე პასუხისმგებელი იყო იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი".

ორგანიზაციამ შეისწავლა რვავე მუნიციპალიტეტის მედიასაშუალებები, შექმნა მონაცემთა ბაზა და გულმოდგინედ ამზადებდა თითოეულ პრესკონფერენციას.

მონაცემთა ბაზაში შევიდა:

რეგიონული ტელეკომპანიები: „რიონი", „მეგა ტვ", „ტვ გურია"

რადიო: „ძველი ქალაქი", „ამბროლაურის ხმა"

მერიების და გუბერნიების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის და საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები

გაზეთები და სააგენტოები: „ცაგერი", „ხონი", „ხონელი", „თერჯოლა", გურიანიუსი, „ჰო და არა" (ლანჩხუთი), Ipress.ge, Topnews.com.ge, Newpress.ge, Paraleli.ge, Kutaisipost.ge, Guria Today.ge.

ფაქტობრივად - მედიაკამპანიაში ჩაერთო ყველა გამოცემა, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებობს.

პრესკონფერენცია იყო მედიასთან ურთიერთობის საუკეთესო დემონსტრაცია.

პირველი პრესკონფერენცია 1-ლ მაისს გაიმართა კოვიდ-19-ის პირობებში, ლოქდაუნის (ჩაკეტვა, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა საგანგებო ვითარების გამო) დროს, ონლაინ, Zoom-ის პლატფორმაზე. ამან გააფართოვა ჟურნალისტთა ჩართვის შესაძლებლობა. თითოეულ პრესკონფერენციას 20-30 ჟურნალისტი ესწრებოდა. ამდენი მედიასაშუალების

ჩართვამ განაპირობა ინფორმაციის დუბლიცირება, მათი უშუალო გასვლა მუნიციპალიტეტებისკენ.

ყოველ პრესკონფერენციას კონკრეტული თემა ჰქონდა და უკავშირდებოდა საპროექტო აქტივობებს. პირველ პრესკონფერენციაზე რვა მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მონიტორინგის შედეგები გააცნეს მოწვეულ ჟურნალისტებს. სულ 4 მონიტორინგი ჩატარდა და 4 პრესკონფერენცია სწორედ ამ შედეგების გაცნობას, მიღწეულ პროგრესს, წარმატებებს ეძღვნებოდა.

ამას გარდა, ორჯერ ჩატარდა მოქალაქეთა ადგილობრივი საჭიროებების კვლევა საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების პროცესში - რასაკვირველია, პრესკონფერენციებზე ესეც გაშუქდა. მედიასთან შეხვედრებზე განხილული იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მუნიციპალიტეტებში მცირე საგრანტო პროექტების განხორციელება, საპროექტო მუშაობის შედეგები.

სულ 8 პრესკონფერენცია გაიმართა და ყველა - ონლაინ. პრესკონფერენციებს მოჰყვა გამოხმაურებები, საინფორმაციო წერილები მედიასაშუალებებში. ამან რამდენჯერმე გაზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც გაიგეს საჯარო რეფორმის მნიშვნელობა, ელექტრონული სერვისების დანერგვის აუცილებლობა, რაც პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

ვებგვერდი

ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელებას განსაკუთრებული ეფექტი აქვს. ვებგვერდი ინტერნეტკომუნიკაციის საუკეთესო ფორმაა. ფონდ „სოხუმს“ 2009 წლიდან აქვს სამენოვანი ვებგვერდი http://fsokhumi.ge, რომელზეც ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ განთავსებულია მულტიმედიური ინფორმაცია: ნიუსები, ვიდეორგოლები, ტელე და რადიოგადაცემები, გამოცემების PDF ფაილები.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა თანამედროვე დიზაინის ვებგვერდი www.csoforum.ge/.

ძირითად პანელზე მოთავსებულია შემდეგი ფანჯრები:

სიახლეები - ჩამოშლილია შემდეგი კატეგორიები: შეხვედრები, მრგვალი მაგიდა, საჭიროებების შეფასება, PAR მონიტორინგი, დებატები, PAR ანგარიშები, ტრენინგები, მასმედია. როგორც კატეგორიების სახელწოდებებიდან ჩანს, აქ განთავსებულია საპროექტო მუშაობასთან დაკავშირებული ინფორმაციები.

ფორუმი - ამ კატეგორიაში მოცემულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის არსი და მიზანი, აგრეთვე 8 მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციების სია - ეს არის 16 ძირითადი ორგანიზაცია, რომელიც პირველი დღიდან შეუერთდა ფორუმს და შემდეგში შექმნილი კიდევ 14 ადგილობრივი ორგანიზაცია.

პროექტი - ვებგვერდის ამ ნაწილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია პროექტის და მისი პარტნიორი სამი ორგანიზაციის შესახებ.

აქტივობები/შედეგები - ეს კატეგორია ასახავს პროექტის შედეგებს, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული მცირე საგრანტო პროექტებზე, რომლებიც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განახორციელეს მუნიციპალიტეტებში. აქ არის წარმატების ისტორიებიც: ცხელი ხაზის ამოქმედება ხონში, ეთიკის კოდექსის დამტკიცება ვანში, ელექტრონული მენეჯერის დანერგვა

ლანჩხუთში, ანტიკორუფციული დებულების შექმნა ბაღდათში, ფორუმი - გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა.

პუბლიკაციები - ვებგვერდის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიაა, რადგან აქ იყრის თავს ძირითადი საპროექტო მუშაობა. განთავსებულია ყველა პუბლიკაცია, რომელიც პროექტის განმავლობაში მომზადდა: სატრენინგო მოდულები, საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში - 4 ანგარიში, „საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გატარების პროცესში მოსახლეობის საჭიროებათა შეფასება დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში“ - ორი ანგარიში და ანგარიშები ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ვებგვერდი საინფორმაციო სახისაა და მასალები ქვეყნდება კლასიკური მოდელით - ნიუსი სამ ენაზე, ფოტო/ვიდეო. პირველი ინფორმაცია დაიბეჭდა 2019 წლის 15 ოქტომბერს. ერთ გვერდზე წარმოდგენილია 4 ნიუსი და უკვე 60-მდე გვერდია ვებგვერდზე.

ვებგვერდის მოკლე ექსკურსითაც ჩანს, რომ ფაქტობრივად, ეს არის პროექტის ისტორია. აქ არის ქრონოლოგიურად დალაგებული ინფორმაცია ფოტო და ვიდეომასალით და მას აქვს არქივის ფუნქციაც, რადგან პროექტის დასრულების შემდეგაც შესაძლებელია ყველა იმ კონკრეტული ინფორმაციის მოძებნა და გაცნობა, რაც საპროექტო მუშაობას და შედეგებს ასახავს.

ფეისბუქგვერდი

ფეისბუქი ინტერნეტკომუნიკაციის ყველაზე პოპულარული პლატფორმაა საქართველოში. სოციალური მედიის ეს ფორმა სწრაფია, მოქნილი, ოპერატიული. ტრადიციული მედიის პროდუქტი (გაზეთი, რადიო თუ ტელესიუჟეტი) სანამ მკითხველამდე, მსმენელამდე ან მაყურებლამდე მივა, რამდენიმე ეტაპს გადის. სოციალური მედია კი პირდაპირ ურთიერთობს აუდიტორიასთან, ეს კომუნიკაციის მარტივი და უშუალო გზაა.

ამიტომაც საპროექტო მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოპულარობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალურმა მედიამ.

პროექტის შემსრულებელ სამივე პარტნიორ ორგანიზაციას აქვს საკუთარი ფეისბუქგვერდი, მაგრამ საგანგებოდ შეიქმნა საპროექტო ფეისბუქგვერდი www.facebook.com/CSOForum.FS/, რომელიც თავიდანვე იქცა ცოცხალ, საინტერესო, ემოციურად დატვირთულ ინსტრუმენტად.

ფეისბუქგვერდზე დაიბეჭდა ნიუსები ყველა აქტივობის შესახებ, განთავსდა სატელევიზიო გადაცემები, გამოცემები. აქ იბეჭდებოდა ვებგვერდის ბმულები (ვებგვერდის მეტად გააქტიურებისთვის), ინფორმაციები პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, ფორუმის წევრი ორგანიზაციების მიღწევები...

ფეისბუქგვერდის ინფორმაციები ბევრად აღემატება ვებგვერდის ინფორმაციებს.

მაგალითისთვის, დაიბეჭდა მიმართვები ცალკეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა მისამართით:

„...თუ ხონის მუნიციპალიტეტში ცხოვრობთ, ამ ინფორმაციას თქვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იცოდით, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ინტერნეტით შეგიძლიათ

ურთიერთობა? და ასე სახლიდან გაუსვლელად თქვენთვის საინტერესო ბევრ შეკითხვაზე პასუხის მიღება...

ან: რა შეიცვალა თერჯოლაში ორი მონიტორინგის შემდეგ?

ან კიდევ: ბაღდათის მუნიციპალიტეტში ცხოვრობთ? მაშინ გაეცანით ამ მნიშვნელოვან ინფორმაციას...“

ამ მიმართვას მოჰყვება რამდენიმე სიახლე, რაც წინა მონიტორინგის შემდეგ მოხდა და პუბლიკაციის ბმული, რომ მკითხველი ანგარიშის სრულ ვერსიას გაეცნოს.

როცა დაკონკრეტებულია მუნიციპალიტეტი, ფეისბუქპოსტი უფრო მეტად იქცევს ყურადღებას. მით უმეტეს - ყველა პოსტში აღნიშნულია ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთაც ჩაატარეს მონიტორინგი. ეს კი მათ პოპულარობაზე მოქმედებს, ასეთ პოსტებს საკმაოდ ბევრი ნახვა და გაზიარება აქვს. ასე რომ - პუბლიკაცია და ყველა გამოცემა, რომელიც პროექტის ფარგლებში იყო, საკმაოდ კარგი წყაროა პროექტზე სასაუბროდ, პიარისათვის და დადებითად მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელზე, მათ მიმართ ნდობაზე.

ტელეგადაცემებთან დაკავშირებითაც ავამოქმედეთ „ხრიკი“, რომელიც ზრდის ადგილობრივი ორგანიზაციების იმიჯს. ეს ინსტრუმენტი ასე მოქმედებს: ვებგვერდზე განთავსებულია სატელევიზიო გადაცემის სრული ვერსია, თავიდან - ფეისბუქგვერდზეც, მაგრამ მერე ხდება ერთსაათიანი გადაცემის ფრაგმენტებად „დაჭრა“ და კონკრეტული რესპონდენტის პატარა, 3-5-ხუთიანი ვიდეომასალის განთავსება კონკრეტული მუნიციპალიტეტის, ორგანიზაციის და სრული გადაცემის ბმულის მითითებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საპროექტო ფეისბუქგვერდი ურთიერთობის საუკეთესო ფორმატია. ის იძლევა ინფორმაციის გავრცელების და გაზიარების, ფოტო და ვიდეომასალის განთავსების, ემოციის გამოხატვის, აუდიტორიის გაზრდის საშუალებას. ეს არის ყველაზე აქტიური ინსტრუმენტი, რომელსაც ყოველდღიურად ნახულობენ ადამიანები და ამიტომ მასზე აქცენტის გაკეთება საკმაოდ კარგ ეფექტს იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ თვიდან თვემდე იზრდებოდა ფეისბუგვერდის გამომწერთა რიცხვი და იზრდებოდა ინტერესი საპროექტო მუშაობის მიმართ.

ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები თავიანთ პირად თუ ორგანიზაციის ფეისბუქგვერდზე აზიარებდნენ საპროექტო გვერდის ინფორმაციას და ესეც ზრდიდა მათ ცნობადობას.

ასე კარგად ვლინდებოდა ორგანიზაციის ძლიერი მხარეები, მისი საქმიანობის დეტალები, წარმატებები და მიღწევები. ყოველივე ეს იქცევდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ყურადღებას, აფართოებდა ორგანიზაციის გავლენას და მის წევრებს მეტის გაკეთების, მეტის მიღწევის მოტივაციას აძლევდა.

შედეგები – წარმატების ისტორია

ყოველი საქმიანობა შედეგებით ფასდება. შედეგები საუკეთესო საშუალებაა ორგანიზაციისთვის, მოიპოვოს ნდობა, გახდეს პოპულარული საზოგადოებაში.

შედეგების წარმოსაჩენად რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება შეიძლება:

პარტნიორობა - პარტნიორობა პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია. პროექტი სამი

პარტნიორი ორგანიზაციის კურატორობით განხორციელდა და მან ერთი მიზნისკენ გააერთიანა სამი რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში მოქმედი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების 16 ორგანიზაცია და კიდევ 14 ახალი ორგანიზაცია.

პარტნიორობის საუკეთესო მაგალითი საპროექტო მუშაობის ყველა ეტაპზე იგრძნობოდა, მაგრამ თავის პიკს მაინც ფინალურ ნაწილში მიაღწია, როდესაც სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მიღწევებს, გამოცდილებას, წარმატებულ პრაქტიკას.

ამის საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ ვებგვერდის ერთ-ერთ მასალას:

ფორუმი - გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა[13]

გამოცდილების გაზიარება ყველაზე კარგი გზაა სიახლეების დასანერგად. ფონდი „სოხუმისთვის“ ეს მუშაობის განსაკუთრებული მეთოდია და სხვადასხვა მუნიციპალიტეტს ხშირად აძლევს ამ შესაძლებლობას.

გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი თავიდანვე ითვალისწინებდა თანამშრომლობას და ერთმანეთის დახმარებას.

პროექტში სამი ორგანიზაციაა ჩართული: ფონდი „სოხუმი“, მეწარმე ქალთა ფონდი და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმში კი 16 ორგანიზაცია გაერთიანდა 2019 წლის ოქტომბერში. მათი გეოგრაფიული არეალი ფართოა: რვა მუნიციპალიტეტი (ხონი, ვანი, თერჯოლა, ბაღდათი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ცაგერი, ამბროლაური).

ფორუმი შეიქმნა იმისთვის, რომ აქტიურად ჩართოს საზოგადოება საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის პროცესში.

ორგანიზაციები პროექტის დასაწყისიდანვე ერთად ესწრებოდნენ შეხვედრებს, ტრენინგებს, სწავლობდნენ საჯარო რეფორმის განხორციელების კრიტერიუმებს, პროექტების წერას, პრობლემების ადვოკატირებას, კვლევის ჩატარების ტექნიკას... ახალი ორგანიზაციების შექმნასაც შეუწყვეს ხელი და მუნიციპალიტეტებში კიდევ 14 ახალი ორგანიზაცია დარეგისტრირდა.

რა თქმა უნდა, ყველა საერთო შეხვედრაზე უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, ცოდნას. დამეგობრდნენ, ბევრი რამ ისწავლეს და გააძლიერეს ერთმანეთი. თავიანთ მუნიციპალიტეტებში ცვლილებებს შეუწყვეს ხელი და სხვა მუნიციპალიტეტებზეც ახდენენ კეთილ გავლენას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ამირან გიგინეიშვილმა (საქართველოს სასოფლო დარბაზი) მის მიერ შექმნილი „ელექტრონული მენეჯე-

13 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-2/191-result/1064-2021-07-27-18-57-17

რი“ გაუზიარა ამბროლაურელ კოლეგებს და ეს უნიკალური აპლიკაცია წარმატებით დაინერგა ამბროლაურის მუნიციპალიტეტშიც.

ეთიკის კოდექსი პირველად ვანის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა. მისმა ავტორმა მარინა ღვინიანიძემ (თანადგომა - 2020) შემდეგში დაწვრილებით აუხსნა მთელი პროცედურა კოლეგებს და ამ პრაქტიკით მიიღეს ეთიკის კოდექი ხონში, ცაგერში, ბაღდათში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დებატებში მონაწილეობდა ხონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ელისო ჯიქია (განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“), რომელმაც ელექტრონული პეტიციების დანერგვაზე ისაუბრა. მან ეს წარმატებული პრაქტიკა გაუზიარა ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტების წარმომადგენლებსაც. პეტიციებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე ისაუბრა ცაგერში ჩატარებულ შეხვედრაზე ბაჩანა ბასილაიამ (ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი).

ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა მზევინარ ლიპარტელიანმა („აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“) ხონში ეთიკის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები მიმოიხილა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ამირან გიგინეიშვილმა (საქართველოს სასოფლო დარბაზი) კი სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვის გამოცდილება გაუზიარა ხონელებს.

ბაღდათის სამუშაო ჯგუფი პირველია, რომელიც ანტიკორუფციულ დებულებას ამზადებს და ამ პრაქტიკას მალე სხვა მუნიციპალიტეტებიც წარმატებით გამოიყენებენ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი არ არის პროექტის მონაწილე, მაგრამ ფონდ „სოხუმს“ მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს თვითმმართველობასთან. ამიტომაც მოიწვია შეხვედრებზე საკრებულოს წევრი ბადრი პაპავა, რომელმაც სამოქალაქო ბიუჯეტირების დანერგვის წარმატებული პრაქტიკა გაუზიარა თერჯოლის, ბაღდათის, ვანის და ცაგერის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს.

საპროექტო მუშაობის დასასრულს განსაკუთრებით დადასტურდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი მართლაც არის თანამშრომლობის და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების საუკეთესო შესაძლებლობა“.

ამ ერთი ინფორმაციიდანაც ჩანს, რომ პარტნიორობა ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა კარგი იმიჯის მოსაპოვებლად.

მედიასთან ურთიერთობა კიდევ ერთი ასპექტია, როგორც პოპულარობის ინსტრუმენტი. პროექტის მიზანი ელექტრონული მუნიციპალური სერვისების გაადვილებაა, მეტი კომფორტია ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ამიტომაც მისი შედეგები ყველასთვის მნიშვნელოვანია და ყველას ეხება.

პროექტმა თავიდანვე მოკავშირედ მოიაზრა მედია და ეს ყოველ ეტაპზე იგრძნობოდა.

დაგეგმილი ტელეგადაცემების გარდა, რამდენიმე ტელესიუჟეტი გავიდა სხვადასხვა არხზე -

მაგალითად, საერთო ტრენინგების შემდეგ სიუჟეტები გადიოდა „რიონზე“. ეს არ იყო გათვალისწინებული პროექტით, მაგრამ შესაძლებელი გახდა მათი ორგანიზება და ამაში დიდია ორგანიზაცია „სპექტრის“ დამსახურება. არაერთი პუბლიკაცია დაიბეჭდა პრესკონფერენციების შემდეგ. ადგილობრივი მედიასაშუალებები აშუქებდნენ მუნიციპალური ორგანიზაციების მიღწევებს - მაგალითად, ხონის სამუშაო ჯგუფის წევრმა, ჟურნალისტმა გურანდა ცაგურიამ სტატიები დაბეჭდა გაზეთებში „ხონი“ და „ხონელი“.

აუდიტორიის აღქმა: ინტერნეტმა, სოციალურმა მედიამ გააადვილა წვდომა აუდიტორიასთან. აუდიტორიის გაფართოებაზე ზრუნვა საინფორმაციო სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისია იყო. ყველა ორგანიზაცია ცდილობდა, მოეზიდა მეტი მკითხველი, მოკავშირე, თანამოაზრე. მარტივი ლოგიკაა: რაც უფრო დიდია აუდიტორია, მით მეტი ადამიანი ეცნობა ორგანიზაციის საქმიანობას, იზრდება მხარდამჭერთა რაოდენობა. პოტენციური მკითხველები/მაყურებლები/მსმენელები არ არიან მარტო ბენეფიციარები ან საპროექტო აქტივობების მონაწილეები. ეს სპექტრი ბევრად უფრო მრავალფეროვანია, მით უფრო მაშინ, როცა პროექტი მთელ მოსახლეობას ეხება: ადგილობრივი სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პედაგოგები, ჟურნალისტები, ახალგაზრდები, პენსიონერები, დიასახლისები... ჩამონათვალიდან ჩანს, რომ ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა.

წარმატების, მიღწეული შედეგის წარმოჩენა ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობაში. მაგრამ ეს არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. უნდა ითქვას, რომ პროექტის მონაწილეებს სამი ტრენინგი ჩაუტარდათ, სადაც მათ ისწავლეს ბევრი „საიდუმლო“ - როგორ გააკეთონ ორგანიზაციის პიარი, როგორ გაზარდონ ცნობადობა, როგორ დაწერონ კარგი ნიუსი, როგორ წარმოაჩინონ წარმატების ისტორია, როგორ მართონ ინტერნეტ რესურსები, გაზარდონ აუდიტორია და ა. შ.

ეს ცოდნა (ტრენინგების მოდულები წარმოდგენილია ვებგვერდის კატეგორიაში „პუბლიკაციები“[14]) მათ გამოადგათ არა მხოლოდ ამ პროექტის მიმდინარეობისას, არამედ მიიღეს როგორც გზამკვლევი მომავალ საქმიანობაში.

ორგანიზაციების მუშაობა სპეციფიკურია და ინფორმაციის განთავსებაც განსხვავებულია. მაგრამ აქ მაინც მუშაობს ნიუსის აგების ტრადიციული სქემა: სათაური, ლიდი, შინაარსი, ბექგრაუნდი.

მნიშვნელოვანია 5W&1H (ხუთი დაბლიუ და ერთი ეიჩი) წესის გამოყენება: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ? (Who? What? Where? When? Why? How?).

ამ კითხვებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბოლო ორ კითხვას: როგორ? რატომ?

ამ ორ კითხვაზე პასუხის გაცემა ნიშნავს შედეგების დემონსტრირებას. ეს არის წარმატება, ორგანიზაციის მიღწევა, გავლენა ადამიანებზე, ცვლილებები კონკრეტულ საზოგადოებაში.

პროექტმა ბევრი სიკეთე მოიტანა მუნიციპალიტეტებში და წარმატების ისტორიებშიც სწორედ ასეთი გამორჩეული ამბები მოხვდა. რეალური ისტორია და რეალური გმირი - მეტ ხიბლს სძენს მონათხრობს, მკითხველი ინტერესით ეცნობა და უჩნდება სურვილი, შემდეგშიც გაეცნოს ინფორმაციებს.

როგორია პროექტის წარმატების ისტორიები? ნიმუშისთვის წარმოგიდგენთ სამ ისტორიას.

14 https://csoforum.ge/index.php/ka/ka-public/treningis-saxelmzgvanelo

დაჩი გონიერი და საქმიანი კაცია. წელს, აპრილის დასაწყისში დაიბადა. დედასთან ერთად ხშირად „მუშაობს“. დაბადებამდეც ეხმარებოდა. ასე რომ - ბაღდათელები დაჩი ფურცელაძეს უნდა უმადლოდნენ სერიოზული დოკუმენტების მომზადებას. ვისაც ხუმრობა გგონიათ, ვერ დაგეთანხმებით. იმიტომ რომ დაჩი მართლა მუშაობს დედასთან ერთად. დაჩის დედიკო ახალგაზრდა, ლამაზი და ჭკვიანი ქალია. სკოლა დიმში დაასრულა, მერე კი წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სამაგისტრო პროგრამა.ბაღდათში ჩვენი პროექტის განხორციელება რომ დაიწყო, სამუშაო ჯგუფში საკრებულოს წევრები მოიწვიეს. ჯგუფის თავმჯდომარედ აირჩიეს გურამ კიკნაველიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მეორე წევრი გვანცა გრძელიძეა, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. მოკლედ, ორივე საჭირო ადამიანია - ჯგუფს საკუთარი ლობისტები ჰყავს ფინანსურ და სამართლებრივ საკითხებში. ამიტომაც ბაღდათის სამუშაო ჯგუფი აქტიურობით გამოირჩევა და საჯარო მმართველობის რეფორმასაც წარმატებით ახორციელებს. გვანცა გრძელიძე ორსულად იყო, პირველი დოკუმენტის მომზადება რომ დაიწყო. დედიკოსთან ერთად პატარა დაჩიმაც გაიხარა, როცა 28 აპრილს საკრებულომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის წესების კოდექსი დაამტკიცა.

სხდომაზე გატანამდე დოკუმენტმა გაიარა ყველა პროცედურა, განთავსებული იყო მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, სადაც ყველას ჰქონდა მისი გაცნობის საშუალება. კოდექსი, ერთი მხრივ, მოიცავს საჯარო მოხელეთა ქცევისა და ეთიკის ერთიანი სტანდარტის განსაზღვრას, ხოლო, მეორე მხრივ, ემსახურება ადგილობრივი ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურის მიმართ ნდობის გაზრდას. ახლა დაჩი დედიკოსთან ერთად ანტიკორუფციულ დებულებაზე მუშაობს. ბაღდათის მუნიციპალიტეტი პირველი იქნება პროექტის პარტნიორ მუნიციპალიტეტებს შორის, სადაც ამ დოკუმენტს მიიღებენ და მერე სხვებს გაუზიარებენ ამ პრაქტიკას.

- ჩვენი საქმე ნიჰილიზის დაძლევას ემსახურება, რომ არაფერი შეიცვლება, რომ არაფერს აზრი არა აქვს. ეთიკის კოდექსი, ანტიკორუფციული დებულება პირველი ნაბიჯებია ამ გზაზე. ამას სხვა ნაბიჯებიც მოჰყვება, ადგილობრივი თვითმმართველობა განვითარდება, დაიხვეწება და ამას მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრები დაინახავს, - ამბობს გვანცა გრძელიძე, პატარა დაჩის ლამაზი დედიკო...

15 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-2/191-result/1059-2021-07-27-07-00-51

საინტერესო ონლაინ მოგზაურობა[16]

საინტერესო მოგზაურობას გთავაზობთ. ასეთი რამ ჯერ არც გინახავთ და არც გაგიგონიათ.

მოგზაურობა არის ონლაინ - როგორც კოვიდპანდემიის ვითარებას შეეფერება. მოგვყევით...

პირველი სადგურია - ლანჩხუთის ოფიციალური ვებგვერდი http://lanchkhuti.gov.ge/ გახედეთ ეკრანს მარჯვნივ. ჩამონათვალში თითქოს ყველაფერი ნაცნობია, მაგრამ არის ერთი გამორჩეული დასახელება: ელექტრონული მენეჯერი https://lcman.ge სწორედ ეს არის სიახლე, რაზეც უნდა გიამბოთ - უნიკალური ვებაპლიკაცია, რომელსაც ანალოგი არ აქვს საქართველოში (და სხვაგანაც). ის საგანგებოდ ლანჩხუთისთვის შეიქმნა.

აპლიკაციის ავტორია ამირან გიგინეიშვილი - რადიოინჟინერი, პროგრამისტი, კონსტრუქტორი, მკვლევარი, ეკონომისტი, პიარის სპეციალისტი.

ბატონი ამირანი არის ლანჩხუთის საკრებულოს წევრი და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციის გამგეობის წევრი. აქვს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გავლილი აქვს 40-ზე მეტი საერთაშორისო ტრენინგი. ამჟამად არის „საქართველოს სასოფლო დარბაზის“ თავმჯდომარე http://www.darbazi.org.ge/

ყველაფერი დაიწყო მას შემდეგ, რაც ეს ორგანიზაცია ჩაერთო პროექტში „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“.

პროექტს ახორციელებს ფონდი „სოხუმი“ იმერეთის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ და მეწარმე ქალთა ფონდთან პარტნიორობით.

ლანჩხუთის ეს ორგანიზაცია თავიდანვე გამოიკვეთა - აქტიურობით, ინიციატივებით.

შარშან ზაფხულში, პროექტის თანახმად, საგრანტო კონკურსი გამოცხადდა: რვა მუნიციპალიტეტიდან 16 ორგანიზაცია ჩაერთო, საინტერესო იდეები წარმოადგინეს და ყველამ მიიღო მცირე გრანტი.

საიდან გაჩნდა ლანჩხუთელების იდეა?

ამირან გიგინეიშვილი იხსენებს: „ერთ-ერთი ლოკდაუნის დროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასთან მივედი საკრებულოს სხდომაზე (საკრებულოს წევრი ვარ) და ვნახე, რომ მერთან და საკრებულოს წევრებთან ვიზიტორებს დაცვა შენობაში არ უშვებდა. მერე შიდა მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა. შედეგი: თითქმის განულდა მოქალაქეთა მონაწილეობა მუნიციპალური გადაწყვეტილების პროცესში, შეუძლებელი გახ-

16 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-2/191-result/935-2021-05-18-05-06-47

და პირად საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ვიზიტი. ეს გახდა ვებაპლიკაციის შექმნის საფუძველი“.

იდეა საკმაოდ ამბიციური იყო. შემუშავდა პროექტი „ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის ელექტრონული კომუნიკატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის“.

ამონარიდი საპროექტო წინადადებიდან:

„პროექტის ამოცანებია: საკრებულოს საქმიანობის ელექტრონული კომუნიკატორის ვებაპლიკაციის ტექნიკური მოთხოვნებისა და დიზაინის ფორმირება, აპლიკაციის შემუშავება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება, საკრებულოს აპარატის პერსონალისთვის ვებაპლიკაციის მართვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაზრდა; მოსახლეობის ინფორმირება აპლიკაციის შესაძლებლობისა და გამოყენების შესახებ, ვებაპლიკაციის ადმინისტრირება“.

ვებაპლიკაცია შემუშავდა ASP.NET და C++ პროგრამულ სკრიპტებზე და MS SQL სერვერის გამოყენებით. ინტერნეტში მისი განთავსებისთვის შეძენილ იქნა Windows ჰოსტინგი. ვებაპლიკაცია მიება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდს. ბანერები განთავსდა საკრებულოს ინტერნეტ გვერდზე, საქართველოს სასოფლო დარბაზისა და ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდებზე.

ყველა ამოცანა შესრულდა. სამ თვეში მცირე თანხით ძალიან დიდი საქმე გაკეთდა.

ამირან გიგინეიშვილი გვიზიარებს:

„ახლა ყველას, სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტით შეუძლია პირადად მიმართოს საკრებულოს წევრს, მერს, მოადგილეებს, სამსახურის უფროსებს. კიდევ უფრო გავართულეთ და მერიაც ჩავრთეთ. გასვლა ხდება მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდიდან ღილაკით - ელექტრონული მენეჯერი. თუ მათგან პასუხი დაგვიანდა, ამ გვერდზე მათი გვარი გაწითლდება, რაც პასუხისმგებლობას ზრდის.“

ლანჩხუთის ოფიციალურ ვებგვერდზე არის ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტის პლატფორმა და ისიც - ამირან გიგინეიშვილის შემუშავებულია https://idealanchkhuti.ge

ამ პლატფორმიდანაც არის გადასასვლელი მუნიციპალურ ვებგვერდზე და ელექტრონულ მენეჯერზე.

საინტერესო მოგზაურობის ფინალი ასეთია:

ელექტრონული მენეჯერი მოქმედებს!

მუნიციპალიტეტში მცხოვრებთ აქვთ მომდევნო 30 დღისთვის დაგეგმილი ღონისძიებების განრიგი, ინფორმაცია საკრებულოს სხდომების შესახებ, მნიშვნელოვანი დოკუმენტების ჩამოტვირთვის შესაძლებლობა.

რაც მთავარია, აქვეა საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირების საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დიალოგი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთან: დარეკვა, წერილის მიწერა, პერსონალურ გვერდზე გადასვლა.

საკრებულოს წევრებს, როგორც მრიცხველი აღრიცხავს, 57 წერილი მიუვიდათ და ყველას უპასუხეს...
ასეთი რამ სრულყოფილად ჯერ მხოლოდ ლანჩხუთშია!
თუმცა კარგ საქმეს ყოველთვის ჰყავს მიმდევრები. ეს იდეა, როგორც კარგი პრაქტიკა, წაიღო ამბროლაურმა.
https://open-amb.ge/ - ამ ბმულზე ნახავთ, რომ ამბროლაურში ელექტრონული მენეჯერი უკვე მომზადდა. ჯერ მხოლოდ ორი ადამიანია დარეგისტრირებული, არც წერილებია გაგზავნილი, მაგრამ, მთავარია, მოდელი არსებობს და თანდათან გააქტიურდება კიდეც.
ჩვენი პროექტის ფარგლებში ამიტომაც შეიქმნა 2019 წლის ოქტომბერში გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის 8 მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი.
ფორუმში 16 ორგანიზაცია იყო და კიდევ 14 ახალი ორგანიზაცია დაემატა.
https://csoforum.ge/index.php/ka/about-forum-ka-1 როგორც ვებგვერდის ამ ველზეა აღნიშნული: „ფორუმი არის ადგილი თანამშრომლობისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სწავლობენ ერთმანეთისგან და საუკეთესო პრაქტიკებს გადასცემენ ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორეში."
ლანჩხუთის „ელექტრონული მენეჯერი" ამის დასტურია, პროექტის წარმატების მაჩვენებელია. მაღალი კლასის პროფესიონალი, საინტერესო იდეების და მრავალმხრივი პრაქტიკის მქონე ამირან გიგინეიშვილი კი კოლეგიალობის საუკეთესო მაგალითია. ეს არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზადაა თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარებისთვის...

ხონის მერიის ცხელი ხაზის დადებითი მხარეები[17]

ხატია ხაჭაპურიძე: „თბილისში ვცხოვრობ. სოფელ გელავერში მამის საკუთრებაში არსებული მიწების რეგისტრაცია დამჭირდა და გუგლში ხონის მერიის ცხელი ხაზი მოვძებნე... ყველა საჭირო ინფორმაცია მომაწოდეს. მივესალმები ცხელი ხაზის არსებობას, რამეთუ ამარტივებს უამრავი საკითხის მოგვარებას."
ცისანა მუშკუდიანი: „ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა ხონი კი არა, სამყარო დააპატარავა. ხონის მერიის ცხელ ხაზზე ხშირად არ ვრეკავ, თუმცა როცა კი მიმიმართავს, უპასუხოდ არასოდეს დავუტოვებივართ. მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას კომპეტენტურად მაწვდიან."
ამას ხონის მერიის ცხელი ხაზით კმაყოფილი ადამიანები ამბობენ.
ცხელი ხაზი ხონის სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების შემდეგ შეიქმნა: და-

17 https://csoforum.ge/index.php/ka/news-2-ka-2/191-result/966-2021-06-04-05-04-05

მონტაჟდა ცალკე სატელეფონო ხაზი, გადამზადდა პერსონალი, მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ცხელი ხაზის ამოქმედების შესახებ...

ცხელი ხაზის ამოქმედების იდეა ეკუთვნის ხონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას - განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისი“ და ეს იდეა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით განხორციელდა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ელისო ჯიქია ამბობს: ჩვენს მუნიციპალიტეტში ფონდი „სოხუმის“ მინიგრანტის მხარდაჭერით განვახორციელეთ მცირე პროექტი „საზოგადოების ხმა თვითმმართველობაში.“ 2020 წლის აგვისტოდან სრულყოფილად ამოქმედდა ცხელი ხაზი. კოვიდპანდემიის პირობებში, როცა თვეების მანძილზე ჩაიკეტა სოფლები, არ იყო ცოცხალი კომუნიკაცია მოქალაქეებსა და თვითმმართველობას შორის, ამ სერვისმა განსაკუთრებით გაამართლა - მოქალაქეები რეკავენ და მათთვის საჭირო კითხვაზე კვალიფიციურ პასუხებს იღებენ... ხონის ოფიციალურ გვერდზე http://khoni.gov.ge კონტაქტების კატეგორიაში მოცემულია ცხელი ხაზის ორი ნომერი:

+995 595 33 25 44 - მერია

+995 595 33 84 49 - საკრებულო

ცხელი ხაზის შესახებ ხონის სამუშაო ჯგუფის აქტიურმა წევრმა, ჟურნალისტმა გურანდა ცაგურიამ სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „ხონში“ https://www.facebook.com/khoni.gazeti.3

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე მინიგრანტის „მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად ხელმისაწვდომობის გაზრდა მოქალაქეებისთვის“ ფარგლებში განახლდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი. ეს იდეა განახორციელა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა ორგანიზაციამ - ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი.

ეს ერთ-ერთი წარმატებული შედეგია პროექტში „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“.

ორწლიანმა საპროექტო მუშაობამ ახლებური რაკურსით დაანახა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ადამიანებს გარკვეული გამოცდილების მქონე ორგანიზაციები და გააცნო ახალშექმნილი ორგანიზაციები.

ეს იყო პარტნიორობის საუკეთესო მაგალითი, რომელიც მედიის მხარდაჭერით კიდევ უფრო შთამბეჭდავი და გამორჩეული გახდა. წარმატებული პრაქტიკის შექმნას ხელი შეუწყო მასმედიამ. მეტიც: მუშაობას არ ექნებოდა ამხელა მასშტაბი, ასეთი რეზონანსი, მედიას რომ არ შეესრულებინა თავისი განუზომელი როლი.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოპულარობის გაზრდაში მედიას განსაკუთრებული მისია ეკისრება და ეს ამ პროექტმაც დაადასტურა...



დასკვნა

პროექტის ძირითადი მიღწევები და მიღებული გაკვეთილები

დასკვნა - პროექტის ძირითადი მიღწევები და მიღებული გაკვეთილები

თუ მოკლედ შევაჯამებთ პროექტის წვლილს სამიზნე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, თვითმმართველობების, პროექტის შემსრულებელი პარტნიორების, მთლიანად საზოგადოების მიერ მიღებული სარგებლის, დამდგარი შედეგების საკითხში, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ რვავე სამიზნე მუნიციპალიტეტში მოხდა სამოქალაქო სექტორის განვითარება, გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მისი აქტიური ჩართვა უკეთესი მმართველობის ხელშესაწყობად, რაც საჯარო მმართველობის რეფორმის ადგილობრივი იმპლემენტაციის ქვაკუთხედია.

პროექტმა მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა სამოქალაქო სექტორზე და სამთავრობო სტრუქტურებზე, იმით, რომ მაქსიმალურად დაახლოვა ეს ორი რგოლი ქვეყნის უკეთესი დემოკრატიული განვითარებისთვის, მოქალაქეთა კეთილდღეობის გაზრდისთვის, განსაკუთრებით ელექტრონული მომსახურების კუთხით.

პროექტით მხარდაჭერილი და სათანადო უნარებით გაძლიერებული სსო-ების ასპარეზზე გამოჩენის კვალდაკვალ სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ პოლიტიკაში მოქალაქეთა მონაწილეობა აღიარებულ იქნა, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროცესების საწინდარი.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოხდა იმის გააზრება, რომ ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი საქმიანობის მეტი ლეგიტიმურობისთვის. საზოგადოების ყველა სეგმენტის აზრისა და ინტერესების გასათვალისწინებლად საჯარო პოლიტიკის პროცესში; უფრო ეფექტიანი მომსახურების მისაწოდებლად მოქალაქეთა სხვადასხვა, მათ შორის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფისთვის. გამოიკვეთა ნიშა, სადაც საზოგადოება, მათ შორის ხელისუფლება, უფრო მეტად ხედავს სსო-ს როლს: ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება, ინფორმირება და განათლება, კვლევა, პოლიტიკის საკითხების ინიცირება და არსებული მიდგომების ალტერნატივების შეთავაზება, პროგრამებისა და პროექტების მონიტორინგი და შეფასება, მოქალაქეებისთვის საჭირბოროტო საკითხების ადვოკატირება და სხვა სერვისების მიწოდება.

არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის მნიშვნელოვან მექანიზმად იქცა მცირე საგრანტო პროგრამები, როგორც „წერტილოვანი დარტყმები“, ისინი მიმართული იყო მონიტორინგით გამოკვეთილი პრობლემების საპასუხოდ. ეს მუნიციპალიტეტებისთვის იყო კარგი მაგალითი იმისთვის, რომ დაენახათ, როგორ შეიძლება არსებული ხარვეზების გადაჭრა შედარებით მცირე რესურსებით და მოქნილი ინსტრუმენტებით. ასევე მაგალითი ყველა აქტორისთვის, ვისაც ხელეწიფება ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების მხარდაჭერა (მათ შორის ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორების), მაგრამ უჭირს მათთვის ნდობის გამოცხადება და სათანადო რესურსების გამოყოფა.

პროექტით თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ადგილობრივი სსო-ების გამოყენების მნიშვნელობა სერვისების მისაწოდებლად და აუთსორსინგის მეთოდის სიკეთე, მისი მულტიპლიცირების და შემდგომი პოპულარიზაციის მნიშვნელობა.

სპეციალისტების და პრაქტიკოსების მიერ გაკეთებულ გრძელ ჩამონათვალში, კარგი მმართველობის ძირითად მახასიათებლებად ითვლება თანამონაწილეობა; კანონის უზენაესობა; რეაგირება; ორიენტაცია კონსენსუსზე; გამჭვირვალეობა; ანგარიშვალდებულება; ეფექტიანობა და შედეგიანობა; თანასწორობა და სოციალური ინკლუზიურობა.

მონაწილეობისა და ჩართულობის ძირითადი ეტაპები კი ითვალისწინებს ინფორმირებას, კონსულტაციებს და აქტიურ მონაწილეობას.

ფონდი „სოხუმის“ და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტი, რომელიც მოიცავდა სამოქალაქო საზოგადოების მიერ საჯარო პოლიტიკისა და რეფორმების მონიტორინგს - აქტიური მონაწილეობის მაგალითია.

პროექტის შედეგად ერთმნიშვნელოვნად შეეწყო ხელი ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას; გარე და შიდა აქტორებს მიეწოდათ მეტი ინფორმაცია, რამაც ხელი შეუწყო მათი მხრიდან პროექტების, პროგრამებისა თუ პოლიტიკების უფრო ცხადად აღქმასა და გააზრებას, რასაც მოჰყვა მუნიციპალიტეტების კონკრეტული და სპეციფიკური საჭიროებებისკენ მიმართული ღონისძიებები, რომელთა შესახებაც ჩვენს პუბლიკაციაში მოცემულია ამომწურავი ინფორმაცია.

პროექტმა თვალსაჩინო გახადა სამოქალაქო მონიტორინგის პრაქტიკული მნიშვნელობა: ის დაეხმარა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას იმაში, რომ რიგ საკითხებში მათი პოლიტიკა და პროგრამები გახდა უფრო მეტად ეფექტური და ეფექტიანი, მათ შეძლეს მიემართათ როგორც საკუთრი, ისე პარტნიორი სსო-ების რესურსები საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და საზოგადოებასთან ერთად დაიწყეს მუშაობა არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროექტის შედეგს, მნიშვნელოვანი გამოდგა თავად პროცესიც. ამ პროცესით მოხდა 8 მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების განათლება, მათი უნარების გაზრდა, ინფორმირება, მათი შესაძლებლობების ხაზგასმა, გაიზარდა სხვადასხვა ადგილობრივი ჯგუფის, მათ შორის ახალჩამოყალიბებული სსო-ების სოციალური კაპიტალი.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე პროცესით მივიღეთ უფრო ჩამოყალიბებული საზოგადოება, რომელიც ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხზე შეძლებს მსჯელობას, ძალთა გაერთიანებას და ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ დიალოგს, დასვამს კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება და ამით უზრუნველყოფილი იქნება პროექტის გრძელვადიანი შედეგი.

პროექტის პერიოდი დაეხმარა ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა დონეს ობიექტური ცოდნის დაგროვებაში. ეს ეხება ბენეფიციარების საჭიროებებში უკეთეს გაცნობიერებას, ადგილობრივი ექსპერტების და თავად მოქალაქეების ხედვებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე.

ძალიან საინტერესო იყო დეცენტრალიზაციის საკითხებზე რიგითი მოქალაქეების, ადგილობრივი ექსპერტების და თავად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ხედვა, რომელმაც არსებული რეალობის მკაფიო სურათი მოგვცა. გაჟღერდა მკაფიო გზავნილები ცენტრა-

ლური ხელისუფლების მიმართ, გამოიკვეთა როგორც პოზიტიური მოლოდინები, ასევე რისკები და გაკეთდა საკითხის მიმართ მაქსიმალურად რაციონალურ, საზოგადოებრივ სიკეთეზე ორიენტირებულ ნაბიჯებზე დაკვეთა, რისი დაგვიანებაც არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის ეფექტური ადგილობრივი მმართველობის საკითხში იმედგაცრუებას გამოიწვევს, არამედ - სერიოზულ შეფერხებებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე, რადგან თვითმმართველობა - ადგილობრივ პროცესებზე მოქალაქეების და ხელისუფლების საერთო პასუხისმგებლობაა!

პროექტში მონაწილეობა ერთგვარი ტრამპლინი აღმოჩნდა გამოუცდელი, ახალბედა ორგანიზაციებისთვის საკუთარი რესურსების გაძლიერების და სრულად რეალიზების თვალსაზრისით. თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობამ მონიტორინგის, საჭიროებათა კვლევების, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხო ადვოკატირების პროცესის ეფექტიანად წარმართვის გარანტიები გაზარდა.

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომელთა ბექგრაუნდი (უმრავლეს შემთხვევაში) პროექტის დასაწყისში იქმნებოდა, გადაიქცნენ მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, კომპეტენტურ, ანგარიშგასაწევ ძალად, რომლებიც ადგილებზე საჯარო მმართველობის რეფორმის სრულფასოვნად განხორციელების გარანტად რჩებიან და აგრძელებენ მუშაობას მონიტორინგით გამოვლენილი გამოწვევების დასაძლევად. მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სერვისის მიწოდების მიმართულებით.

მონიტორინგი, რომელიც მუნიციპალიტეტებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კონტროლის, შემოწმების მექანიზმად მოიაზრებოდა, სულ მალე იქცა ელექტრონული მმართველობის რეფორმის ეფექტიანად განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რამაც გაზარდა საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობა ელექტრონულ მმართველობაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის და ჩართულობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

პროექტის შედეგად შეიძლება ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმი გამოდგა საკმაოდ წარმატებული პლატფორმა და წარმატებით იმუშავა ორივე დონეზე: იყო პოლიტიკის პირუთვნელი შემფასებელი და ავლენდა გამოწვევებს იმ სფეროებში, სადაც ხელისუფლება ვერ ახერხებდა რეფორმის წარმატებით რეალიზებას და, ასევე როგორც პარტნიორმა იმ სფეროებში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას არ ჰყოფნიდა რესურსი როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ დონეზე, რისი მაგალითიცაა მუნიციპალიტეტებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის საკითხის ადვოკატირება და ამ მიმართულებით დამდგარი პოზიტიური შედეგები.

პროექტი იყო ერთი საფეხური სამიზნე ორგანიზაციების გაძლიერებისა და ინსტიტუციური ზრდის გზაზე. ისინი თანდათან ჩამოყალიბდნენ მნიშვნელოვანი ექსპერტიზის მქონე სამოქალაქო აქტორებად და თითქმის იშლება ზღვარი, რომელიც პროექტის დასაწყისში არსებობდა შედარებით გამოცდილ და მეტი რესურსების მქონე და უფრო პატარა ორგანიზაციებს შორის და ეს არის ქსელური მუშაობის, წარმატებების და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის, ერთმანეთისთვის გამოცდილების უშურველი გაზიარების დამსახურება.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოხდა იმის გააზრება, რომ ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი საქმიანობის მეტი ლეგიტიმურობისთვის; საზოგადოების ყველა სეგმენტის აზრისა და ინტერესების გასათვალისწინებლად საჯარო პოლიტიკის პროცესში; უფრო ეფექტიანი მომსახურების მისაწოდებლად მოქალაქეთა სხვადასხვა, მათ შორის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფისთვის.

დასასრულს, თუ შევაჯამებთ ორიოდ სიტყვით, პროექტი იყო მნიშვნელოვანი შენატანი მონაწილეობითი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე, რისთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია საჯარო მმართველობის რეფორმის დროული და წარმატებული რეალიზება და ეს შენატანი არის პროექტის შემსრულებელი ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის ყველა სუბიექტის, სამიზნე მუნიციპალიტეტებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების, ადგილობრივი ხელისუფლებების სხვა მესვეურთა საერთო წარმატება.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი:
ალლა გამახარია
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

პროექტის კოორდინატორები:
თეა თორინავა
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

მერი გელაშვილი
მეწარმე ქალთა ფონდი

ქეთევან ცხაკაია
იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართები:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

ელფოსტა:
womansukhumi@gmail.com;
fundsukhumitbilisi@gmail.com

ვებგვერდები:
www.fsokhumi.ge
https://csoforum.ge/

ფეისბუქგვერდები:
www.facebook.com/fsokhumi
https://www.facebook.com/CSOForum.FS

CSO Forum


SWOT

CSO Forum